ლომი

№095 (12 165)

25 აპრილი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

რუნიკუმი

მილანს კაკა არ ეყო

უეინ რუნის გადამწყვეტი გოლი

"ოცნებების თეატრში" მეტწილად დიდებული სპექტაკლები გვინახავს. გუშინდელი ნახევარფინალიც მათ რიცხვში უნდა შევიტანოთ. "მანჩესტერმა" და "მილანმა" ფეხბურთის მოყვარულებს დასამახსოვრებელი საღამო აჩუქეს. თუმცა მაინც მასპინძლებს გამოვარჩევდით, და არა მხოლოდ საბოლოო ანგარიშის გამო. თამაშის წარმართვის ხელოვნებით, გუნდურობითა და შემართებით სერ ალექსის სამწყსო უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე "მილანი", რომლის მექანიზმი ძირითადად კაკას ინდივიდუალიზმზე იყო მორგებული. ამან მხოლოდ პირველ ნახევარში გაამართლა. მეორეში კი ფერგიმ პირწმინდად დაჩაგრა თავისი ვიზავი, რომელსაც ალტერნატივა აღარ დარჩა...

მატჩის დასაწყისმა "რომას" რბევა მოგვაგონა. კრისტიანო რონალდომ ანგარიში დიდას ბრიყვული შეცდომის ხარჯზე გახსნა. "მანჩესტერი" მეტოქის ნახევარზე დასახლდა. ფერგიუსონის ბიჭებს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ... აქ საქმეში კაკა ჩაერია: ორი შედევრი და ლამის "გაკეთებული" თამაში... თუმცა მეორე ტაიმის შუიდან კაკა თითქმის აღარ ჩანდა. ჯერ ერთი, რომ "მანჩესტერის" დაცვა მას გაათმაგებული ყურადღებით დარაჯობდა, და მეორეც: პარტნიორებისგან მხარდაჭერა არ ჰქონდა. პირლო უჩვეულოდ ინერტული გახლდათ, გატუზომ ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა, ხოლო ჯილარდინო... იყო კი მოედანზე?

...და მეორე ტაიმი, რომელიც უკვე რუნის ბენეფისად იქცა. "მანჩესტერისთვის" მნიშვნელოვანი იყო, რომ ანგარიში მალევე გათანაბრდა. მერე "მილანი" ალყაში მოექცა. დიდამ ორი "მკვდარი" ბურთი კი აიღო, მაგრამ თამაშის ბოლოს მაინც ჩაეძინა. თუმცა ნუ ვიტყვით, რომ გადამწყვეტი გოლი მარტო მეკარის ბრალი იყო. ეს გახლდათ რუნის არა იმდენად კლასის, რამდენადაც ტვინის ნაჟური. იმ სიტუაციიდან (წინ მცველი, მახვილი კუთხე) ბევრი კარში არ დაარტყამდა, რუნიმ კი წამის მეათედებში გათვალა სიტუაცია და ასე 17 მეტრიდან ბურთი დიდასგან ახლო კუთხეში გაახვია. აი, ასეთი კაცია რუნი!

საპასუხო მატჩზე და შანსებზე მარჩიელობა უაზრობაა. ახლა მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ კახა კალაძე ანჩელოტის გუშინ განაცხადშიც არ შეუყვანია...

კაკა ანგარიშს ათანაბრებს - 1:1

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მანჩესტერი-მილანი 3:2

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ო'ში, ბრაუნი, ჰაინცე, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, რუნი, გიგზი.

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (46. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო (53. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (82. გურკუფი).

გოლები: 1:0 კრისტიანო რონალდო (5), 1:1 კაკა (22), 1:2 კაკა (37), 2:2 რუნი (59), 3:2 რუნი (90)

მაყურებელი: 73 820

არბიტრი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა		
მატჩი დაიწყო: მილანი		
პირველი ჯარიმა: მანჩესტერი		
პირველი კუთხური: მანჩესტერი		
პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი		
23 (12)	დარტყმა	15 (8)
16	ჯარიმა	13
10	კუთხური	2
2	გაფრთხილება	2
51%	ბურთის ფლობა	49%

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი გულითადად ულოცავს ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს ბელგრადსა და სოფიაში ახლახან დამთავრებულ კონტინენტის პირველობებზე ნაჩვენებ შესანიშნავ შედეგს.

ევროპის ჩემპიონატებზე ძიუდოსა და ჭიდაობის სახეობებში მონაწილე ყოველი მეორე ქართველი სპორტსმენი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. მოპოვებული სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი კიდევ ერთხელ ადასტურებს სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონეს, მათ ოსტატობასა და შრომისმოყვარეობას. დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატებზე სრულად წარმოჩინდა ჩვენი ათლეტების სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი. მიღწეული შედეგები, რა თქმა უნდა, განპირობებულია ნაკრებისა და ათლეტთა პირადი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმით, შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელობის გამართული საქმიანობით, სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ წარმატებაში საქართველოს ოლიმპიური ფონდის წვლილს, რომელმაც დააფინანსა ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადება და მასში მონაწილეობა.

კონტინენტის პირველობაზე მაღალშედეგიანი ასპარეზობა ნამდვილად კარგი განაცხადია რიო დე ჟანეიროსა (ძიუდო) და ბაქოში (ჭიდაობის სახეობები) შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატების წინ.

დარწმუნებული ვართ, ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს წინ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება ელით.

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გაეხსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

არჩევნებს მოვიგებთ!

ახალკაცმა საარჩევნო შტაბი წარადგინა

13 მაისის არჩევნებს უკავშირდებოდა ფედერაციაში გუშინ გამართული პრესკონფერენცია. მოქმედმა პრეზიდენტმა და ჯერჯერობით ერთადერთმა რეგისტრირებულმა კანდიდატმა ნოდარ ახალკაცმა საარჩევნო შტაბი წარადგინა.

- ჩვენი შეხვედრის მიზანი ფედერაციის მორიგი ყრილობა და არჩევნებია. ჩემი გუნდი იმ ფიგურებიითაა წარმოდგენილი, რომლებთან ერთადაც 2 წელია ვმუშაობ. ესენი არიან გოგი ქავთარაძე, დიმიტრი რამიშვილი, რევაზ არველაძე, გრიგოლ ცაავა და სხვები. ჩვენი დევიზი ყველასათვის კარგად ნაცნობი სლოგანია - ჩვენ ერთი გუნდი ვართ! საარჩევნო შტაბს გოგი ქავთარაძე უხელმძღვანელებს, განაცხადა ახალკაცმა.

ამის შემდეგ ქავთარაძემ აღნიშნა:

- შტაბის ხელმძღვანელობა ჩემთვის დიდი პატივია. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ამ გუნდის ერთიანობა კიდევ არაერთხელ წარმოჩნდება.

ჯერჯერობით, ფედერაციის გენერალურ სამდივნოში მხოლოდ ერთი, ნოდარ ახალკაცის კანდიდატურაა რეგისტრირებული, რომელიც ცოტა ხნის წინათ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა წარადგინა. ნოდარის კანდიდატურა ფედერაციის 12 სუბიექტმა წარადგინეს. ესენი არიან:

1. ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი. 2. შიდა ქართლის სამხარეო ფეხბურთის ფედერაცია. 3. იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია. 4. საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია. 5. საქართველოს ფუტსალის ასოციაცია. 6. საქართველოს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია. 7. საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირები. 8. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია. 9. "დილა". 10. "ზესტაფონი". 11. "ამერი". 12. "ლოკომოტივი".

ნოდარ ახალკაცი: ყველა მათგანის მადლობელი ვარ. მათი, ვინც უკვე გააკეთა არჩევანი და საჯაროდ განაცხადა, რომ არჩევნებში მხარს მიჭერს. ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატურათა წარდგენის ვადა ჯერ კიდევაა. ასე რომ, სხვა სუბიექტებს ჯერ კიდევ აქვთ დრო არჩევანის გასაკეთებლად. იმედი მაქვს, ჩემს მხარდამჭერთა ჩამონათვალს კიდევ არაერთი შეუერთდება.

იქვე გოგი ქავთარაძემ დამსწრეებს წარუდგინა BCG-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები. 1000 გამოკითხულიდან უმეტესობა ფეხბურთის ფედერაციისა და პირადად ნოდარ ახალკაცის მუშაობას დადებითად აფასებს. კითხვაზე თუ რა ცვლილებები განახორციელა ფეხბურთის ფედერაციამ 45,2 პროცენტმა ეროვნული ჩემპიონატის უკეთ ორგანიზება დაასახელა, 40-მა პროცენტმა კორუფციის შემცირება, ხოლო 33,2 პროცენტმა ინფრასტრუქტურის განვითარება და მხოლოდ 3 პროცენტი იყო ისეთი, ვისი აზრითაც ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ნაკრების თამაშში პროგრესს ხედავს და ტომმიოლერთან კოტრაქტის გაგრძელების

დიმიტრი რამიშვილი, ნოდარ ახალკაცი და გოგი ქავთარაძე ფოტო www.gff.ge

- ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ არჩევნებს მოვიგებთ და 13 მაისს ამას ყველა ნახავს, აღნიშნა ქავთარაძემ.

დიმიტრი რამიშვილი: კმაყოფილი ვარ გამოკითხვის შედეგებით. იქ ნათლადაა ასახული, განვლილ 2 წლინადში ჩვენი მუშაობის რეალური სურათი. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ რამდენიმე ჩანაფიქრი განვახორციელეთ, რამდენიმე დაწყებული გვაქვს, რამდენიმე დასაწყები. მათ ჩვენი გუნდი მომავალში შეასხამს ხორცს.

ბოლოს კი მასპინძლებმა მასმედიის კითხვებს უპასუხეს:

- ახალკაცი უკვე 12-მა სუბიექტმა წარადგინა. ნიშნავს თუ არა ეს 12 გარანტირებულ ხმას?

ნოდარ ახალკაცი: ეს 12 მხარდამჭერი, რომელმაც ჩემი კანდიდატურა წარადგინა 12 ხმაა და ვერანაირ არგუმენტს ვერ ვხედავ საიმისოდ, საწინააღმდეგო რომ ვიფიქრო.

- მთავრობის წევრთა სიმპათიები რამდენად განსაზღვრავს არჩევნების შედეგებს?

გოგი ქავთარაძე: მთავრობა ამ არჩევნებში არ ჩაერევა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს არაერთხელ დააფიქსირეს. ფიფა-უეფა მთავრობის ჩარევას კრძალავს და ასეთი ფაქტებისას სანქციებსაც მიმართავს. ისე კი ხელისუფლების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. სპორტის დეპარტამენტთან ერთად მინი-ფეხბურთის მოედნების პროექტი განვახორციელეთ. მთავრობის დიდი დახმარებით კლაუს ტომიოლერის ჩამოყვანა მოხერხდა.

- თავის დროზე კლაუს ტომიოლერის პროექტი მთავრობამ დააფინანსა. გერმანელ მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელებაზე არის თუ არა ხელისუფლებაში მზაობა და გქონდათ თუ არა ამ საკითხზე კონსულტაციები?

ნ.ა. - თუ ნაკრებმა ჯგუფში პირველი, მეორე ან მესამე ადგილი დაიკავა, კონტრაქტი ავტომატურად გრძელდება - ეს პუნქტია შეტანილი იმ ხელშეკრულებაში, რომელიც შარშან 9 იანვარს გავაფორმეთ. სხვა შედეგის შემთხვევაში კი, ორივე მხარეს აქვს უფლება ხელშეკრულების თაობაზე იმსჯელოს და საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბოს. დღეისათვის იმ პოზიციაზე ვართ, რომელიც შარშან 9 იანვარს, კონტრაქტის გაფორმებისას გვქონდა. ეს პოზიცია ფაქტებზეა და ანალიზითაა განმტკიცებული. სასიამოვნოა, რომ ჩვენი და გულშემატკივრის პოზიცია, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვაშია ასახული, ერთნაირია.

- ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე წილისყრა ღია იქნება თუ ფარული?

ნოდარ ახალკაცი: ჩვენი წესდება ფიფა-უეფას წესდების შესაბამისია. თუ არჩევნებზე ერთზე მეტია კანდიდატია, მაშინ წილისყრა ფარულია. თუ მხოლოდ ერთი კანდიდატია, მაშინ შესაძლებელია ყრილობის წევრებმა გადაწყვეტილება მიიღონ და წილისყრა ღიად ჩატარდეს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ლევან კობიაშვილი

ლევან კობიაშვილი: ბორდონმა მხოლოდ ბაირამოვიჩზე თქვა...

შალკედან წასვლას არ ვაპირებ

უპრიანი იქნება, ამ ინტერვიუს ნაკითხვამდე დღევანდელი „ლელოს" მე-7 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალას გაეცნოთ, სადაც „შალკეს" ამბები დაწვრილებითაა მოთხრობილი. გერმანული პრესის ცნობით, ლევან კობიაშვილი ძირითადში ვერმოხვედრის გამო, უკმაყოფილებას ღიად გამოხატავს, თუმცა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველთან საუბრისას, სულ სხვა შთაბეჭდილება დაგვრჩა.

- სკამზე ჯდომით კმაყოფილი ვერავინ იქნება, მაგრამ ჩემს დღევანდელ მდგომარეობას ნამდვილად არ ვაპროტესტებ. თავადაც კარგად ვიცი, რომ არ ვარ სათანადო ფორმაში, რასაც თავისი მიზეზი აქვს. ტრავმის გამო, საკმაო დრო გამიცდა და სასურველი კონდიციების დასაბრუნებლად დრო კიდევ მჭირდება. მჯერა, ძირითადში სულ მალე დავბრუნდები, მთავარი ისაა, რომ გუნდი წარმატებით თამაშობს და ჩემპიონობასთან ახლოსაა. ვიმეორებ, არავისზე არ ვარ ნაწყენი, ამ ეტაპზე სასტარტო შემადგენლობისთვის მზად არ ვარ, მწვრთნელის გადაწყვეტილება სავსებით მართებულია. ნაკლები დატვირთვა ამ ეტაპზე ჩემთვის უმჯობესიც კია, პირველ წრეში თითქმის ყველა შეხვედრა სრულად ჩავატარე და ცოტა არ იყოს, გადავიღალე.

- გუნდის კაპიტან ბორდონის განცხადებაზე რას იტყოდი?

- მერწმუნეთ, გერმანულმა პრესამ ეს ამბავი ძალიან გააბუქა. ჯერ ერთი, გასახდელი დროზე ადრე არ დამიტოვებია, ამას გარდა, ბორდონმა კომენტარი მხოლოდ ბაირამოვიჩის საქციელზე გააკეთა, ჩემზე კი დანამდვილებით ვიცი, რომ არაფერი უთქვამს. პრესაში, უბრალოდ, ტყუილი დაიწერა.

- სპეციალისტთა უმრავლესობა „შალკეს" ჩემპიონობას ვარაუდობს...

- ვნახოთ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, იმედია, დარჩენილ მატჩებს უდანაკარგოდ ჩავატარებთ.

- ოპტიმალური ფორმის აღდგენას როდისთვის ვარაუდობ?

- დაახლოებით ორ კვირაში ფიზიკურადაც მოვძლიერდები და ძირითადშიც აუცილებლად დავბრუნდები. 19 მაისს ბუნდესლიგა მთავრდება, რის შემდეგაც ფეხბურთელები „შალკეს" განკარგულებაში კიდევ ათი დღის განმავლობაში დავრჩებით. ვარჯიშების გარდა, ამხანაგურ შეხვედრებსაც ჩავატარებთ. ასე რომ, სანაკრებო თამაშებს, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგად მომზადებული შევხვდები.

- ლიტვასა და საფრანგეთში რა მიზნებით შეიძლება წასვლა?

- ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ, ლიტვა ამ ჯგუფში ჩვენი უპირინციპულესი მეტოქეა. ამ გუნდს აუცილებლად უნდა მოვუგოთ და მეხუთე ადგილი გავიმყაროთ, უფრო მაღალი პოზიციებისთვის კი მომდევნო მატჩებში ვიზრუნოთ. საფრანგეთის ძალა ყველამ კარგად იცის, მაგრამ უიმედოდ არც მასთან ვითამაშებთ. ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. საფრანგეთში ამ დროისთვის სეზონი კარგა ხნის დასრულებული იქნება და შეიძლება, მეტოქე არცთუ საუკეთესო ფორმაში იყოს. მთავარია, საქართველოს ნაკრები ივნისის მატჩებს ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდეს.

- ტოპმიოლერის მიერ განეულ სამუშაოს როგორ აფასებ?

- ერთმნიშვნელოვნად დადებითად. ჩემთვისაც და სხვა ფეხბურთელებისთვისაც მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა, დარწმუნებული ვარ, მისი შრომა შედეგს გამოიღებს. ერთ წელიწადში გუნდი არ შენდება, ტოპმიოლერს უფრო დიდი დრო უნდა მივცეთ. საქართველოს ნაკრებმა შემდეგ ციკლშიც მისი ხელმძღვანელობით უნდა ითამაშოს და შედეგი აუცილებლად მოვა.

- კლუბის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობ?

- „შალკედან" წასვლა რომ მსურდეს, ამ კლუბთან კონტრაქტს 2010 წლამდე არ გავახანგრძლივებდი. წინასწარ ვერავინ იტყვის, რა მოხდება მომავალში, მაგრამ იმის თქმა კი დაზუსტებით შეიძლია, რომ მომავალ სეზონსაც „შალკეში" გავატარებ.

ლევან ჯანეზაშვილი

ასათიანი მაისში ითამაშებს

მანამდე კი ვარჯიშზე გააქვს გოლები

მალხაზ ასათიანს "ლოკომოტივის" შემადგენლობაში მოედანზე გამოსვლა მაისში შეეძლება. ასეთია მოსკოვის "ლოკომოტივის" ექიმთა ვერდიქტი. მათი ვარაუდით იყო შანსი, ქართველ ნახევარმცველს აპრილის ბოლოსაც ეთამაშა, მაგრამ გართულების თავიდან ასაცილებლად, მოედანზე დაბრუნების ვადად მაისის მეორე ნახევარი დაუთქვეს.

დღესდღეობით ასათიანი საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს და გუშინდელ ვარჯიშზე გოლიც გაიტანა, რომელსაც თანაგუნდელები და ღია ვარჯიშზე დამსწრე გულშემატკივრები დიდი ოვაციით შეხვდნენ.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

რა ხდებოდა ლანჩხუთში?

გუშინდელი დღის გაუხმაურებელი დეტალები, ვერსიები და კულუარული ინფორმაციები

გუშინ, დილიდანვე ლანჩხუთში დიდი სტუმრიანობა იყო — მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას თბილისის საკრებულოს წევრი და სფფ-ის პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი გიორგი ნემსაძე პარლამენტარ ვალერი გიორგობიანთან და სხვა მომხრეებთან ერთად სტუმრობდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეროვნული გუნდის ექსკაპიტნის ვიზიტი სწორედ 13 მაისის არჩევნებს უკავშირდებოდა. სანამ "ლელო" ნემსაძეს მისაღებში ელოდებოდა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გუშინვე გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის და 13 მაისის დელეგატთა არჩევნები იყო დანიშნული.

"ლელო" აღნიშნულთან დაკავშირებით შეხვედრიდან გამოსულ გრფფ-ის მოქმედ პრეზიდენტს, დურმიშხან ჩხაიძეს დაეკითხა:

- დღეს გრფფ- ის ყრილობა ტარდება?

- დიახ.

- რატომ იმართება ასე მოულოდნელად?

- ეს ცნობილი იყო... ყრილობა სულ რაღაც 40 წუთს გასტანს და შემდეგ პრესკონფერენციას მოვაწყობთ.

- ყრილობაც დახურულია?

- დიახ...

- რატომ? ეს რეგლამენტით შესაძლებელია?

- რა თქმა უნდა! უკანონობას არ ჩავიდენ. ყველაფერს პრესკონფერენციაზე გეტყვით.

მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მისაღებიდან იმ დარბაზისკენ გადავინაცვლეთ, სადაც ყრილობა ტარდებოდა. კართან იმ დროს მივედით, როცა დარბაზიდან ის-ის იყო პროფლიგის წარმომადგენელი **შოთა ბაქრაძე** გამოაძევეს. როგორც გაირკვა, მას შეხვედრაზე დასწრების უფლება არ ჰქონდა. ბაქრაძე ტელეფონით ვიღაცებს უხსნიდა რაც ხდებოდა და კონსულტაციებსაც იღებდა. "ლელომ" მას კიბეებზე ჩასდია და კომენტარიც დასტყუა:

- ბატონო შოთა, რა ხდება, გარეთ რატომ ხართ?

- ვერაფერს გეტყვით. ასე მოითხოვეს. ჩვენ ვითხოვთ ყრილობა კანონის დაცვით ჩატარდეს.

- და არ ტარდება?

- არა.

- კონკრეტულად რა პრეტენზიები გაქვთ?

- თქვენც კარგად ხედავთ, რა ხდება. შეხვედრა დახურულია, თუმცა ამის შესახებ არავინ იცოდა, არც მედია გააფრთხილეს.

- შეხვედრის შემდეგ კომენტარს გააკეთებთ?

- ვნახოთ, ჯერ სხვას ვერაფერს გეტყვით.

ამასობაში ბაქრაძეს დოკუმენტაცია გამოუგზავნეს დარბაზიდან. ის დიდი ხნის მანძილზე ჩაჰკირკიტებდა რეგლამენტს და შემდგომ პრეტენზია ხმამაღლა აღარ გამოუხატავს.

ამასობაში "ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ ყრილობას, როგორც 4 წლის წინათ, ამჯერადაც პროტესტი გამოუცხადეს ოზურგეთელებმა. კულუარული ინფორმაციით, გურიის სატახტო ქალაქი მხარს **ნოდარ ახალკაცს** გუბერნატორ **მიხო სვიმონიშვილის** დავალებით უჭერდა. თუმცა ოზურგეთელთა 4- კაციანმა წარმომადგენლობამ 13- კაციან ყრილობაზე ვერაფერი შეცვალა, ისევე როგორც 4 წლის წინათ - დურმიშხან ჩხაიძეს მოპროტესტეთა გარდა ყველამ დაუჭირა მხარი და საერთოდაც, 13 კაცში ლანჩხუთი 7 ხმას ფლობდა და ოზურგეთელები ვერაფერს შეცვლიდნენ. თუმცა, შესაძლოა, ისინი ელოდნენ, რომ სვიმონიშვილის დავალებით ლანჩხუთი და ჩოხატაური დათმობებზე წავიდოდნენ, თუმცა ასევე კულუარული ინფორმაციით, ამ უკანასკნელებს ხელისუფლების სხვა ფრთა ჩხაიძის არჩევას და ნემსაძის სასარგებლოდ გარანტირებულ ხმას ითხოვდა. ვალერი გიორგობიანისა და გიორგი ნემსაძის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავკაცის კაბინეტში ვიზიტიც, ალბათ, ბევრის მანიშნებელია.

მოკლედ, ლანჩხუთმა გადაწყვიტა, რომ გიორგი ნემსაძეს აქტიურად უჭერს მხარს და ეს წინასწარ გაირკვა. რა დარღვევებზეც არ უნდა ილაპარაკოს ფედერაციამ, ფაქტი ერთია - გურიის ფავორიტი ეროვნული ნაკრების ექსკაპიტანია. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გურიაში წინასაარჩევნო ვიზიტით მყოფ ნოდარ ახალკაცს დურმიშხან ჩხაიძემ პირდაპირ უთხრა, რომ მის კანდიდატურას იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს, თუკი ნემსაძე არ მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ახალკაცმა ჩხაიძეს ეს სიტყვები არ აპატია - გურული ფეხბურთის მესაჭე აღმასკომში არ მოახვედრა.

გრფფ-ის ყრილობამ 13 მაისის არჩევნებზე წარსადგენი სამი დელეგატი ხელისუფლებიდან "ამოარჩია" - ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი, მისი მოადგილე და ლანჩხუთის "ნაციონალური მოძრაობის" თავკაცი მერაბ ჩხაიძე და ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე იაკობ ზაქარეიშვილი. ხმის უფლებით ეს უკანასკნელი ისარგებლებს.

"ლელომ" ყრილობის დასრულებამდე დარბაზიდან გამოსულ სფფ-ის წარმომადგენელ ამირან კაჭახიძესთან სცადა გასაუბრება. სანამ კომენტარზე დავითანხმებდით, ქართველ მსაჯთა მესაჭე გიორგი ნემსაძეს გაესაუბრა. კაჭახიძე ნემსაძეს რაღაცებს უხნიდა, ისიც გაიძახოდა - მე რა შუაში ვარო, რაზეც ბატონი ამირანიც ეთანხმებოდა - არა, გიო, შენ რა შუაში ხარ, მაგრამ ეს რა დარღვევებიაო. მათი საუბრიდან კიდევ ის გავიგეთ, რომ ნემსაძე კაჭახიძეს უხსნიდა, ეს არჩევნებია და რეზიმ (სავარაუდოდ, არველაძეს გულისხმობდა — მ. ქ.) მე რომ მხარი დამიჭიროს, პირიქით, ეს გამიკვირდება, მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები ვართ, ის დღეს იმ მხარესაა და მხარი ახალკაცს უნდა დაუჭიროსო.

ამის შემდეგ მოხერხდა "ლელოს" გასაუბრება ამირან კაჭახიძესთან.

- რას იტყვით, რა ხდებოდა ყრილობაზე?

- ვერაფერს გეტყვით, მე ბოლომდე არ დავრჩი...

- კომენტარს არ გააკეთებთ?

- კი, კი, კომენტარს გავაკეთებ... "ლელო" ხომ?

- დიახ. დარღვევები იყო?

- რა თქმა უნდა, გენმდივანმაც კი არ იცოდა, ყრილობა რაზე ტარდებოდა, არც დელეგატებმა იცოდნენ. როცა ამით დავინტერესდი, დურმიშხან ჩხაიძემ ჭკუა იხმარა და დღის წესრიგის წაკითხვა დაიწყო.

- კიდევ რას იტყვით?

- რატომ დახურეს ყრილობა. მედიაც არ დაგიშვეს ხომ?

- დიახ. ფედერაცია ინფორმირებული იყო ამის შესახებ?

- არა.

- აბა, თქვენ და ბაქრაძე როგორ მოხვდით აქ?

- კულუარული ინფორმაცია გვქონდა, ჩვენ ქობულეთში მივდიოდით და...

დურმიშხან ჩხაიძე



შოთა ბაქრაძე ყრილობიდან გააძევეს

- ბაქრაძე რატომ არ დაუშვეს?

- უთხრეს უფლება არ გაქვსო. სხვა ვერაფერს გეტყვით...

- რას ფიქრობთ, ხელისუფლება უხეშად ერევა არჩევნებში?

- არავითარ შემთხვევაში არ მაქვს ამის თქმის საფუძველი...

- სხვა სუბიექტების შემთხვევაშიც ასე რომ მოხდეს, მაშინაც ასე იტყვით?

- არა მგონია, სხვაგანაც ასე მოხდეს.

- მოკლედ, რა დასკვნა გამოიტანეთ?

- ვერაფერი, აქ იყო ჩხაიძის არჩევნები და ჩვენ გვინდოდა, ყველაფერი კანონიერად ჩატარებულიყო, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

- დელეგატებიც აირჩიეს.

- ვერ გეტყვით, მე დავტოვე ყრილობა.

- პროტესტის ნიშნად?

- იცით, ეს მარტო პროტესტი არ იყო, აზრი არ ჰქონდა.

- ალბათ, სფფ-ს საქმის კურსში ჩააყენებთ?

- მარტო მათ კი არა, აი, თქვენ გესაუბრებით და მთელ საქართველოს საქმის კურსში ვაყენებ.

დასასრულს "ლელო" დურმიშხან ჩხაიძესაც ესაუბრა:

- გილოცავთ არჩევას. რატომ ჩატარდა ყრილობა დახურულად და გასაიდუმლოებულ ვითარებაში?

- არაფერი გასაიდუმლოებული არ იყო, დელეგატებმა ამის შესახებ 2 კვირით ადრე იცოდნენ.

- კაჭახიძე აცხადებს, რომ გენმდივანმაც არ იცოდა, რატომ იმართებოდა ყრილობა. დელეგატებს თქვენ იქვე გააცანით მიზეზი.

- არ არის ასე, მე ბატონ ამირანს ვთხოვე გამოეკითხა დელეგატები. რა გამოდის, ეს ხალხი ვერ ხვდება, როდის გააფრთხილეს? ეს მათი შეურაცხყოფაა.

- გურია გიორგი ნემსაძეს უჭერს მხარს?

- დიახ. ჩვენ უკვე გავგზავნეთ შესაბამისი წერილი - მის კანდიდატურას გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია წარადგენს.

- უხერხული ხომ არ არის დელეგატებად მხოლოდ სახელისუფლო ხალხი რომ აირჩიეთ?

- შესაძლოა, უხერხული იყოს, მაგრამ... მე ჩემი კანდიდატურა მოვხსენი, რადგან მივხვდი, რომ ვერ გავაკეთე საქმე ისე, როგორც მინდოდა, ამიტომაც ახლა ეს ადამიანები ავირჩიეთ.

- ხმის მიცემა რა სირთულეს წარმოადგენს?

- დელეგატებს მარტო ხმის მიცემა არ ევალებათ, ბევრის გაკეთება შეუძლიათ.

მოკლედ, ასეთი ვითარებაა, ისევე როგორც გიორგი ნემსაძეს, ნოდარ ახალკაცსაც ხელისუფლების ერთი ფრთა უჭერს მხარს და ეს გურიაშიც კარგად გამოჩნდა - წინა დღით გუბერნატორი სვიმონიშვილი ბევრს კი ეცადა, მაგრამ საფეხბურთო ლანჩხუთის დაყოლიება არ მოხერხდა. **მერაბ ჟორდანიას** მშობლიურ რაიონში ნოდარ ახალკაცს გასაგები მიზეზების გამო მხარს არ უჭერენ, თან ნემსო გურულია და ყველაფრის გათვალისწინებით, გურიაში გიორგი ნემსაძის ფრთამ უკვე გაიმარჯვა. რა მოხდება ქვეყნის მასშტაბით 13 მაისის არჩევნები გვიჩვენებს.

მამუკა ძანთარია
ლანჩხუთიდან

გიორგი ნემსაძე, შოთა ბაქრაძე და ამირან კაჭახიძე

ხელისუფლების ჩარევა გამორიცხულია... ასე ერთი ჯგუფი შეიძლება სხვას უჭერდეს მხარს, მეორე — სხვას...

გუშინ "ლელომ" ლანჩხუთში სტუმრად მყოფ გიორგი ნემსაძეს რამდენიმე კითხვა დაუსვა:

- პირველი ვიზიტით გურიას და კერძოდ, ლანჩხუთს რატომ ესტუმრეთ?

- ლანჩხუთი ჩემი მშობლიური რაიონია, აქ გავიზარდე, ერთი წელი ვთამაშობდი "გურიაში".

- თქვენ გურია 2 წლის წინათაც აქტიურად გიჭერდათ მხარს...

- დიახ და ამიტომაც არის, რომ დღეს აქ ვარ.

- თქვენი პროგრამა ჯერ უცნობია, რის შეცვლას აპირებთ? ვთქვათ, რაიმე რადიკალური სიახლე ხომ არ გაქვთ

გურია. პრეზიდენტობის კანდიდატის პირველი ვიზიტი

გიორგი ნემსაძე: არჩევნებს აუცილებლად მოვიგებ!

იგივე უმაღლესი ლიგის ფორმატთან, თასთან დაკავშირებით და ა. შ.

- არა, ამ მხრივ ისევე გაგრძელდება, როგორც არის, თუმცა სიახლეები იქნება, რასაც ამჟამად ვერ გეტყვით. ეს არ იქნება ერთპიროვნული გადაწყვეტილება, სპეციალისტებთან გავივლით კონსულტაციას.

- "გურიასთან" დაკავშირებით რაიმეს ხომ არ აპირებთ?

- ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ფეხბურთი განვითარდეს. დღეს არა მარტო რეგიონებში უჭირს ფეხბურთს, ცუდი ტენდენციაა, რომ რეგიონულ კლუბებშიც კი თბილისელები თამაშობენ უმეტესად. ჩვენ მართლაც ბევრი გეგმა გვაქვს ამასთან დაკავშირებით...

- რამდენიმე დღის წინათ, ვალერი გიორგობიანმა გვითხრა, რომ თქვენ კონკრეტული გეგმები გაქვთ "გურიასთან" მიმართებაში.

- ჩვენ ზოგადად ფეხბურთის განვითარებაზე ვიზრუნებთ და, რა თქმა უნდა, ისეთ ტრადიციულ კლუბებს, როგორიც "გურიაა" უყურადღებოდ არ დავტოვებთ.

- ვინ წარადგენს თქვენს კანდიდატურას?

- მსურველი ბევრია, მაგრამ არ მინდა ახლა დაკონკრეტება, რომ ვინმესთვის საწყენი არ იყოს.

- ვისი იმედი გაქვთ ყველაზე მეტად?

- იმავე მიზეზით ამასაც ვერ გეტყვით.

- გრფფ-ის ყრილობას დაემთხვა თქვენი ვიზიტი თუ დაამთხვიეთ?

- არა, ეს უბრალოდ დაემთხვა.

- შანსებს როგორ შეაფასებთ? ამბობენ, რომ მყარი გარანტიის გარეშე კენჭს არ იყრიდით.

- არჩევნებს აუცილებლად მოვიგებ...

- ხელისუფლება მართლა გეხმარებათ?

- არა, ხელისუფლება ვერ ჩაერევა. ასე ვიღაცას, შესაძლოა, ჩემი ნახვა უნდოდეს პრეზიდენტად, ვიღაცას - სხვისი, მაგრამ ხელისუფლება არ ჩაერევა არჩევნებში.

- ანუ გამორიცხავთ, რომ ხელისუფლება ჩაერევა და ფიფა-, უეფას გაანაწყენებს?

- კი, გამორიცხულია.

- თუ თქვენ არ გაქვთ გარკვეული გარანტიები, როგორ ამბობთ, რომ აუცილებლად მოიგებთ არჩევნებს?

- სანამ გადავწყვეტდი მონაწილეობას არჩევნებში, წინასწარ მოთელვა ჩავატარე და გადაწყვეტილება საფეხბურთო სუბიექტების მხარდაჭერის შემდეგ მივიღე.

მამუკა ძანთარია
ლანჩხუთიდან

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის III კონფერენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი აფხაზეთიდან ყოველთვის უდიდესი შევსებას იღებდა. ამ ულამაზესი კუთხის დროებითი ჩამოშორებით, არა მარტო ქვეყანამ, არამედ ჩვენმა ფეხბურთმაც ბევრი რამ დაკარგა. თუმცა, უკვე წლებია აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც სოხუმიდან თბილისშია გადმოხვეწილი, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, საფეხბურთო პოტენციალი და მწვრთნელთა გამოცდილება, რომელსაც აფხაზეთის შვილები შეადგენენ სწორად მიმართოს ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ – აი, ასეთია ფეხბურთის მესვეურთა პოზიცია, რომის ერთი ნაწილი დღეს (ტექნიკურ ცენტრ "ბასაში") აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის რიგით მე-3 კონფერენციაში იღებს მონაწილეობას.

ნოდარ ახალკაცი (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი)

აფხაზეთი ოქროს ფურცელებია ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში



- **ქართულ** ფეხბურთში აფხაზეთის როლი მასშტაბური და მრავლისმომცველია. აფხაზეთი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, მართლაც, რომ ოქროს ფურცლებია, რომელიც ამ ულამაზეს კუთხეში დაბადებულმა ფეხბურთის გენიოსებმა შექმნეს. მათ არაერთხელ ასახელეს საქართველო და ჩვენი ფეხბურთის დიდებაშიც ლომის წილი მიუძღვით. მამაჩემისგან ხშირად მსმენია და მერეც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ აფხაზეთიდან წამოსულ ფეხბურთელებს თამაშის გამორჩეული სტილი და მანერა ჰქონდათ. აფხაზეთის იძულებითი დატოვებით, საფეხბურთო რესურსის გარდა, უძვირფასესი ინფრასტრუქტურა დავკარგეთ. ლესელიძისა და ეშერას ბაზებზე არა მარტო ქართული და საბჭოური, არამედ აღმოსავლეთ ევროპის გუნდებიც გადიოდნენ მოსამზადებელ შეკრებებს. მჯერა, ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში და ამ კუთხეს ისევ ავაღორძინებთ. აფხაზეთის დაბრუნება ქართული ფეხბურთისთვის დიდი შენაძენი იქნება. აფხაზეთში დაბადებული ჭაბუკი მოთამაშეები, დღესაც ასპარეზობენ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში და, იმედია, ამ კუთხის გამორჩეულ წარმომადგენელთა მდიდარ ტრადიციას გააგრძელებენ.

ვლადიმერ ბარქაია (ვეტერანი ფეხბურთელი)

მჯერა, დავბრუნდებით

- აფხაზეთი ქართული ფეხბურთის ისტორიის დიდი და ლამაზი ნაწილია. ამ მადლიანი კუთხიდან ქართული ფეხბურთი ყოველთვის გამორჩეულ შევსებას ღებულობდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო: **ბასა ღოღობერიძე, ვოვა მარღანია, ნიაზ ძიაპშპა, ბორის ხასაია, გიორგი სიჭინავა, გიგა ნორაკიძე, ვიტალი დარასელია, გოჩა გავაშელი** და სხვები. აფხაზეთის შვილები ყოველთვის ტექნიკურ, ლამაზ და გამორჩეულ ფეხბურთს თამაშობდნენ. დღეს ეს კუთხე, სამწუხაროდ, მოწყვეტილია საქართველოს. აქედან გამომდინარე, იმ საფეხბურთო მდინარითაც ვეღარ ვსარგებლობთ, რომელიც ამ კუთხიდან ქართულ ფეხბურთში მოედინებოდა. თუმცა, მჯერა ეს დროებითია.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ფუნქციონირებს და, რამდენადაც ვიცი, ყველანაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ აფხაზეთის საფეხბურთო რესურსი მაქსიმალურად და სწორად იქნას გამოყენებული. აფხაზეთის ფედერაციის თავკაცი **მურად ანჯაფარიძე** ნაკითხი კაცია, ჩინებული ორგანიზატორული ნიჭი აქვს, პატიოსანია და საქმესაც ჩინებულად უძღვება.

აფხაზეთი? ეჰ, ჩემს აფხაზეთს სიზმარში ხშირად ვხედავ. გაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე... მთელი აფხაზეთი მესიმზმრება და მენატრება. ხშირად ვიხსენებ იმ დროს, როცა ქართველი, აფხაზი, სომეხი, ბერძენი... ყველა ძმებივით ვცხოვრობდით. მჯერა ჩვენ დავბრუნდებით და იმ ტკბილ დროსაც დავაბრუნებთ, როცა ყველანი ერთი დიდი ოჯახი ვიყავით.

გრიგოლ ცაავა (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი)

ვამაყობ, რომ აფხაზეთის შვილი ვარ



- უბედნიერესი კაცად ვთვლი თავს და ვამაყობ, რომ აფხაზეთის შვილი ვარ. წლების განმავლობაში ეს რეგიონი ასეულობით მოთამაშეს, მათ შორის ათეულობით გამორჩეულ ფეხბურთელს, აწვდიდა ქართულ ფეხბურთს.

მერწმუნეთ, ალალად ვამბობ და არაფერს ვამატებ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, არაფერს იშურებს რეგიონისა და, საერთოდ, ქართული ფეხბურთისთვის. ამისი არდანახვა შეუძლებელია. სფფ-ისა და აფხაზეთის ფედერაციას საქმიანი, კონსტრუქციული ურთიერთობა გვაკავშირებს ერთმანეთთან. ჩვენ ერთად ვემსახურებით იმ საერთო საქმეს, რასაც ქართული ფეხბურთი ჰქვია.

აფხაზეთი ძალიან მენატრება და ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდებით მშობლიურ მიწაზე. იქაც ფეხზეა დასაყენებელი ფეხბურთი. დავბრუნდეთ და მჯერა, მოკლე ხანში, ქართულ ფეხბურთში აფხაზეთი კვლავაც მნიშვნელოვანი რეგიონი იქნება. ერთსაც აღვნიშნავდი, ფეხბურთს დღესაც შეუძლია ამ კონფლიქტში შემრიგებლის მისია შეასრულოს, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

ამონარიდები **მურად ანჯაფარიძის** მოხსენებიდან

იმედით აფხაზეთისკენ



აფხაზეთში ფეხბურთს თითქმის საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. სოხუმში პირველი საფეხბურთო კოლექტივი 1908 წელს ჩამოყალიბდა. როგორც იმდროინდელი საინფორმაციო წყაროები იუწყებოდნენ, აფხაზეთის დედაქალაქში, კოინდრით მოფარდაგებულ ერთ-ერთ მოედანზე სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ორად გაიყვნენ და ტყავის პატარა საგნის გორება დაიწყეს. იმავე წელს სოხუმის ახალგაზრდობამ რამდენიმე გუნდი შექმნა. გუნდის სახელებიც მრავლისმეტყველი შეარჩიეს, "არნივი", "იმედი" და სხვა.

... 1936 **წლიდან** საბჭოურ ფეხბურთში განხორციელებულმა ცვლილებებმა სოხუმის გუნდებს საშუალება მისცა, უფრო მაღალი დონის შეჯიბრებებში ეასპარეზათ.

აქიდან მოყოლებული, აღსანიშნავია გამარჯვება 1944 და 1948 წლებში სოხუმის "დინამოს" მიერ საქართველოს თასის გათამაშებაში. სოხუმელმა ფეხბურთელებმა ფინალში 2:1 და 5:3 დაამარცხეს, შესაბამისად, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები...

1990 **წელს** საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და ბატონი ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით, ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის შექმნის შემდეგ, აფხაზეთში ყველა მიმართულებით დაიწყო დაპირისპირება. ეს ფეხბურთსაც შეეხო და ვითარება უკიდურესად გამწვავდა. სოხუმის "დინამო" ორად გაიყო. აფხაზმა პოლიტიკოსებმა სოხუმის "დინამო", ჯერ კიდევ არსებულ სსრკ-ის ჩემპიონატში მიავლინეს სათამაშოდ. გუნდის ძირითადი ნაწილი, რომელიც ქართველებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც "ცხუმი" ეწოდა, საქართველოს ჩემპიონატში ჩაერთო. "ცხუმმა" 1990-92 წლებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. გუნდი, რომელიც ჩინებული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, ლიდერთა შორის დამკვიდრდა. გუნდის შემადგენლობაში ისეთი მოთამაშეები ასპარეზობდნენ, როგორებიც იყვნენ: **გრიგოლ ცაავა, გიორგი ჩიხრაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, გელა ინალიშვილი, გოჩა გოგრიჭიანი, სოსო მალანია, იური გაბისკირია, დიმიტრი პაპავა, ზურაბ ფარულავა, თემურ გადელია, თენგიზ სიჭინავა, გოჩა ჟორჟოლიანი, მამუკა რუსია** და სხვები. აფხაზეთის ტრაგედია რომ არა, ეს თაობა ევროპის სტადიონებზე უფრო მეტად წარმოაჩენდა ქართულ ფეხბურთსა და ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროდ, ომმა ბევრ მათგანს, საფეხბურთო ფორმის ნაცვლად, მეომრის ფარაჯა ჩააცვა. სხვა პატრიოტებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირნენ, სოხუმის "ცხუმის" პირველი პრეზიდენტი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ომის ქარცეცხლში გახვეული სოხუმის მერი **გურამ გაბისკირია**, ამავე გუნდის უფროსი მწვრთნელი **ირაკლი ქოიავა** და გუნდის ექიმი **იური ხაბურზანია**...

...**აფხაზეთის** ფეხბურთის ფედერაცია და მისი აღმასკომი თავის საანგარიშო პერიოდში გეგმაზომიერად საქმიანობდა, აფხაზეთისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციების წესდებების, საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. ყოველწლიური სამოქმედო ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიების დამტკიცებით. 2002 წლის 7 ივნისიდან დღემდე, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა 19 სხდომა ჩაატარა და 102 საკითხი განიხილა.

... "**იმედის**" თასის გათამაშება, რომელსაც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს ბავშვთა და მოზარდთა შორის, ფეხბურთის განვითარების წარმატებულ პროექტად ითვლება. ეს შეჯიბრება, ჩვენი ფედერაციის ინიციატივითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სრული მხარდაჭერით, უკვე მესამე წელია ტარდება.

ამ გათამაშებაში 2004-05 წლებში 16 გუნდი მონაწილეობდა, 2005-06-ში უკვე 20. მიმდინარე სეზონში კი "იმედის" თასის გათამაშება სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება: უფროსი ასაკი (1985-89 წლებში დაბადებულები), საშუალო ასაკი (1990-91 წლებში დაბადებულები) და უმცროსი ასაკი (1991-92 წლებში დაბადებულები).

წყალტუბოში, თბილისსა და ბათუმში განთავსებული დევნილების ოჯახებიდან 200-ზე მეტი ბავშვი ყოველწლიურად მონაწილეობს "ღია სახალისო ფეხბურთის" საერთაშორისო პროგრამაში.

მესამე წელია, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, შესაბამისი პროგრამით, აქტიურად მუშაობს მსაჯების მოსამზადებლად. 14 ახალგაზრდას მივანიჭეთ II და III კატეგორიები, მათ შორის ორი არბიტრი გოგონა აფხაზეთიდანაა. ჩვენი მომზადებული სამი მსაჯი უმაღლეს ლიგაში ასისტენტია, ოთხი კი - პირველი ლიგის მატჩებს ემსახურება.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნევრ რეგიონულ ფედერაციებთან – ქვემო ქართლისა (პრეზიდენტი **ლაშა მინდელი**), და კახეთის (პრეზიდენტი **გოჩა როსტომაშვილი**). განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან (პრეზიდენტი **ნუკრი კაკილაშვილი**, გენერალური მდივანი **რევაზ მგელაძე**) შეთანხმებული, ერთობლივი საქმიანობა, სრული ურთიერთგაგება ფეხბურთის განვითარების ძირეულ საკითხებში.

ხშირი და საქმიანია ჩვენი კონტაქტი აჭარისა (პრეზიდენტი **ალექსანდრე ახვლედიანი**) და იმერეთის ფეხბურთის ფედერაციებთან (პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **ვალერი მანაგაძე**). განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის **სერგო კვარაცხელიას** მიმართ, იმ გულისხმიერი და კეთილი დამოკიდებულების გამო, რომელსაც ისინი იჩენენ აფხაზეთიდან დევნილი მოზარდი ფეხბურთელებისა და გუნდების მიმართ.

ყოველდღიურ ყურადღებას ვგრძნობთ მცხეთა-მთიანეთის ფედერაციის ხელმძღვანელების, ბატონების, **ვლადიმერ გუცაევისა** და **ვიტალი გრძელიშვილის** მხრიდან. ჩვენს საქმიანობაში მოკრძალებული წარმატებების საფუძვლად მიგვაჩნია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა.

დღეისათვის საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში აფხაზეთის 5 გუნდი მონაწილეობს. ესენია: "გაგრა" (I ლიგა), "გაგრა 2", სოხუმის "ცხუმი", "ოჩამჩირე" – აღმოსავლეთ რეგიონლიგაში და "გაგრა 3" დასავლეთ რეგიონლიგის სამეგრელოს ზონაში.

აფხაზეთის ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **ბონდო კაკუბავა**) სამი ამხანაგური, საკვალიფიკაციო მატჩი ჩაატარა – 2003 წელს გურჯაანში კახეთის ნაკრებთან, 2004 წელს თბილისში, თბილისის "დინამოსთან", 2005 წელს კი ბოლნისში, ადგილობრივ "სიონთან".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ სასელექციო პროექტში, რომელიც 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატების მოძიებას ემსახურებოდა, აფხაზეთის გუნდიც მონაწილეობდა და თბილისის ნაკრები დამარცხა. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში აფხაზეთიდან ორი მოთამაშეა – **ნიკა შონია** და **დათა რიგვავა**. გვჯერა, რომ ისინი წინა თაობების წარმატებების გზას გააგრძელებენ.

ქართულ ფეხბურთს, მოთამაშისა თუ მწვრთნელის რანგში, დღეისათვის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი ემსახურება. ესენი არიან: **თემურ ქეცბაია, ზურაბ ქვაჩახია, გოგი ფიფია, აკაკი ხუბუტია, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ფანცხავა, მიხეილ ჯიშკარიანი, გიორგი ჩიხრაძე, ნუგზარ ბოჯგუა, სოსო მალანია**... კონფერენციის მონაწილეთა სახელით, მინდა, მათ წარმატებები და დიდი გამარჯვებები ვუსურვო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთი ფაქტი – თბილისის მერიისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით, 2006 წელს ზემო აფხაზეთში ხელოვნურსაფარიანი ორი მოედანი გაკეთდა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის III კონფერენცია



თემურ ძაცბაია
(ანორთოსისის მწვრთნელი):

აფხაზეთი გულზე გვანერია

- აფხაზეთს ლომის წვლილი მიუძღვის ქართულ ფეხბურთში. სამწუხაროდ, უკვე წლებია ამ ძირძველ ქართულ მიწაზე ქართველი ვეღარ ხარობს. თუმცა, მჯერა ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება. ღმერთმა ქნას მალე დავბრუნდეთ აფხაზეთში და თანაც მშვიდობიანად. იმედი მაქვს ეს ჩქარა მოხდება. მშობლიურ მიწაზე დავბრუნდებით, ყველაფერ დანგრეულს აღვადგენთ, ფეხზე დავაყენებთ და მათ შორის ფეხბურთსაც

ნოსტალგია აქ კვიპროსზეც არ მასვენებს. დღესაც მახსოვს აფხაზეთი, გალი, ჩემი სახლი, ქუჩა, მეგობრები. ამ უძველესი ქართული მიწიდან იძულებით წამოსულებს, აფხაზეთი ყველას გულზე გვაწერია. ჩვენ ყველას გვჯერა რომ დავბრუნდებით.

ბესო ჩიხრაძე
(ს.კ. გაგრის პრეზიდენტი):

ყველას გაგრაში ვუმასპინძლებთ

- აფხაზეთის როლი და მისია უდიდესია ქართულ ფეხბურთში. თუნდაც, დიუსელდორფში, 1981 წლის 13 მაისს, თასების თასის ფინალში **ვიტალი დარასელიას** მიერ გატანილი გოლი რად ღირს.

ვალენტინ ივანოვის 75 წლის იუბილის აღსანიშნავი ფოტოები ვნახე. ერთ ფოტოზე 1965 წელს ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრების ფოტოც. ერთი რამ დავაფიქსირე – ფოტოზე აღბეჭდილი 11 ფეხბურთელიდან ორი აფხაზეთიდანაა, კერძოდ კი ჩემი მშობლიური გაგრიდან **ვლადიმერ ბარქაია** და **გიორგი სიჭინავა**. რაღა დაგიმალოთ და სიამაყის გრძნობა დამეუფლა.



რაც ვიცი და ვხედავ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია საკმაოდ ქმედითუნარიანია. რეგიონის გუნდებისთვის, რომ იტყვიან, თავი აქვს გადადებული. ყურადღებას არ აკლებს და ყველანაირად მხარში უდგას.

ჩვენ გუნდში უმეტესობა გაგრელი ბიჭები თამაშობენ და სწორედ მათი აზრის გათვალისწინებით დავარქვით ჩვენს გუნდს "გაგრა". ჩვენი მიზანია ნიჭიერი ფეხბურთელები მივაწოდოთ ნაკრებ გუნდებსა და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთს. გვჯერა აფხაზეთში მალე დავბრუნდებით და მეტოქე გუნდებს მშობლიურ ქალაქში ვუმასპინძლებთ.

უკვე წლებია უკრაინაში ვცხოვრობ და ვსაქმიანობ. იმდენად მოუთმენლად ველი აფხაზეთში დაბრუნებას, რომ უკრაინაში კარგა ხნის განმავლობაში ბინას არ ვყიდულობდი. უბინაოდ ძალიან გამიჭირდა და უკრაინაში გადახვენიდან მხოლოდ 5 წლის მერე ვიყიდე ბინა. თუმცა, არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მოქალაქეობა არ შემიცვლია. ამის გამო არაერთი პრობლემა შემხვდა, კვლავაც საქართველოს მოქალაქე ვარ.

გიორგი ჩიხრაძე
ამერის მთავარი მწვრთნელი:

მჯერა, დავბრუნდებით

- აფხაზეთის როლი ქართული ფეხბურთის განვითარებაში მართლაც რომ უდიდესია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, აფხაზეთში დიდი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა იყო. ლესელიძესა და ეშერაში არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აღმოსავლეთ ევროპიდანაც ჩამოდიოდნენ გუნდები მოსამზადებელი შეკრების გასავლელად. ფაქტობრივად, მაშინ ლესელიძისა და ეშერას ბაზები თითქმის იგივე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც დღეს ანთალია ასრულებს. ამას კი არაერთი დატვირთვა ჰქონდა. ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმესაც დიდად წაადგა. ეროვნულ ჩემპიონატის სტარტზე აფხაზეთი სამი გუნდით, "ცხუმი", "ოჩამჩირე" და "მზიური" იყო წარმოდგენილი და სამივე გამორჩეული გახლდათ. ამ და სხვა გუნდებში, ახლო წარსულსა და ამჯერადაც, აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილი არაერთი გამორჩეული ფეხბურთელია. ეს მოთამაშეები კლუბების გარდა ეროვნულ თუ სხვა ასაკის ნაკრებებსაც ამშვენებენ.

აფხაზეთში კლიმატური პირობები ისეთი იყო, რომ თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეგეძლო ხარისხიან მინდორზე თამაში თუ ვარჯიში. აფხაზეთის დაკარგვა ქვეყანასთან ერთად ქართულ ფეხბურთსაც დაეტყო. აფხაზეთის შვილი ფეხბურთელები დღესაც გამორჩეულები არიან, მაგრამ ეს ალბათ უფრო ინერციითა. ასე რომ, დროა დავბრუნდეთ და იქიდან ვემსახუროთ ქვეყანასა და ქართული ფეხბურთს. რაღა თქმა უნდა, მეც და აფხაზეთის ყველა შვილს საკმაოდ გვენატრება ჩვენი მშობლიური მინა. მჯერა დავბრუნდებით.

რაც შეეხება აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას, ეს ორგანო შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, როგორც ჩვენი ფეხბურთის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის.

გოგი ფიფია
ზესტაფონის ნახევარმცველი:

დღესაც მახსოვს...

- ასაკიდან გამომდინარე ქართული ფეხბურთის წარსულის დიდი ცოდნით ვერ დავიკვეხნი. თუმცა, რაც მსმენია და ვიცი, იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთის როლი ქართული ფეხბურთის განვითარებაში, მართლაც გამორჩეულია. წინა თაობებიდან **ბარქაიასა** და **დარასელიას** გახსენება რად ღირს, ბოლო პერიოდში კი ხმაურიანი სახელი **ქეცბაიაა**.

სასიხარულოა, რომ აფხაზეთის გუნდები სიდუხჭირის მიუხედავად, დღეს მაინც ასპარეზობენ ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგებში. ამას გარდა, აფხაზეთის ნაკრებიც პერიოდულად იკრიბება და ამხანაგურ მატჩებს ატარებს. თავადაც გახლდით ერთ-ერთი ასეთი მატჩის მონაწილე- ბოლნისში, ადგილობრივ "სიონს" ვეთამაშეთ.

ნოსტალგია? 6 წლის ვიყავი, როცა 1992 წელს ომი დაიწყო და იძულებით მოგვიწია აფხაზეთისა და ჩემი ოჩამჩირის დატოვება. ასაკით პატარა ვიყავი, მაგრამ ახლაც მახსოვს, ოჩამჩირე, ჩემი სახლი, მდინარე არასადეხი, მეზობლები, რომელთა შორის აფხაზებიც იყვნენ და ყოველდღე ერთად ვთამაშობდით. არ მინდა დავიჯერო რომ აფხაზეთში დაბრუნება კიდევ

აფხაზეთიდან მეტად ვახეირებთ ქართულ ფეხბურთს

აფხაზეთის შვილები, ისინი, რომელთაც ომის ქარცეცხლი გამოიარეს და იძულებით მოუწიათ საკუთარი ქალაქისა და ულამაზესი კუთხის დატოვება, კვლავაც ქართული ფეხბურთის ფერხულში არიან. მათ ენატრებათ, აფხაზეთი, სულმოუთქმელად ელიან დაბრუნებას... ასაკისა და პოზიციის მიუხედავად, მათი ფიქრებისა და განცდების ამოსავალი წერტილი ერთია.

ბონდო კაკუბავა
საფეხბურთო სკოლა ავაზას მწვრთნელი:

- უკვე 5 წელია, რაც "ავაზაში" ვმუშაობ. 15 სექტემბერს კი 40 წელი გახდება, რაც ქართულ ფეხბურთში ვსაქმიანობ. 1991 და 1997 წლებში დაბადებული ბავშვების თითო გუნდი მყავს.

აფხაზეთი ქართულ ფეხბურთს წლების განმავლობაში დიდ შევსებას აძლევდა. სამწუხაროდ, აფხაზეთი დავკარგეთ, მაგრამ იმედი მაქვს, მხოლოდ დროებით.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველანაირად ცდილობს, ჩვენი საფეხბურთო პოტენციალი სწორი მიმართულებით წარმართოს. რეგიონლიგის გათამაშებაში 16 გუნდი მონაწილეობს. ამ გუნდების მოთამაშეთა (რომლებიც 15-18 წლის ბიჭები არიან) უმეტესობა სწორედ აფხაზეთის შვილები არიან. სამწუხაროდ, საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა მისახედი. ნორმალური მოედანი უმაღლეს ლიგაშიც ჭირს. თუ ფეხბურთის განვითარება გვინდა, მოედნებსა და ბავშვთა ფეხბურთს უნდა მივხედოთ...

აფხაზეთი ყველას ძალიან გვენატრება. ბუნებრივია, დღესაც იმ მიწაზე რომ ვცხოვრობდეთ, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, ბევრად უფრო დიდ შევსებას მივცემდით ქართულ ფეხბურთს.

ერთსაც გეტყვით, აფხაზეთი იმდენად მენატრება, რომ ამ ცოტა ხნის წინ ვიდეოკასეტებიც კი ჩამოვატანინე. ვიდეოფირზე მასალის უმეტესობა სწორედ სტადიონებსა და სპორტულ ბაზებს უკავშირდება. ასე რომ, ვიდეოფირით ვიკლავ აფხაზეთით გამოწვეულ ნოსტალგიას. თუმცა, მჯერა დავბრუნდებით და ნოსტალგიაც წარსულში ჩარჩება.

გოჩა ჭორჭოლიანი
აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი, მწვრთნელი:

- სამწუხაროდ, სოხუმის "დინამო" დაიშალა და ამჟამად რეგიონალლიგაში მოასპარეზე, აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრში ვმუშაობ მწვრთნელად. ჩვენი გუნდის საქმეები კარგად მიდის. მეორე ადგილზე ვართ და პირველ ლიგაში გადასვლის კარგი შანსი გვაქვს. პირველზე "გაგრა2"-ია, მაგრამ, ამ გუნდს პირველ ლიგაში აღზევების უფლება არ აქვს. თუმცა, ქართულ ფეხბურთში არასტაბილური ფინანსური მდგომარეობაა და ჩვენი გუნდის დაშლის საფრთხეც არსებობს.

ქართული ფეხბურთი აფხაზეთიდან ყოველთვის დიდ შევსებას იღებდა. კარგად მახსოვს, უელსს შინ 5:0 რომ მოვუგეთ, იმ მატჩში აფხაზეთის ექვსი წარმომადგენელი ასპარეზობდა ჩვენს ნაკრებში. ცუდი კონტინგენტი დღესაც არ გვყავს, მაგრამ ფინანსურად გვიჭირს. კარგი იქნებოდა "გაგრის" დარად რამდენიმე სტაბილური კლუბი რომ იყოს. "გაგრის" პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძე** მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. აშკარად ეტყობა ამ კაცს ჰყვარებია ქართული ფეხბურთი. ღმერთმა ქნას, მისნაირი ბევრი გამოჩნდეს ქართულ ფეხბურთში.

მურმან ფენდერავა
ოჩამჩირის მწვრთნელი:

- მას მერე რაც აფხაზეთის დატოვება მოგვიწია, თბილისში, "მერანი-91-ში დავიწყე მუშაობა. 1987 წელში დაბადებული ბავშვები შევკრიბე და დღემდე მოვიყვანე. სხვადასხვა ტურნირებზე ვმონაწილეობდით, 2001 წელს მიხეილ მესხის თასიც მოვიგეთ. ოჩამჩირეში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ გადაგწვიტე, ჩემი შეგირდებისგან გუნდი ჩამოგვეყალიბებინა, სახელად "ოჩამჩირე". **ბონდო კაკუბავასთან** ერთად სპონსორიც მოვძებნეთ. ოჩამჩირელი **ნოდარ ესათია** მხარში დაგვიდგა და სწორედ მისი დამსახურებაა, თითქმის ორი წლის განმავლობაში, "ოჩამჩირე" რეგიონალლიგაში რომ ასპარეზობს. ეს ღვთისნიერი კაცი ყველანაირად მხარში გვედგა, ეკიპირება იქნებოდა ეს, ტრანსპორტირება, თუ სხვა ხარჯები. თუმცა, მხოლოდ ერთი კაცისთვის ძნელია, გუნდის შენახვა და მასაც გაუჭირდა. ზამთრის პაუზისას დაშლის პირას ვიყავით, მაგრამ აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი **მურად ანჯაფარიძე** დაგვეხმარა და "ოჩამჩირე" დღემდე ასპარეზობს. ამ სეზონსაც დავასრულებთ, არის იმედი რომ სპონსორი გამოგვიჩნდება. ერთი სიტყვით, მომავლის იმედით ვართ და გვჯერა ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

აფხაზეთის ფედერაცია ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის: რეგიონლიგა, იმედის თასი, აფხაზეთის ნაკრები შექმნეს სხვადასხვა ასაკში... ერთი სიტყვით, მაქსიმუმს აკეთებს საქმე წინ რომ წავიდეს.

ირაკლი ანჩაბაძე
ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი:

- ადრე "თბილისი 2000-ში" ვმუშაობდი, ამჟამად კი ვარკეთილში მდებარე საფეხბურთო სკოლაში ვარ.

ქართული ფეხბურთი იმითაა გამორჩეული, რომ ყველა კუთხის წარმომადგენელს თამაშის საკუთარი მანერა, თავისი ხელწერა აქვს. სწორედ ამით ვართ მდიდარი. გავიხსენოთ თბილისის "დინამოს" ოქროს თაობის წარმომადგენლები. მათი დიდი ნაწილი სწორედ აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილი იყო.

სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. მშობლიური ქალაქის დასაცავად, დაცემის ბოლო დღეებამდე ვიბრძოდი კიდეც. რაღა თქმა უნდა, ჩემი სოხუმი და აფხაზეთი ძალიან მენატრება. მჯერა დავბრუნდებით და იქიდან უფრო მეტ სარგებელს მოვუტანთ ჩვენს ქვეყანასა და ფეხბურთს.

იური ბიბლაია
ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი:

- 1992 და 1994 წელში დაბადებული ბავშვების თითო გუნდი მყავს, სულ 35 ბავშვი. ჩვენი საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელი **სოსო ცატავა** ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცია და მაქსიმალურად მხარში გვიდგას. კვლავაც ქართული ფეხბურთის სამსახურში ვარ და მინდა **თემურ ქეცბაიასა** და **გელა ინალიშვილის** შემდეგ არაერთი ნიჭიერი მოთამაშე აღვუზარდო ქართულ ფეხბურთს. აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და მისი თავკაცი **მურად ანჯაფარიძე** ყველანაირად ცდილობს სარგებელი მოუტანოს ქართულ ფეხბურთს. ის ნიჭიერი, უნარიანი მმართველია და არაერთი ჩინებული ინიციატივის ორგანიზატორია. აფხაზეთი ძალიან მომენატრა.

სოსო მალანია
მერანის ერთ-ერთი მწვრთნელი:

აფხაზეთიდან თბილისის "დინამოსა" და სხვა გამორჩეულ ქართულ გუნდებში, ყოველთვის მონინავე ფეხბურთელები მოდიოდნენ. სამწუხაროდ, მას მერე, რაც აფხაზეთი დავკარგეთ, ეს ქვეყანასთან ერთად ჩვენს ფეხბურთსაც ერთობ დაეტყო. საერთოდ, ვიტყოდი, რომ ძალიან კარგია აფხაზეთის ფეხბურთი ფედერაცია რომ არსებობს და თანაც საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს. აფხაზეთის გუნდები, რომ დღეს სხვადასხვა ლიგაში ასპარეზობენ, ეს აფხაზეთის ფედერაციის თავკაც **მურად ანჯაფარიძის** დიდი დამსახურებაა. მას კარგი გუნდი ჰყავს **დიმიტრი ჭანტურიას, ადიკ დურსუნიშის, აკაკი პაპავას, მამუკა ელიკაშვილისა** და **თენგიზ გეგუჩაძის** შემადგენლობით.

ფეხბურთის განვითარებისა ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დაიწყოს და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციასაც სწორედ ეს გეზი აქვს აღებული. ასე რომ, ამ ფედერაციის მუშაობა მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. უფრო მეტსაც გააკეთებდნენ, აფხაზეთის რეგიონს თავისი ბაზა და მოედნები რომ ჰქონდეთ. თუმცა, აფხაზეთი ყველას ძალიან გვენატრება, მჯერა დავბრუნდებით და მერე გაცილებით მეტს გავაკეთებთ ქართული ფეხბურთისთვის.

ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის განვითარება აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ უფრო საგრძნობი იქნება. ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთში რაც 14-15 წელინადში ვერ გაკეთდა, აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ, 2-3 წელინადში გაკეთდება.

ხათუნა მაისურაძე
მსაჯი:

- უკვე წელინადზე მეტია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა კურსები გავიარე. ერთი სიტყვით, თეორია შევისწავლე და შანსი მომცეს, რომ ამ მიმართულებით გამეგრძელებინა მუშაობა. აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მადლიერი ვარ. მათ პრაქტიკა, გასაქანი მომცეს. უკვე ბავშვთა ტურნირების რამდენიმე მატჩს მოვემსახურე. გვერდითი არბიტრი გახლავართ და იმდენად დიდ თანადგომასა და მხარდაჭერას ვგრძნობ, რომ ვერ ვიტყოდი, ამ პროფესიის ათვისება გამიჭირდა-მეთქი.

ჩვენში ქალი მსაჯი ჯერჯერობით ახალი ხილია. გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები და გულშემატკივართა დიდი ნაწილი, რაღა თქმა უნდა, მეტ მოკრძალებას იჩენს ჩემს მიმართ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სულ 5 ქალი მსაჯი ვემზადებიან, აქედან ორი აფხაზეთიდან ვართ – მე და **ლალი გახოკია**. დიდი სურვილი მაქვს სწრაფ და კარგად ავითვისო ეს პროფესია და ობიექტურად და უშეცდომოდ შევძლო მთავარ არბიტრად თამაშების გაძღოლა.

გუდაუთაში დავიბადე და გავიზარდე. 9 წლისა ვიყავი აფხაზეთის დატოვება რომ მოგვიწია. მართალია, ბუნდოვნად მახსოვს იქაურობა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ტკბილი მოგონებები კვლავ რჩება. გული იქით მიმიწევს, სურვილი მაქვს დავბრუნდე და მჯერა ასეც იქნება.

ზაალ ბერულავა
მსაჯი:

- მსაჯობა 2000 წელს დავიწყე. მსაჯთა აკადემია დავამთავრე და ეროვნული კატეგორიის ასისტენტი გავხდი. 17 წლისა ვიყავი არბიტრობა, რომ დავიწყე და უკვე 7 წელია ვმსაჯობ. უმაღლესი ლიგის მატჩებსაც მოვემსახურებივარ. ყველაზე კარგად თელავში, "კახეთსა" და "ლოკომოტივს" შორის, 2005 წელს გამართული მატჩი მახსენდება. თამაში 4:3 დასრულდა. ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი ის იყო, რომ 3 წუთში 3 გოლი გავიდა. მთავარი მსაჯად კი ბავშვთა ტურნირებზე ვყოფილვარ. მომწონს ეს პროფესია და მინდა ტოპ კატეგორიის არბიტრი გავხდე. ამ პროფესიის დაუფლებაში აფხაზეთის რეგიონულმა ფეხბურთის ფედერაციამ ძალზე დიდი როლი ითამაშა. ეტაპობრივად, ჯერ რეგიონლიგის, მერე პირველი და უმაღლესი ლიგის მატჩებზე ვიმსაჯე.

აფხაზეთი ძალიან მენატრება. 9 წლისა ვიყავი ჩემი გულრიფშის დატოვება რომ მომიწია. მჯერა მალე დავბრუნდებით. თუკი ქართულ ფეხბურთს აფხაზეთმა არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი მისცა, გამორჩეული მსაჯებიც დავემატებით.

გვერდები მოამზადა დავით ცაბაძემ

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგუ ფოფხაძესთან

ყველაფერი კარგად ამეწყო

გიორგი ფოფხაძე დანიას გაუშინაურდა და "ვიბორგის" ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი მოთამაშე გახდა. საქართველოს ახალგაზრდული გუნდის მარცხენა მცველი დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილია:

- თურქეთის ახალგაზრდულთან რომ დაშავდი, გვეგონა, სერიოზული ტრავმა მიიღე. არადა, "ვიბორგის" ძირითადს სნორედ ბოლო დროს გაუშინაურდი...

- ტკივილი ახლაც მაწუხებს, მაგრამ სერიოზული და საშიში არაფერია. ტრავმირებულს ვინ მათამაშებდა. საერთოდ, ყველაფერი ისე ამეწყო, როგორც მინდოდა. რაც მთავარია, ჩემები ჩამოვიდნენ და მარტოობას აღარ განვიცდი. საშინელებაა, როდესაც გარშემო არავის იცნობ, ძმაკაცი და ოჯახის წევრი არ გყავს.

- დანიაში თამაში 19 წლის ქართველი ბიჭისთვის კარგია, მაგრამ გულზე ხელი დაიდე და ისე თქვი, "ვიბორგი" ამბიციას გიკმაყოფილებს? მაინც ბოლო ადგილებზეა.

- დამეთანხმები, საქართველოში თამაშს დანიურ აუტსაიდერში ყოფნა ჯობს. კლასით, პირობებით ყველაზე ძლიერ ქართულ გუნდებს აჯობებს. უდიდესი განსხვავებაა და რატომ ვიქნები უკმაყოფილო? ეს ახლა არაა ლიდერებში, მაგრამ საერთოდ ამბიციები გვაქვს. სხვათა შორის, ახლახან "ბრონდბიუს" შევხვდით და მამაჩემიც კი, რომელიც ხშირად მაკრიტიკებს, ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა. ცოტა უხერხულია ჩემგან ამაზე საუბარი, მაგრამ მისმა სიტყვებმა ძალიან გამახარა.

- ერთი წელი ტყუილად არ ჩაივლიდა. პირადად შენ რა მხრივ გრძნობ წინსვლას? ფიზიკურად ხარ უკეთ მომზადებული, ტაქტიკურად თუ როგორ?

- სისწრაფის გაუმჯობესებაზე ვმუშაობდი და უკეთესობას ვამჩნევ. დაცვაში თამაშში მქონდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც გავაუმჯობესე. საერთოდ, ვამჩნევ, რომ უკეთესობისკენ წამივიდა საქმე.

- ივნისში ახალგაზრდული ნაკრები შესარჩევ ციკლში პირველ თამაშს ესპანეთთან ჩაატარებს. მატჩი თბილისშია და ვითომ ეს მცირეოდენ შანსს მაინც გვიტოვებს?

- მანამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი და სიმართლე გითხრა, თამაშზე არც მიფიქრია. ზოგადად, დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს და ესპანელებსაც სუსტი წერტილი ექნებათ. თანაც, თბილისში ვთამაშობთ, საკუთარი კედლები კი უნდა დაგვეხმაროს. თუმცა ძალიან ძლიერი რომაა მეტოქე, თქმა რად უნდა.

იმედია, ასფალტზე არ ვითამაშებთ. ნორმალურ მოედანზე უფრო ლამაზი ფეხბურთს ვაჩვენებთ ორივე გუნდი. ისე, ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ასეთ მოედნებს შეჩვეულები ვართ და ესპანელებმა იკითხონ. მათთვის გაცილებით მძიმე სათამაშო იქნება.

- დანიაში შენამდე მხოლოდ მიხეილ აშვეთიას უთამაშია. შენი ჩასვლის შემდეგ, ქართველებით ხომ არ დაინტერესდნენ?

- აქ საქართველოს და ჩვენს ფეხბურთს თითქმის არ იცნობენ. ვგრძნობ, რომ ამ კუთხით ჩემზე ბევრია დამოკიდებული. გარკვეული ინტერესი უკვე არსებობს. "ვიბორგის" სელექციონერები საქართველოში ჩამოსვლას და ნიჭიერი ბავშვების მოძებნას აპირებენ. რამდენჯერმე საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ჩემს თამაშს და პრეზიდენტმა მენეჯერს დაავალა, საქართველოსთვის მეტი ყურადღება მიექცია. პრობლემა ისაა, რომ სამზე მეტი არაევროკავშირელის თამაში აკრძალულია.

- ადრე ძალიან ხშირად გადადიოდი გუნდიდან გუნდში. "ვიბორგს" მაინც თუ დაუდე გული?

- რა თქმა უნდა. კონტრაქტი 2 წლის შემდეგ იწურება და მანამდე წასვლას არც ვაპირებ. ჯერ აქ კარგად ვგრძნობ თავს. არ მინდა ისეთ გაურკვეველ ვითარებაში ჩავარდნა, როგორც "ოლიმპიაკოსში" ვიყავი. ვითომ ძირითადში უნდა მეთამაშა და რეალურად სათადარიგოთა სკამს ვხეხავდი.

საერთოდ, მეც მინდა, რომ დანიაში უკეთესად გამიცნონ და ეს უკვე სერიოზული რეკლამა იქნება. მერე კი, რა თქმა უნდა, უფრო სასურველ ლიგაში გადასვლა მინდა. ცუდად არ გამიგოთ და არ ჩათვალოთ, რომ ვტრაბახობ: ერთ-ერთ ტელეკომპანიას "ბრონდბიუსთან" ჩვენი მატჩის რეპორტაჟი ჰქონდა და ჩემზე საკმაოდ კარგად ულაპარაკიათ, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა დანიაში ბევრი არ გვყავსო. დასაწყისისთვის კარგი გამოხმაურებაა.

- ეროვნულ ნაკრებში აღარ გიძახებენ. ერთი მხრივ, არ გაგიმართლა - დაცვის მარცხენა ფლანგზე დიდი კონკურენციაა.

- მწვრთნელი რახან არ მიწვევს, ეტყობა, ჯერ სანაკრებოდ მზად არ ვარ. თუმცა, რაღა დაგიმალოთ და, ამ ყველაფერმა "ვიბორგში" ყველა ძალიან გააოცა.

მერაბ მამულაშვილი



ლოკომოტივზე მოედნის საფარი მალე შეიცვლება

პრობლემა

ქართულ მოედნებს ფრანგები მოაწყობენ

ეს სტატია ერთგვარი გაგრძელებაა წინა პერიოდში დაწყებული სერიალის, რომელიც საქართველოში მოედნების მდგომარეობას ეხება.

ამჟამად საინტერესო პროექტზე გვექნება საუბარი. ფრანგული კომპანია "ფილდტურფ ტარკეტი" საქართველოში დამკვიდრებას და შემდეგ ამიერკავკასიის ბაზრის დაპყრობას შეეცდება. კომპანიის ქართულ წარმომადგენლობას ყოფილი ფეხბურთელი, **კობა ახალკაცი** ხელმძღვანელობს.

"ტარკეტმა" ევროპაში სოლიდური სახელი მოიპოვა, რაზეც კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებიც მეტყველებს. ფრანგებმა სხვადასხვა სტადიონსა ან ბაზაზე ბუნებრივი თუ ხელოვნური მინდორი დააგეს: საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებების ბაზებზე, ათენის ოლიმპიური სტადიონზე, "არსენალის" , "ასტონ ვილას", "ბირმინგემის", "ჩარლტონის", "ჩელსის", "ფულჰემის", "რეინჯერსის", "ლიდსის", "ლივერპულის", "მანჩესტერ სიტის", "მიდლსბროს", "ვერდერის", მოსკოვის ცსკა-ს, "ლოკომოტივის", "ტორპედოსა" და "შახტარის" სტადიონებზე. მანვე მოაწყო "შერიფის" სუპერთანამედროვე სპორტული კომპლექსის სავარჯიშო და სათამაშო მოედნები. ეს სია "ტარკეტის" გასაცნობად საკმარისი უნდა იყოს.

კობა ახალკაცი:

- კომპანიის ამიერკავკასიის წარმომადგენლობა ახლახან დაფუძნდა. საქართველოში უახლოესი მოდელის ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგება პერსპექტიულიცაა და სასურველიც. ჩვენთან გუნდებს განსაკუთრებული ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნიათ და ერთხელ რომ დაგონ, 7-8 წლით დაისვენებენ. ჩვენს ხალიჩას მოვლა არ სჭირდება, მღრღნელი არ უჭდება, ტრიბუნიდან მაშხალა რომ ჩამოაგდონ, არ იწვის.

- კი მაგრამ, ხალიჩას მორწყვა სჭირდება და წყლის გაზრდილი გადასახადი გუნდებს ხარჯს არ გაუზრდის?!.

- მორწყვა მხოლოდ 50 გრადუსზე სჭირდება, ანუ რეალურად ამის საჭიროება საქართველოში არაა. თამაში კი ზამთარ-ზაფხულ შეიძლება.

- ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ბუნებრივ მოედანს ვერაფერი შეედრება. თუნდაც, უსაფრთხოების თვალსაზრისით.

- ეს ძველი და ყავლგასული შეხედულებაა, რადგან მეხუთე-მეექვსე თაობის ხალიჩაზე ტრავმიანობის რისკი ზუსტად ისეთივეა, როგორც ბალახზე და ექვსქაცვიანი ბუცებით ითამაშებ. ეს ჩვენში მხოლოდ ეროვნული სტადიონზეა შესაძლებელი.

საქართველოში მოედნებს უმთავრესად ის გუნდები აგებენ, უეფას ტურნირებზე გასვლა რომ სურთ. ხალიჩა უეფას სტანდარტებს აკმაყოფილებს. წავიდა ის დრო, მოსკოვის დარბაზებში მოთამაშეები ტრავმებს რომ იღებდნენ. "ტარკეტის" საფარი ბეტონი არაა, კონკურენციას ბუნებრივ ბალახს უწევს, ჩვენთან არსებულ მოედნებზე აღარაფერს ვამბობ. ჩემპიონთა ლიგის თამაშებში მოსკოვის "სპარტაკმა" "ინტერს" და "სპორტინგს" უმასპინძლა. ხელოვნური საფარი მთელი 24 საათი რომ დატვირთო, მაინც არ გაფუჭდება.

- ეს ყველაფერი კარგი და მოედნის დაგებას სად აპირებთ?

- ეროვნული სტადიონის დირექციასთან მოლაპარაკება გვაქვს მცირე არენის თაობაზე. ამას გარდა, ვურთიერთობთ რუსთავის "ოლიმპის" მეპატრონესთან, გია ნემსაძის აკადემიასთან და კიდევ ორ გუნდთან, მაგრამ მათზე წინასწარ საუბარი არ მსურს.

"ტარკეტს" სტადიონების კეთილმოწყობის სხვა სერვისებიც გააჩნია: განათების სისტემას, ინდივიდუალურ სკამებს და ასაწყობ ტრიბუნებსაც ამონტაჟებს. ეს ყველაფერი იაფი და საქართველოს პირობებში მისაღები უნდა იყოს.

მერაბ მამულაშვილი

შაშიაშვილით ვიბორგი დაინტერესდა

თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველით რამდენიმე ევროპული კლუბი დაინტერესდა. **გიორგი შაშიაშვილი** ოდესის "ჩერნომორეციდან" კი გამოუშვეს, მაგრამ მასზე მოთხოვნამ არ იკლო.

პირიქით, ბოლო დროს ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად თამაშის წყალობით, გიორგის მიმართ ინტერესი დანიურმა "ვიბორგმა" გამოხატა. ეს ინფორმაცია დანიელთა ქართველმა მცველმა **გიორგი ფოფხაძემ** გაგვიმხილა: "*ჩვენთან მარჯვენა მცველის პოზიცია იმდენად პრობლემურია, რომ ორჯერ მე დამაყენეს იქ სათამაშოდ. თუმცა ასე რომ არ გაგრძელდება, ისედაც ცხადია. მითხრეს კიდეც, რომ შაშიაშვილი აინტერესებთ და მასზე რაღაცები მკითხეს.*"

გიორგი "დინამოში" სეზონის ბოლომდე რჩება და მერე რა გზას დაადგება, უცნობია. "ვიბორგის" ინტერესი კი თავადაც დაგვიდასტურა:

"*სეზონის შემდეგ ოდესაში ჩასვლა და "ჩერნომორეცთან" ურთიერთობის გაგარკვევა მომიწევს. რაც შეეხება დანიელთა მიწვევას, ამის შესახებ უკვე მითხრეს, მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. დაინტერესებულმა გუნდებმა მოლაპარაკება ოდესელებთან დაიწყეს და მე დღემდე ბევრი რამ არც ვიცი. "ვიბორგის" გარდა, რამდენიმე გერმანული, თურქული და ბერძნული კლუბიც აქტიურობს. 26-28 მაისს ოდესაში ჩავალ და მათ პასუხს შევიტყობ. საერთოდ, კონტრაქტის გაფორმებამდე კონკრეტულ კლუბებზე საუბარი არც ღირს.*"

გიორგის ოდესაში დარჩენილ **ილია კანდელაკზეც** დავეკითხეთ. ის შარშანდელ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, წლეულს კი აღარ ათამაშებენ.

"*ქართველებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. რაღაც რომ მოხდა, ფაქტია. მგონი, ილოსაც იმავეს უკეთებენ, რაც გახდა ჩემი და მეავანაძის "ჩერნომორეციდან" წამოსვლის მიზეზი. უკრაინელებმა პირდაპირ გვითხრეს, რომ კონკურენტ საქართველოს ნაკრებს ფეხბურთელების გაზრდაში ვერ დაეხმარებიან. არადა, შარშან სემიონ ალტმანს (ოდესელთა მთავარი მწვრთნელია-რედ.) ილოზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. კანდელაკი არც რეჟიმის დამრღვევია და ვარჯიშიც არ ეზარება. ეს გუნდში ყველამ იცის. მოსამზადებელ პერიოდშიც კარგად გამოიყურებოდა და უცებ შემადგენლობიდან ამოაგდეს. მეცოდება, დაუმსახურებლად რომ ჩააგდეს ასეთ დღეში.*"

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დაგება;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA GRID ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაფართოების საშუალება ნებისმიერ დროს
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

შალკე

კობიაშვილი თამაშგარეშე

რატომ დატოვა ლევანმა გასახდელი ყველაზე ადრე?

შაბათს, "კოტბუსთან" მატჩში ზედიზედ მეორედ მოხდა ისე, რომ "შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ ლევან კობიაშვილი ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა. კობის ნაცვლად სასტარტოში კვლავ 18 წლის მესუთ იოზილი ვიხილეთ. მართალია, კობიმ ამ შეხვედრაში მაინც ითამაშა (შეცვლაზე, სწორედ იოზილის ნაცვლად), მაგრამ მატჩის შემდგომ გახმაურებული ინფორმაციების თანახმად აშკარაა, რომ ქართველი ნახევარმცველი უკმაყოფილოა იმით, რომ სლომკა აღარ ენდობა. უფრო სწორად, მასზე მეტად იმ იოზილს უცხადებს ნდობას, რომელსაც ძალიან მწირი გამოცდილება აქვს. ჩვენთვის ორმაგად სამწუხაროა ის, რომ თუ ასე გაგრძელდა, თან "შალკე" გერმანიის ჩემპიონი გახდა, ზეიმის დროს ქართველი ფეხბურთელი წინა პლანზე ვერ იქნება.

კითხვაზე, რას იტყოდა იმის შესახებ, რომ ყველასთვის მოულოდნელად, სათადარიგოთა სკამზე გადაყვანილმა **ლევან კობიაშვილმა** და **ზლატან ბაირამოვიჩმა**, "კოტბუსთან" მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ სხვებთან ერთად დიდხანს არ იზეიმეს და გასახდელი ყველაზე ადრე დატოვეს, გუნდის კაპიტანი **მარსელო ბორდონი** თვალის ჩაკვრითა და ეშმაკური ღიმილით პასუხობს: *"ვერაფერს გეტყვით, იქნებ ადრე დაძინება უნდოდათ, რაკი ასე მალე დაგვტოვეს."* ბორდონიც ხვდება, რომ კობისა და ბაირამოვიჩს სულაც არ ეძინებოდათ, არამედ უკმაყოფილოები არიან იმის გამო, რომ სლომკამ ისინი სათადარიგოთა სკამს მიაჯაჭვა. ბაირამოვიჩს ამ მხრივ ნაკლებად აქვს საპრეტენზიო, რადგან ბოსნიელი პირველ წრეშიც ხშირად ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით კობიაშვილზე, რომელიც პირველ წრეში ლამის ერთადერთი შალკელი გახლდათ, ვისაც ყველა თამაში სასტარტოდან ჰქონდა დაწყებული და მხოლოდ ორჯერ შეცვალეს მეორე ტაიმში.

კობი ახლა ფორმაში არაა, რასაც მისი ბოლოდროინდელი შეფასებებიც მოწმობენ და ამ მხრივ, სლომკას გადაწყვეტილება, ლევანზე მეტად, ახალგაზრდა, გამოუცდელ, მაგრამ კარგ ფორმაში მყოფ **იოზილს** უფრო ენდოს, შესაძლოა, გამართლებულიც იყოს. თუმცა სეზონის გადამწყვეტ ეტაპზე რეზერვისტობა ნებისმიერ ფეხბურთელს ძალიან დაამწუხრებდა და რა გასაკვირია, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც კობიაშვილია. 2 თამაში ბევრი არ არის და ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სლომკამ კობის ზურგი აქცია (მით უმეტეს, რომ ორივე მატჩში შეცვლაზე ათამაშა), მაგრამ მაინც: კობი არასახარბიელო მდგომარეობაშია. აქვე გეტყვით, რომ გაზეთი "ვესტფალიშე რუნდშაუ" გუშინდელ ნომერში წერდა, კობიაშვილი ინტერვიუებზე უარს აცხადებს, როგორც ჩანს, ძალიან გაბრაზებულია იმის გამო, რომ ბოლო ორ თამაშში სათადარიგოთა სკამზე დატოვესო.

■ ■ ■

სხვა დროს ყოველთვის მშვიდმა და აუღელვებელმა ბორდონმა "კოტბუსთან" გატანილი გოლი ძალიან ემოციურად იზეიმა. *"ეს სპონტანური ემოცია გახლდათ, თავი ველარ შევიკავე და ღრიალი მოვრთე,* - ამბობს ველზენკირხენელი კლუბის 31 წლის კაპიტანი და იქვე აგრძელებს, - *"ვერცხლის სინი" თავისით არ მოვა, ასე ნანატრი ტიტულის მოსაგებად ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა და ახლა მთავარია, რომ კონცენტრაცია ბოლო წამამდე არ დავკარგოთ. მთელი კვირის მანძილზე კუთხურებსა და მეორე სართულზე ორთაბრძოლის მოგებაზე ვვარჯიშობდით და როცა გოლი კუთხურიდან, თავით გავიტანე, რა გასაკვირია, რომ ათმაგად გახარებული გახლდით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შრომას შედეგი აუცილებლად მოაქვს. თანაც, ეს დამატებით სტიმულს მაძლევს მეც და მთელ გუნდსაც. არ ვიცი, რა მოხდება სეზონის ბოლომდე, ფაქტი კი ის არის, რომ ყველა თამაშის მოგება უნდა შევძლოთ და ეს ნამდვილად რეალურია."*

ამრიგად, 30-ე ტურის შემდეგ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის მოწინავე სამეულში ვითარება უცვლელი დარჩა. მეორეადგილოსანმა "ვერდერმა" თავისი მატჩი პარასკევს მოიგო და ამით "შალკე" მძიმე წნეხის ქვეშ მოაქცია. ბორდონი: *"თითოეულმა ჩვენთაგანმა იცოდა, რომ გამარჯვება აუცილებელი იყო. უნდა ვთქვა, რომ როცა სტადიონისკენ მივემართებით, აბსოლუტურად ყველა შალკელმა იცის, რომ მოსაგებად იბრძოლებს და მნიშვნელობა არა აქვს ხოლმე, როგორ ითამაშა კონკურენტმა."* ანუ, "შალკესთვის" "ვერდერი" სულერთია? ბორდონი ღიმილით: *"არა, სულერთი არაა. თუკი ბრემენელები წააგებენ, ეს ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება."*

სხვათა შორის, "შალკემ" მიმდინარე სეზონში კუთხურიდან უკვე მე-7 გოლი გაიტანა, რაც ბუნდესლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია. ამ სტანდარტული მდგომარეობიდან ამდენჯერ სხვა არცერთ კლუბს არ უხეირია. *"ორი წლის წინათ, როცა "შალკემ" ასევე დასკვნით ფაზაში დაკარგა ლიდერობა, ასეთი გოლები გუნდს ძალიან იშვიათად გაჰქონდა. ახლა კი პირიქითაა, რაც იმის მაუწყებელი გახლავთ, რომ გავიზარდეთ,"* - ამბობს ბორდონი. *"ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩემპიონობა შეგვიძლია, მაგრამ "ვერდერს" მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულით ვუსწრებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხის ერთი დაცდენაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ისტორიული შანსი ხელიდან გავუშვათ. ეს კი ნამდვილი ტრაგედია იქნება. ამიტომაც, ყველა თამაშში 100-პროცენტიანი კონცენტრაციაა საჭირო. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ გუნდში არანაირი პრობლემა აღარ არსებობს. შემოდგომაზე ბევრი სკანდალი გადავიტანეთ და, ბოლოს და ბოლოს, "აუფ შალკეზე" სრული სიმშვიდეა, რაც ძალიან მახარებს. ახლა მთავარია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ,"* - ეს სლომკას სიტყვებია.

...და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ დროს სლომკამ კობიაშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვა...

შალკეს ფანების დისკუსია: კობი თუ იოზილი

ადრეც ვწერდით, რომ "შალკეს" ოფიციალურ ფორუმზე (www.forum-auf-schalke.de) გახსნილია თემა სათაურით "იოზილი კობიაშვილის ნაცვლად". ამ თემაში საკმაოდ სერიოზული და რაც მთავარია, არგუმენტირებული დისკუსია მიდის. უპრიანად მივიჩნიეთ, გელზენკირხენელ ქომაგთა საინტერესო მოსაზრებები თქვენს სამსჯავროზეც გამოვიტანოთ. დავიწყებთ იმ კომენტარით, რომელიც ნებისმიერ ქართველს გაახარებს.

"კობი იყო, არის და ყოველთვის იქნება ყველაზე სიმპათიური და ნაღდი შალკელი!"

"როგორ არ გრცხვენიათ, როცა ამბობთ, რომ იოზილმა მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში უნდა ითამაშოს, ხოლო კობიაშვილი კი აღარ გვჭირდება? გაგიუდით? ლევანი ხომ საუკეთესო ცაციაა მთელს ბუნდესლიგაში?"

"დღესდღეობით, კობიაშვილის ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ გადაღლილია, თორემ ვერავინ იტყვის, რომ უგულოდ თამაშობს."

"იოზილი კობის ნაცვლად, ეს დიდი სისულელეა. პირველ რიგში იმის გამო, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ფეხბურთელები არიან - კობიაშვილი უფრო ჩამშლელია, იოზილი კი უფრო შემქმნელი. კარგ ფორმაში მყოფი კობი ხელშეუხებელია. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ რაკი იოზილმა 2-3 თამაშში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, უკვე გაჩნდა თემა, რომ ის მზადაა, ითამაშოს "შალკეს" ყველა შეხვედრაში და უფრო მეტიც, მზადაა, ითამაშოს გერმანიის ნაკრებში. იოზილმა მინიმუმ 2 სეზონი უნდა ჩაატაროს სტაბილურად და მერე განვსაჯოთ, იოზილი კობის ნაცვლად, თუ პირიქით."

"ვფიქრობ, რომ სლომკას გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან კობი კარგ ფორმაში არაა, ასე კი კონკურენციას იგრძნობს და მოუმატებს. ლევანი გუნდს ძალიან სჭირდება, განსაკუთრებით ბოლო შეხვედრებში."

"მიუხედავად იმისა, რომ კობი ძალიან მიყვარს, ვფიქრობ, რომ არც მას უნდა ჰქონდეს სასტარტოში თამაშის გარანტია და ზოგჯერ სკამზეც უნდა დაჯდეს. ცუდ ფორმაშია, გადაღლილია და დასვენება სჭირდება, რაც მასზე ნამდვილად კარგად იმოქმედებს, თან მოტივაციასაც გაუზრდის. "ბაიერნთან" გატანილი მართლაც ულამაზესი გოლის შემდეგ ბევრმა მოითხოვა, ლევანს კარიერის ბოლომდე სასტარტოში თამაშის გარანტია უნდა მიეცესო..."

"კობიაშვილი საშინელ სეზონს ატარებს და მიკვირს, უფრო ადრე რომ არ დასვეს სკამზე."

"იოზილს არ ვაკრიტიკებ, მაგრამ ფაქტი ერთია: ის, რომ ბოლო ორ თამაშში პანდერმა ცუდად ითამაშა, კობიაშვილის არყოფნითაა გამოწვეული. იოზილი პანდერს ვერ აზღვევს, ხოლო როცა კობი თამაშობს, პანდერიც უფრო თავისუფალი და აქტიურია მარცხენა ფლანგზე."

"საინტერესო მოსაზრებაა. ასევე დავამატებდი იმასაც, რომ კობიაშვილის ძლიერი მხარე მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა ის არ თამაშობს. მისი პოზიციის, ანუ მუშა ფეხბურთელები მხოლოდ მაშინ გამოირჩევიან, როცა შეცდომებს უშვებენ. ხოლო როცა თავის ამოცანებს შესანიშნავად ასრულებენ, ისინი შეუმჩნეველები რჩებიან ხოლმე. კობი კვლავინდებურად "შალკეს" ძრავია."

"ჩემი აზრით, იოზილზე მეტად ახლა მებრძოლი და გამოცდილი კობიაშვილი გვჭირდება. ცუდ ფორმაშია, მაგრამ უფრო მეტი სარგებელი მოაქვს. თანაც, როცა კობი თამაშობს, უფრო თავდაჯერებული ვარ."

ბოლო დროს კობიაშვილი ჩრდილშია

გოტფრიდ ლენცი

ბარსელონა

კატალონიელები ეგვიპტეში

რიიკაარდი ითხოვს, მედიაში ატეხილ აჟიოტაჟს ყურადღება არ მიაქციონ...

"ვილიარეალთან" მარცხის შემდეგ **ფრანკ რიიკაარდმა** ფეხბურთელები კრებაზე დაიბარა. სავარჯიშოდ მისულ მოთამაშეებს ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ათწუთიანი სიტყვით მიმართა. მთავარი მწვრთნელი შეეცადა, შეგირდები დაერწმუნებინა, რომ მასმედიაში ატეხილ აჟიოტაჟს არ უნდა აყვნენ და საკუთარი საქმე მშვიდად აკეთონ. ესპანური პრესა "რეალის" გამოცოცხლებით იმდენად გახარებულია, რომ სამეფო კლუბს ლამისაა ჩემპიონად აცხადებს. ჟურნალისტები ცდილობენ, არცთუ საყვარელი კატალონიელები დათრგუნონ და აუტანელ წნეხში მოაქცინ. რიიკაარდმა, რა თქმა უნდა, საპირისპირო ლონისძიებები უნდა გაატაროს. "ბარსას" პროფესიონალმა ფეხბურთელებმა მწვრთნელს პირობა მისცეს, რომ პრესის იერიში მათ განწყობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

ვარჯიშის დასრულებიდან რამდენიმე საათში "ბარსელონა" ეგვიპტეს გაემგზავრა. პირენეული გიგანტი ამხანაგურ მატჩში "ალ აჰლის" შეხვდება. დაგვეთანხმებით, პრაგმატული თვალსაზრისით, ეს თამაში ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჯდება. "ბარსას" ხომ ურთულესი დაპირისპირებები ელის და ისედაც დაქანცული ფეხბურთელების კიდევ უფრო დაღლა შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. საფრთხე მართლაც დიდია, მაგრამ **ხოან ლაპორტამ** ჯერ კიდევ გასულ სექტემბერში გაფორმებული კონტრაქტის დარღვევა არ ისურვა. პრეზიდენტის თქმით, ეს ღირსების საქმეა. "ბარსელონა" ეგვიპტელებისგან 1.5 მილიონ ევროს მიიღებს. ბუნებრივია, მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს მასპინძლები დაფარავენ. ესპანელები სანაცვლოდ ვალდებულები არიან, მოედანზე საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანონ.

ამასობაში, **ჩიკი ბეგირისტაინმა** სამომავლო გეგმებზე ჩამოაგდო სიტყვა. მისი გუნდისთვის **ხავიერ სავიოლას** მომავალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მოგეხსენებათ, არგენტინელ ფორვარდს უამრავი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ "ბაჭიას" სხვაგან წასვლას "კამპ ნოუზე" დარჩენა ურჩევნია. ის კლუბის ხელმძღვანელების შემხვედრ ნებას ელოდა. გუშინ ბეგირისტაინმა არგენტინელი ფორვარდისთვის სასიხარულო რამ განაცხადა: *"სავიოლა გენიალური მოთამაშეა. ასეთებს მთელ მსოფლიოში ეძებენ. ჩემი აზრით, ხავიერის დაკარგვა უდიდესი სისულელე იქნებოდა. ამიტომ ახალი კონტრაქტის შედგენაზე მუშაობის დაწყებას ვაპირებთ. იმედია, შევთანხმდებით. სხვათა შორის, ფრანკ რიიკაარდი მისი პროფესიონალიზმითა და უნარით მოხიბლულია."*

სპეციალისტები "ბარსას" ერთ-ერთ უსუსტეს წერტილად მეკარეს მიიჩნევენ. სენიორ ლაპორტამ გასულ სეზონში **ჯიჯი ბუფონის** შეძენა სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. პრეზიდენტს კვალიფიციური გოლკიპერის ხელში ჩაგდების სურვილი არ გაქრობია, თუმცა ამჯერად სენიორ ხოანი არა ბუფონის, არამედ **გრეგორი კუპეს** გადაბირებაზე მუშაობს. "ლიონის" ფეხბურთელი კატალონიელთა დაინტერესებით აღფრთოვანებულია. კუპემ პირდაპირ განაცხადა, მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, "კამპ ნოუზე" დღესვე წავიდოდიო. მოლაპარაკებებს, სავარაუდოდ, ისევ და ისევ, ბეგირისტაინი გაუძღვება.

მესინამ ჯორდანო ისევ დაითხოვა

"მესინამ" **ბრუნო ჯორდანო** ხელმეორედ დაითხოვა. "ნაპოლის" ყოფილი ფორვარდი სიცილიურმა კლუბმა პირველად იანვრის ბოლოს გაანთავისუფლა და პოსტზე **ალბერტო კავაზინი** დანიშნა. ამ უკანასკნელმა "მესინის" პრობლემები ვერ მოაგვარა და პრეზიდენტმა **ფრანცამ** სამი კვირის წინათ გადაწყვიტა, რომ ჯორდანო თანამდებობაზე დაებრუნებინა. ასეც მოხდა, მაგრამ ძველი მწვრთნელის ხელში გუნდმა ოთხიდან ოთხივე შეხვედრა წააგო და ბოლოდან მეორე ადგილზე გაიყინა. ბოლოს სიცილიელებმა გენუაში "სამპდორიასთან" 1:3 წააგეს. ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელობამ ჯორდანოს ხელმეორედ მიუთითა კარისკენ, გუნდის გაძღოლა კი დარჩენილ ხუთ ტურში **ბრუნო ბოლკის** დაავალა.

ბაშთურქი შტუტგარტში მიდის

გერმანული "კიკერი" იტყობინება, რომ დიდი შანსია, ბერლინის "ჰერტას" თურქმა ფლეიმეიქერმა **ილდირაი ბაშთურქმა** ზაფხულიდან "შტუტგარტს" მიაშუროს. 28 წლის ნახევარმცველს ბერლინულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და მან არაერთხელ განაცხადა, რომ ისეთ გუნდში სურს თამაში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. შაბათის შემდეგ "შტუტგარტს" ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის საგზურის მოპოვების ძალიან დიდი შანსი აქვს და შესაბამისად, ეს ტრანსფერიც ერთობ რეალური გახდა.

შვაბები თურქს კონტრაქტის 2011 წლამდე გაფორმებას თავაზობენ და წლიური ხელფასის სახით 3 მილიონი ევროს გადახდაზე არიან ყაბულს. "ჰერტას" შეფებს ძალიან უნდათ, რომ ბაშთურქს კონტრაქტი გაუგრძელონ, მაგრამ აშკარაა, რომ არაფერი გამოუვათ. ილდირაის ბერლინელთათვის საბოლოო პასუხი მარტის მინურულს უნდა ეცნობებინა, მაგრამ დღემდე არაფერი უთქვამს.

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

14 მატჩი სამ წელიწადში

მოურინიომ თავი დაიზღვია და ლივერპული ფავორიტად გამოაცხადა...

ჟოზე მოურინიო

ჩელსი-ლივერპული

ზუსტად ორი წლის წინათ, "სტემფორდ ბრიჯზე", "ჩელსიმ" "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში უმასპინძლა. ის შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. საპასუხო მატჩში მერსისაიდელებმა **ლუის გარსიას** ერთადერთი გოლით გაიმარჯვეს. ფინალში კი "მილანთან" დრამატული შეხვედრა ჩაატარეს და მეხუთედ დაეუფლნენ ჩემპიონთა თასს. **რაფა ბენიტესი:** *"ეს ისტორიაა და წარსული. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ის ისტორია, რომელსაც "ლივერპული" და "ჩელსი" მომდევნო ორ შეხვედრაში შექმნიან... მეტოქეს ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს და ჩვენზე ნაკლებ გოლს უშვებს. სტუმრად 0:0 აუცილებლად კარგი შედეგი არ არის. "ბარსელონას" "კამპ ნოუზე" გავუტანეთ. იმედია, "სტემფორდ ბრიჯზეც" გავიტანთ და გავიმარჯვებთ."* გასულ უქმეებზე მერსისაიდელებმა უპრობლემოდ შეუგდეს ორი გოლი "ვიგანს". იმ მატჩში არავინ დაშავებულა.

სამაგიეროდ, პრობლემები აქვს **ჟოზე მოურინიოს**. **მიკაელ ესიენი** დისკვალიფიცირებულია, **რიკარდო კარვალიო** და **მიხაელ ბალაკი** კი - ტრავმებს იშუშებენ. მათი ასპარეზობა საეჭვოა. ბალაკი "ნიუკასლთან" საკვირაო მატჩში დაშავდა. ესიენისა და კარვალიოს არყოფნაში **ჯონ ტერის** გაათმაგებული პასუხისმგებლობა დაეკისრება. ვერ ითამაშებს **არიენ რობენი**. საინტერესოა, დააყენებს თუ არა მოურინიო **შონ რაიტ-ფილიპსსა** და **ჯო კოულს**. უფრო სავარაუდოა **ჯონ ობი მიკელის** თამაში. ნიგერიელი საყრდენი ნახევარმცველია. შესაბამისად, დაცვისა და ნახევარდაცვის დახმარება შეუძლია.

"ჩელსი" ოთხ ფრონტზე იბრძვის. "ლივერპული" - მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში. მერსისაიდელებმა ლონდონელებს ბოლო ოთხი მატჩიდან სამი მოუგეს. დღეს მოურინიო ბენიტესს მე-14-დ შეხვდება. 2004 წლის შემდეგ "ჩელსიმ" ექვსჯერ გაიმარჯვა, "ლივერპულმა" ოთხჯერ. სამი მატჩი ფრედ დასრულდა. ქვემოთ უფრო დაწვრილებით მწვრთნელების ურთიერთობაზე.

ისინი ინგლისში თითქმის ერთდროულად, 2004 წლის ივნისში ჩავიდნენ. თავდაპირველად, შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ. მერე მეგობრობა დაპირისპირებაში გადაიზარდა. ბენიტესმა თქვა, მეგობრები ვიყავით იქამდე, სანამ "ლივერპული" "ჩელსის" დაამარცხებდა, შემდეგ მისი (მოურინიოს) დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალაო.

სენიორ რაფას მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს. 2004-05 წლების სეზონში "ჩელსიმ" "ლივერპული" სამჯერ დაამარცხა - ორჯერ პრემიერლიგაში და ერთხელ ლიგის თასის ფინალში. მერე გუნდები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. ეს თამაში ზემოთაც ვახსენეთ. ფინალში "ლივერპული" გავიდა. მოურინიომ კი მეტოქეზე სამუდამოდ აიცრუა გული. "ენფილდის" მატჩის შემდეგ ის ჯიუტად იმეორებდა, გოლი ლაინსმენმა გაიტანაო. ჟოზე გულისხმობდა იმას, რომ დანამდვილებით მართლა ვერავინ დაინახა, გადაკვეთა თუ არა **ლუის გარსიას** დარტყმისას ბურთმა კარის ხაზი. თანამსაჯმა **რომან სლიშკომ** გოლი ჩათვალა და "ლივერპული" ფინალში გაიყვანა. 2005 წლის ჩემპიონთა ლიგა მერსისაიდელებმა მოიგეს. ბენიტესმა მოურინიოს წარმატებული ევროპული კამპანია შეაწყვეტინა. 2003 წელს ჟოზემ "პორტუში" ყოფნისას უეფას თასი მოიპოვა, 2004 წელს - ჩემპიონთა თასი. 2005 წელს კი ჩემპიონთა ლიგას "ენფილდზე" და თანაც საკამათო გოლით გამოეთიშა. 2005 წლის სექტემბერში, როცა ჟოზეს "ლივერპულთან" ნახევარფინალი გაახსენეს, თქვა, მართალია, მეტოქეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ვაღიარებ, უკეთ ითამაშა და გვაჯობაო.

ყველა ამჩნევდა, რომ მოურინიოს წყლის ამღვრევა უყვარს. მაგრამ მედიას ბენიტესიც შესანიშნავად იყენებდა. 2005 წლის შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, "ჩელსი"-"ლივერპულის" მორიგი 0:0-ის შემდეგ, ესპანელმა თქვა: *"ჩემი აზრით, ორი-სამი წლის წინათ "არსენალი" უფრო შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშობდა. ისინი იგებდნენ. მათი ნახვა ერთ რამედ ღირდა. "ბარსელონისა" და "მილანის" თამაშებიც სანახაობრივი იყო. ამიტომ არ მესმის, როცა ამბობენ, რომ "ჩელსი" საუკეთესოა."* ჩემპიონთა ლიგაში, ამ გუნდების საპასუხო შეხვედრაც უგოლოდ დასრულდა. პრემიერლიგაში "ჩელსიმ" ისევ ორივე შეხვედრა მოიგო ("ენფილდზე" სულ მთლად 4:1). შესაძლოა, "არისტოკრატები" საუკეთესონი არ იყვნენ, მაგრამ "ლივერპულს" აუღელვებლად ამარცხებდნენ ხოლმე. და აი, 2006 წლის აპრილიც დადგა. ბენიტესი და მოურინიო ასოციაციის თასის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ესპანელმა 2:1 მოიგო. ნამატჩევს მოურინიომ თქვა: *"გაიმარჯვა თუ არა დღეს უძლიერესმა? არა მგონია, მეტოქე ჩვენზე უკეთესი ყოფილიყო."* მერე ჟოზემ სცადა, წაგება არბიტრ **გრემ პოლისთვის** დაებრალებინა. ჩანდა, რომ მარცხთან შეგუება უჭირდა: *"პრემიერლიგაში შანსი არ დავუტოვეთ. ერთ თამაშში კი ყველას შეუძლია სიურპრიზის მოწყობა. თუ ორ სეზონს შევაჯამებთ, "ჩელსი" "ლივერპულს" ზუსტად 45 ქულით აღემატება."* იმ თამაშის შემდეგ მოურინიომ ბენიტესს ხელი არ ჩამოართვა. რამდენიმე თვეში კი მასთან "ქომიუნითი შილდზეც" წააგო. 2007 წლის იანვარში ბენიტესმა, როგორც იქნა, პრემიერლიგაშიც გაიმარჯვა - "ჩელსიმ" "ენფილდზე" 0:2 წააგო.

დღევანდელი მატჩის წინ მოურინიომ თავი დაიზღვია და მეტოქე ფავორიტად გამოაცხადა, ისინი მარტო ერთი ტიტულისთვის იბრძვიანო. მას არც ბენიტესი დარჩა ვალში, ყველამ ვიცით, რომ "ჩელსი" ძალიან კარგი გუნდია, ბოლო სამ წელიწადში შემადგენლობის გასაძლიერებლად დიდი ფული დახარჯესო.

დასასრულს, ერთი ინფორმაცია ლივერპულელთა ბანაკიდან. "სანმა" **იერჟი დუდეკის** კომენტარი გამოაქვეყნა. პოლონელი მეკარე ამბობს, რომ "ლივერპულიდან" აბარგება იანვრის ტრანსფერების დროსაც სურდა, რადგან ბენიტესი მონასავით ეპყრობა. გუშინ რაფას ამ სიტყვებზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს. ბენიტესმა თქვა: *"მის საკითხზე ვმსჯელობთ. შეიძლება, წავიდეს კიდეც. ვფიქრობ, ის საკმარისადაა მომზადებული იმისთვის, რომ "ჩელსისთან" მატჩის განაცხადში იყოს."* ამ სეზონში დუდეკმა მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. მეკარე ამბობს, რომ წასვლის მეტი სხვა არჩევანი არ აქვს. მას "ვოლფსბურგსა" და "ფეიენოორდში" იწვევენ.

საპარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: ჩეხი, დიარა, ბულარუზი (ან კარვალიო), ტერი, ეშლი კოული, მიკელი, ლემპარდი, მაკელელე (ან ბალაკი), ჯო კოული, შევჩენკო (ან კალუ), დროგბა.

ლივერპული: რეინა, ფინნი, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, მასკერანო, პენანტი, კრაუჩი, კუიტი.

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

რაფა ბენიტესი

ინტერვიუ რაფა ბენიტესთან

მე და მოურინიო მტრები არ ვართ, როცა ვხვდებით, ერთმანეთს ხელს ვართმევთ

180-წუთიანი თავგადასავალი შესაძლო დამატებითი ტაიმებითა და შესაძლო პენალტებით...

რაფა ბენიტესი "ლივერპულში" მესამე სეზონს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში "წითელმა ეშმაკებმა" სათასო ფინალებში სამჯერ იასპარეზეს. "ლივერული" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კვლავ "ჩელსის" ეთამაშება. წინა ორთაბრძოლა ბენიტესისა და მისი შეგირდების გამარჯვებით დასრულდა. "არისტოკრატები" რევანშისთვის ემზადებიან. მიმომხილველთა ვარაუდით, ჩემპიონთა ლიგას ნლეულს ამ წყვილში გამარჯვებული მოიგებს. ბუნებრივია, "მილანსა" და "მანჩესტერსაც" ჩინებული შანსები აქვთ, მაგრამ მოგვწონს თუ არა, ექსპერტები ყველაზე მეტს მაინც დღევანდელი ნახევარფინალისტებისგან ელიან. ტრაფარეტულად თუ ვიმსჯელებთ, "ლივერპული" მცირე უპირატესობას ფლობს, რადგან განმეორებით პაექრობას "ენფილდზე" ჩაატარებს. ჟოზე მოურინიოს ბიჭები, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საპასუხო შეხვედრამ აზრი დაკარგოს, ან მასპინძელთა შანსები მინიმუმამდე დაიყვანოს. ბენიტესის მტკიცებით, შანსები თანაბარია, თუმცა"ლივერპული" აბსოლუტურად მზადაა იმისთვის, რათა ფინალის საგზურს დაეპატრონოს. მთავარია, ისინი იღბალმა არ განიროს. ლონდონური მატჩის წინ სენიორ რაფას "დიარიო ასის" კორესპონდენტი ეწვია. მათი საუბარი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგით არ შემოიფარგლა. ჟურნალისტმა და მისმა რესპონდენტმა სხვა საინტერესო თემებიც განიხილეს.

- წმინდა ინგლისური ნახევარფინალი გველის. ხომ არ ფიქრობთ, რომ "ჩელსი" და "ლივერპული" ფინალში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს?

- ნამდვილი სიგიჟე გველის. არც ერთი გუნდი არაფერის დათმობას არ აპირებს. ვამაყობთ, რომ ევროპის ოთხი საუკეთესო გუნდის მარაქაში მოვხვდით, მაგრამ ბრიყვები არ ვართ, ამით დავკმაყოფილდეთ. სეზონის ყველაზე რთული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევს. ახლა გამოჩნდება, ვინ რას წარმოადგენს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი ბიჭები ნახევარფინალს ამაღლებული განწყობით ეგებებიან. ვფიქრობ, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ოპტიმიზმის გარეშე წინ ვერ წავიწევთ. ვაცნობიერებთ, რომ უძლიერესი მეტოქე გვყავს, თუმცა იმ გუნდთა კატეგორიას არასოდეს ვეკუთვნოდით, რომლებსაც "არისტოკრატების" ეშინიათ. პროგნოზის გაკეთება ეშმაკსაც კი გაუჭირდება (იცინის).

- მოურინიოს წინააღმდეგ ბრძოლა თქვენზე კარგად არავის ეხერხება. მთლიანობაში 13-ჯერ შეხვდით ერთმანეთს. "ლივერპულმა" "ჩელსი" სათასო გათამაშებებს ორჯერ გამოთიშა...

- მწვრთნელის შესაძლებლობები ყოველთვის უკიდურესად შეზღუდულია. შეგვიძლია, გეგმა შევიმუშაოთ, მაგრამ თამაშის დაწყებისთანავე მოქმედი პირები ფეხბურთელები ხდებიან. ნებისმიერი მატჩის ბედი მათზეა დამოკიდებული. სულ მცირე, დაძაბული და დრამატული 180-წუთიანი თავგადასავალი გველის. არ გამოვრიცხავ, დამატებითი ტაიმების ჩატარება მოგვიხდეს. შესაძლოა, პენალტებიც დავარტყათ. მოკლედ, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

- ნინა ნახევარფინალთან დაკავშირებული დისკუსია ჯერ არ დასრულებულა. საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ლუის გარსიას დარტყმისას ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს...

- წარსულის გახსენება არაფერში გვჭირდება. ამ თემას თუ დავუბრუნდებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის პენალტი უნდა მოეცათ, ხოლო "ჩელსის" მეკარე გაეგდოთ. მერწმუნეთ, სისულელეა ამ ყველაფრის ამოქექვა. იმ ნახევარფინალს ღირსეული გამარჯვებული ჰყავდა, რომელმაც რამდენიმე კვირაში ჩემპიონთა თასი აღმართა. დღეს ახალი ბრძოლა იწყება. მთელი ყურადღება ამ შეხვედრებისკენ უნდა იყოს მიმართული.

- როგორ ფიქრობთ, "ჩელსი" ახლა უფრო ძლიერია?

- ლონდონელებს ორი წლის წინათაც უძლიერესი გუნდი ჰყავდათ. სერიოზული წარმატებების მიუხედავად, შარშანწინაც "არისტოკრატებს" მზარდ პერსპექტიულ კოლექტივად მიიჩნევდნენ. და აი, გაიზარდნენ კიდეც. ეს სულაც არ არის გასაკვირი. როცა დიდ ფულს ხარჯავ და საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდულობ, მუდმივად პროგრესის გზით მიდიხარ. "მანჩესტერი" ფენომენალურ, ფაქტობრივად, სრულყოფილ სეზონს ატარებს. მასთან მიახლოვება მხოლოდ "ჩელსიმ" შეძლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟოზე მოურინიოს უძლიერესი გუნდი ჰყავს. დიახ, ლონდონელები ახლა უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ორი წლის წინათ.

- "ლივერპულზე" რაღას გვეტყვით? თქვენც პროგრესირებთ?

- პროგრესის ხარისხი თქვენ უნდა შეაფასოთ. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ გასულ ორ წელიწადში "ლივერპული" ერთი-ორად გაძლიერდა. ახლა ბევრად უფრო გამოცდილები ვართ. თითქოს სიბრძნე შეგვემატა (იცინის).

მე-9 გვერდზე

მე-8 გვერდიდან

- ინგლისურ პრესას გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ გულშემატკივრები და მიმომხილველები "სტემფორდ ბრიჯზე" ცოტა გოლს ელიან. საინტერესოა, რას ფიქრობს რაფა ბენიტესი?

- უხვგოლიანობა მართლაც ნაკლებად სავარაუდოა. საქმე ის არის, რომ "ლივერპულსა" და "ჩელსის" უძლიერესი მცველები ჰყავთ. თავდამსხმელებსა და შუახაზელებს ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა არ ვფიქრობ, რომ მაინცა და მაინც, ნულოვანი ფრე დაფიქსირდება. ჩემმა გუნდმა "კამპ ნოუზე" დაამტკიცა, რომ საჭირო მომენტში უმნიშვნელოვანესი გოლების გატანა შეუძლია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საპასუხო მატჩის წინ მცირე უპირატესობა მაინც მოვიპოვოთ. ერთი გოლი საქმეს მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს. დიდი იმედი მაქვს, ამას შევძლებთ.

- ცნობილია, რომ მოურინიოსთან არცთუ თბილი ურთიერთობა გაქვთ...

- ძნელია, ორი მწვრთნელი მეგობარი იყოს. მთელი სეზონის განმავლობაში სულ ერთმანეთს ვებრძვით. ამ სიტუაციაში როგორ ჯინდა, მეგობრული დამოკიდებულება იქონიო (იცინის)? ამავდროულად, ვერც იმას ვიტყვი, მე და მოურინიო მტრები ვართ. როცა ვხვდებით, ხელს ვართმევთ. ვფიქრობ, ამაზე მეტი არც არის საჭირო. მთელ დროს მუშაობაში ვატარებთ. ორივე ვცდილობთ, საუკეთესო შედეგებს მივაღწიოთ.

- თქვენს კოლეგას როგორ დაახასიათებთ?

- კარგი მწვრთნელია. მან ყოველთვის იცის, რისი გაკეთება სურს. მერწმუნეთ, ეს იშვიათი უნარია. ბევრ მწვრთნელს ნარმოდგენაც კი არ აქვს, რას აკეთებს.

- მის პიროვნულ თვისებებზე რას გვეტყვით?

- აბსოლუტურად ვერაფერს. მოურინიოს იმდენად კარგად არ ვიცნობ, რომ მისი ხასიათის შტრიხებზე ვისაუბრო. პორტუგალიელის პროფესიული უნარების შეფასებისას ბევრად უფრო კომპეტენტური ვიქნები. როგორც გითხარით, მას კარგ მწვრთნელად მივიჩნევ.

- თქვენც მიგაჩნიათ, რომ ინგლისის ჩემპიონატი საუკეთესოა ევროპაში?

- დიახ, ის უძლიერესია ევროპაში და შესაბამისად, მთელ მსოფლიოში.

- პრიმერა დივიზიონი პრემიერლიგას ვერც შეედრება?

- შედარება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ინგლისის ჩემპიონატი ესპანურ ლიგაზე ბევრად ძლიერია. პრიმერა დივიზიონში შესაძლოა, უფრო დაძაბული ვითარებაა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ოთხი კლუბი პრიმერა დივიზიონის მოწინავე ოთხ გუნდზე ძლიერია.

- როგორ გგონიათ, რა განაპირობებს ამ განსხვავებას?

- ფინანსები. დასამალი არ არის, რომ პრემიერლიგაში გაცილებით მეტი ფული იხარჯება. სადაც მეტი ფულია, იქ ხარისხიც უკეთესია.

- და მაინც, შეუძლებელია, პრიმერა დივიზიონისადმი გულგრილი იყოთ. საშუალება თუ გაქვთ, ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრებს თვალი ადევნოთ?

- ვცდილობ, პრინციპული დაპირისპირებები არ გამოვტოვო. ვიცი, რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

- გამარჯვებას რომელ გუნდს უწინასწარმეტყველებთ?

- ძნელი სათქმელია. სიმართლე გითხრათ, "ბარსელონის" ასეთ ჩავარდნას არ ველოდი. ვერ ვიტყვი, რომ კატალონიელები კრიზისში იმყოფებიან, თუმცა გარკვეული სირთულეები აშკარად შეექმნათ. სეზონის დასრულებამდე რვა ტურია დარჩენილი. დღეს ვერავინ წარმოიდგენს, თუნდაც ორი კვირის შემდეგ როგორი მდგომარეობა იქნება.

- ყველა გამოკითხვის თანახმად, მადრიდის "რეალი" უპირობო ფავორიტად მიიჩნევა...

- მე ასე არ ვფიქრობ. "ბარსელონას", "სევილიასა" და "რეალს" აბსოლუტურად თანაბარი შანსები აქვთ.

- ორი დღის წინათ რამონ კალდერონმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რაფა ბენიტესთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონიაო. თქვენ კი ამბობთ, რომ მადრიდელებმა მაცდუნებელი წინადადებით მოგმართეს.

- ამ თემაზე უკვე ამომწურავად ვისაუბრე. ჩემმა მენეჯერმა სამეფო კლუბის დირექტორატიდან ჩინებული შეთავაზება მიიღო, მაგრამ მე "ლივერპულში" დარჩენა ვამჯობინე.

ინტერვიუ მასიმო მორატისთან

ახლა ჩემპიონთა თასზე

პრეზიდენტის თქმით, ამ სკუდეტოს საფუძველი ერთი წლის წინათ, ვილიარელთან წაგების შემდეგ ჩაეყარა...

მატერაცი და მორატი

ეს სკუდეტო ყველა ინტერისტას ეკუთვნის, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც **მასიმო მორატის**, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ სხვები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ის კი სულ იქ იყო. და ელოდა: 18 წელი, როგორც "ინტერის" რიგითი ტიფოზი, და 12 წელი, როგორც "ინტერის" მეპატრონე და პრეზიდენტი. და მერე როგორ ელოდა! "*კონ გრანდე სოფერენცა*", დიდი ტკივილით, როგორც ინტერისტებს უყვართ თქმა. ამ 12 წელიწადში "ნერაძურის" უილბლო, დათარსული და შეშლილი გუნდის იარლიყი მიეკერა, მორატის კი – ხელმოცარული პრეზიდენტის. ზუსტად ერთი წლის წინათ მასიმო იქამდეც კი მივიდა, რომ კლუბის გაყიდვაზე ჩამოაგდო სიტყვა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სინამდვილეში ამას ვერ და არ გააკეთებდა – მასიმოსთვის, "ლა გრანდე ინტერის" შემოქმედის, ანჯელო მორატის შვილისთვის, "ინტერი" ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი იყო, შუა გზაზე რომ მიეტოვებინა. მასიმო დარჩა და...

ახლა, სკუდეტოდან ერთი დღის შემდეგ, თავის ოფისშია, "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს პირველ საჩემპიონონ ღამეს უყვება, ემოციას ვერ მალავს: "*რა ღამე იყო, რა ზეიმი! უჰ, იმ ავტობუსის სახურავზე ვიდექით, უკან ათი ათასი ტიფოზი მოგვყებოდა და ასე დავდიოდით მილანის ქუჩებში... ყოველ მეტრში ფეხბურთელების თავები მილიმეტრებით ცდებოდა ტროლეიბუსის ხაზებს, ვეხვეწებოდი, ფრთხილად-მეთქი, მაგრამ ვის ახსოვდა... რა სილამაზე იყო, მოვიდა ზეიმის დღე, თან მოვიდა მოულოდნელად და ყველაფერი სპონტანურად გამოვიდა, ქუჩებში ხალხი ყოველ წუთას ემატებოდა და ემატებოდა. კი, ჩემი ოჯახის ყველა წევრიც იქ იყო. არც ისინი ელოდნენ სკუდეტოს ამ კვირას. სიენაში ყველა არ წამოსულა და ბევრიც დაკარგეს: ის ხეები, უზომოდ დიდი ბაზილიკის ფონზე: თავი სამოთხეში გეგონებოდა... ამ დილით ორივე ელკანმა დამირეკა (ჯანი ანიელის შვილიშვილები), ორივემ გულწრფელად, ლამაზი სიტყვებით მომილოცა. ძალიან დავაფასე მათი კომპლიმენტები, იმიტომ, რომ გულწრფელი იყო. და მერე... უკაცრავად, ერთი წუთით". ტელეფონზე სილვიო ბერლუსკონი ურეკავს. "აი, მანაც მოსალოცად დამირეკა, ვაფასებ მის ამ ჟესტს, იმიტომ, რომ ვიცი, სპონტანურია, გულახდილი და ნამდვილია".*

მასიმო მორატი აღარ არის ხელმოცარული პრეზიდენტი. 12 წელიწადი გაატარა "ინტერის" სათავეში, რასაც უნდა დაემატოს წინა ეპოქის 13 წელიწადი, როცა პრეზიდენტი მამა იყო, თვითონ კი იმბერსაგოს ბაზაზე ანაც ზაფხულობით **ფორტე დეი მარმიში** ბურთს აგორებდა **კორსოსა** და **ფაკეტისთან, მაცოლასა** და **სუარესთან** ერთად.

ძველ სიყვარულთან დაბრუნების ისტორია, ამჯერად უკვე მამის გარეშე, 1995 წლის 16 იანვარს იწყება, როცა **პეპინო პრისკო** ("დიდი ინტერის" ლეგენდარული ვიცე-პრეზიდენტი, ფანატიკოსი ინტერისტა, რომელმაც ერთხელ თქვა, როცა მილანისტას ხელს ვართმევ, მერე გავრბივარ და ვიბან, როცა იუვენტინოს ვართმევ, თითების დათვლას ვიწყებო) ქუჩაში შეხვდა და ხმამაღლა დაუძახა: "*მასიმო, კლუბის ყიდვაზე რას ფიქრობ? გადაწყვიტე "ინტერის" დაბრუნება?*" "*კი, მაგრამ ხვალ არა, ხვალ 17-ია* (უიღბლო რიცხვი იტალიელების წარმოდგენით)... *ჯობია, ზეგ გავაკეთო*". 18-ში, პუნქტუალურად, მასიმოს ადვოკატმა მაშინდელ პრეზიდენტ **ერნესტო პელეგრინის** კლუბის შეძენის წინადადება წერილობით გაუგზავნა. ერთი თვის შემდეგ ანჯელოს შვილი მამის დაწყებული საქმის გაგრძელებას შეუდგა. "*წარსულის ხელახლა განცდის სურვილზე მეტად, მინდა, რომ ხალხს სიხარული ვაჩუქო. თუ გნებავთ, ამას ამბოხება დაარქვით: "ინტერს" უფლება არ აქვს, რომ ერთ ადგილას იდგეს და უყურებდეს, როგორ იგებენ "იუვენტუსი" და "მილანი"*– თქვა პრეზენტაციის დღეს მასიმო. მორატი უმცროსს ეს ძლიერი გრძნობა დღემდე თან ახლდა - ამბოხება იმის მიმართ, რაც უსამართლობად აღიქმება. ამბოხება გრძელდებოდა მანამდე, სანამ მასიმომ "შავლურჯ" ტიფოზებთან ერთად ტოტალური ბედნიერება არ გაიზიარა. სკუდეტო მოგებულია, მოგებულია მოედანზე (და არა შარშანდელივით ქაღალდზე). "ჰო, მოედანზე, სადაც უკვე აღარ იყო მზაკვრობა და ფარული შეთქმულებები, ჩვენ გავიმარჯვეთ. ხედავთ, რა ბედნიერი დამთხვევაა...".

- ეს არის ტრიუმფი, რომელსაც წინ დიდი იმედგაცრუება უძღოდა: გასული წლის აპრილში გადაწყვეტილი გქონდათ, რომ დანებებულიყავით, "ინტერი" დაგეტოვებინათ...

- დიახ. და არა იმდენად "ვილიარეალთან" წაგების მიზეზით, რამდენადაც გასული ჩემპიონატის ეპილოგის გამო. ამასთან შეგუება ძალიან ძნელი იყო.

- სულ ეს იყო?

- არა. წლების განმავლობაში მქონდა ისეთი განცდა, თითქოს გალიაში ვიყავი ჩაკეტილი. ვიღაც, ვისაც ამ გალიის გასაღები ჰქონდა, უფლებას მაძლევდა, რომ გარკვეულ წერტილამდე მივსულიყავი, მაქსიმუმ მეორე ადგილამდე, მაგრამ უკეთესი იყო თუ მესამეზე გაგვიყვანდნენ, ასე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოს გვათამაშებდნენ... ამის წინ კი გაუვალი კედელი აღიმართებოდა ხოლმე და ჩვენთვის სკუდეტოსთვის ბრძოლა აღარ არსებობდა. ასე მოხდა, რომ აპრილში ჩემს თავს ვუთხარი: რაკი ახლაგაზრდობის წლებში ბევრი ბედნიერი წუთი გამოვცადე, შეიძლება, განგებას უნდა, რომ მეტად აღარ გამოვცადო. ამიტომ ადგილს ვუტოვებ მას, ვინც საქმეს განახლებული ენთუზიაზმითა და აღტყინებით შეუდგება. ჩვენი ტიფოზების წინაშე ამის გაკეთება სავალდებულო ნაბიჯად მეჩვენებოდა.

- "კალჩოპოლის" სკანდალი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რომ საკუთარ თავში ეს ახალი ენთუზიაზმი გეპოვნათ?

- ჩვენთვის, ინტერისტებისთვის, ეს სკანდალი არ ყოფილა მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. ფაკეტისა და ერთი-ერთი არბიტრის ცნობილი საუბრის შემდეგ, უკვე ფიზიზლად ვიყავით... რაღაც მახე რომ ჰქონდათ დაგებული, ეს ჯერ კიდევ ჰოჯსონის მწვრთნელობის დროს ვიყნოსეთ, გარკვეული სიგნალები ყოველთვის მოდიოდა. თუმცა საჭიროა მტკიცებულებები. მაგრამ მე აპრილშივე, სკანდალამდე ვიპოვე თავში იმის ძალა, რომ ყველაფერი თავიდან დამეწყო, შეიძლება, ამისკენ პასუხისმგებლობის გრძნობამ მიბიძგა. ვიტყოდი, რომ გადამწყვეტი იყო რეაგირების, გალიიდან გაქცევის სურვილი. წინ უნდა აღვდგომოდით ფესვგადგმულ მავნე სისტემას, რომელსაც მოჯი მარჯვედ ხელმძღვანელობდა და რომელშიც, ვინ იცის, რამდენი ადამიანი იყო ჩართული.

- იმ დღეებში იყო, რომ ფაბიო კაპელოს მოყვანაზე დაიწყეთ ფიქრი?

- არა, იმ დღეებში მანჩინი დავიბარე და ვუთხარი: მოდი, ისეთი გუნდი გავაკეთოთ, რომელიც ყველაზე დ ყველაფერზე ძლიერი იქნება.

- კაპელოს გვარი ამ ისტორიაში როდის გაჩნდა?

- ეს იდეა რამდენიმე კვირით ადრე დამებადა და დაკავშირებული იყო ჩავარდნასთან, რომელიც იმ პერიოდში ჩემპიონატში გვქონდა. ამის თაობაზე მანჩინის მერე პირადად მოვუყევი. ავუხსენი, რომ "ინტერი" ვალდებული იყო, მაშინდელი ლიდერების ღირსეული მეტოქე ყოფილიყო. ის ჩემს სათქმელს მიხვდა და ერთიანი ძალებით ყველაფერი თავიდან დავიწყეთ. მანჩინის უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ სამახსოვრო გამარჯვებაში, ვალდებული ვარ, რომ ეს ხაზგასმით აღვნიშნო. თავისი პროფესიონალზმითა და პიროვნული თვისებებით რობერტო ერერას მაგონებს.

- გაგრძელა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ეს კონტრაქტი?

- დიახ, სამი თუ ოთხი კვირის წინათ, ზუსტად აღარ მახსოვს. მხოლოდ ორი რამე მთხოვა და არაფერი იქიდან, რაზეც პრესაში ბევრი ლაპარაკი იყო: კლუბის ახალი ექიმი, ტრანსფერები და ა.შ. ამ თემებზე საუბარიც არ ყოფილა.

- შეიძლება, გვითხრათ, რა გთხოვათ?

- ხანგრძლივი კონტრაქტი და შესაძლებლობა, რომ გუნდში კიდევ ერთი ასისტენტი, დარიო მარკოლინი მიეყვანა. ამ საკითხში მცირე წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ შემდეგ დავთმე, ოთხწლიან კონტრაქტზე კი თანხმობა დაუყოვნებლივ მივეცი, რადგან მეც ასე ვფიქრობდი. ხანგრძლივი კონტრაქტი სჭირდება იმისთვის, რომ მშვიდად იმუშაოს და მეც მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ საქმე ცუდად თუ წაგვივა, რობერტო არ მოიქცევა ისე, როგორც ლიპი, რომელიც ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ ვალდებული იყო, წასულიყო და ამის მიუხედავად, თავი მე გამანთავისუფლებინა და ხელფასის მიღება განაგრძო. მის ადგილას რობერტო თვითონ გადადგებოდა, მორჩა და გათავდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან კიდევ ხუთი სეზონის მანძილზე დარჩება. თუ მოიგებს, კონტრაქტი ერთი წლით ავტომატურად გაუგრძელდება და ვიცი, რომ სულ ცოტა, ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

- კვირას სიენაში ტრიბუნიდან წყლით სავსე ბოთლი გესროლეს და კინაღამ სახეში მოგხვდათ. რა გაიფიქრეთ იმ მომენტში?

- პირველად ის გავიფიქრე, რომ შეიძლებოდა, თვალში მომხვედროდა. მერე კი გამახსენდა, რომ სიენაში "იუვენტუსის" ბევრი ტიფოზია, ვინც დღემდე მოჯის ერთგული დარჩა (მოჯი წარმოშობით სიენელია).

- გასულ წელს მოედანზე რომ მოგეგოთ, თქვენს სკუდეტოს ყველა ღირსეულად მიესალმებოდა, მაგრამ ახლა სიტყვითაც და საქმითაც თავს გესხმიან. რატომ?

- იტალიური კუთხურობა და ადგილუფროსობა, ერთის მხრივ და ისტორიული მეტოქეობა, მეორეს მხრივ. ამ ორი ფენომენით ალბათ ბევრი აიხსნება, მაგრამ არა ყველაფერი. მე მეყო იმის გამბედაობა, რომ "იუვესთვის" ჩამორთმეული სკუდეტო მიმეღო. ამით ხაზი გავუსვი განსხვავებას კანონიერ და უკანონო საქმიანობას შორის. მაგრამ ფეხბურთი არ არის მძლეოსნობა, სადაც ჩვეულებრივი მოვლენაა, თუკი ლუისი ამაყად ჩამოიკიდებს ჯონსონისთვის ჩამორთმეულ ოქროს მედალს. გარდა ამისა, მოჯის მომხრეების მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ სკანდალში მონაწილეთა როლები აერიათ. მთელი ამ თვეების მანძილზე ხალხმა ბოლომდე მაინც ვერ გაიგო, ვინ იყო ის, ვინც კარტების ოთხი-ხუთი დასტით თამაშობდა, ხელოვნურად დატახეს ისეთი ჩახლართული სურათი, სადაც ადამიანი მტყუან-მართალს ვეღარ გაარკვევდა. საბედნიეროდ, ამ ათი დღის წინათ ნეაპოლის პროკურატურამ სიტუაციას ნათელი მოჰფინა, საბოლოო სურათი დაგვანახა და შემსრულებლების სახეებიც ბოლომდე წარმოაჩინა. ნეაპოლელი გამომძიებლების ბოლო მასალები საფუძვლიანად გვაფიქრებინებს, რომ იტალიურ ფეხბურთში უკანონობა სულ ცოტა ათი წლის განმავლობაში არსებობდა. მაგალითისთვის, 1997/98 სეზონიდან: ჯერ კიდევ მაშინ გამოვხატავდი პროტესტს ამ სისტემის მიმართ. მაგრამ ამაოდ.

- ბონიპერტი ამბობს, რომ წარსული უნდა დავივიწყოთ და წინ ვიყუროთ.

- ბონიპერტი დიდი ადამიანია, ფეხბურთს მისნაირი ბევრი სჭირდება. ვიზიარებ მის აზრს და გეტყვით, რომ კობოლი ჯილისთან და "იუვეს" ახალ დირექტორებთან საუცხოო ურთიერთობა გვაქვს.

- გექნებათ, რატომაც არა? ვიეირა და იბრაჰიმოვიჩი დაგითმეს...

- უფასოდ არ დაუთმიათ. ორივეში საბაზრო ფასი გადავიხადეთ. იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერზე მოლაპარაკება პირდაპირ ანიელების ოჯახთან გვქონდა, ანუ შუამავლების გარეშე. ამასთან, იბრაჰიმოვიჩს გარკვევით ჰქონდა ნათქვამი, რომ სერია B-ში არ დარჩებოდა.

- ახლა ისე ჩანს, რომ ბუფონი გიკრავთ თვალს. თქვენ კი ის კაცი ბრძანდებით, რომელიც ტიფოზებს ოცნებებს უხდენს, მით უმეტეს ახლა, "ინტერის" ასწლოვან იუბილეზე...

- დღეს სხვა სიტუაციაა. იბრამ "ინტერის" თამაშს შინაარსი და ხალისი შემატა, როცა რონალდო ვიყიდე, ეს "ფიორენტინასთან" უსახური 0:0-ის შემდეგ გავაკეთე. ახლა კონკურენტუნარიანები ვართ და შესაბამისად, ხმაურიანი ტრანსფერის საჭიროება არ არის. ეს გუნდი ამ შემადგენლობით იმსახურებს შენარჩუნებასა და შანსს, რომ "ვალენსიასთან" წაგება გამოისყიდოს.

- თუმცა, ფიგუ მიდის და შემცვლელის მოყვანა აუცილებელია.

- დეკუ, კვარეშმა, კარგი ფეხბურთელები არიან. მაგრამ ჩვენ შეიძლება, აქცენტი რომელიმე ნიჭიერ ახალგაზრდაზე გავაკეთოთ.

- ახალი პრეზიდენტი აბეტე მზადაა, რომ ფედერკალჩოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შემოგთავაზოთ.

- როგორც კლუბის პრეზიდენტს, არასწორად მიმაჩნია, რომ ფედერალური პოსტი დავიკავო. გარდა ამისა, სხვათა ინტერესთა კონფლიქტს ხშირად ვაკრიტიკებდი და ახლა ანალოგიურ სიტუაციაში თავს არ ჩავიყენებ.

მე-10 გვერდზე

იბრა სიხალისეა, მაიკონი ინტერის ელექტროსადგური

მორატი ფეხბურთელებს აფასებს, პრეზიდენტი რეკობას ვერც ამჯერად შეელევა...

მე-9 გვერდიდან

ინტერვიუს შემდეგ მასიმო მორატიმ "ინტერის" ყველა ფეხბურთელის სეზონი შეაფასა.

იბრაჰიმოვიჩი – "ფეხბურთი ხალისიცაა და მან ეს ხალისი მოგვიტანა. "ინტერში" იდეალურად ჩაეწერა და გაამართლა ის, რასაც მის შესახებ მეუბნებოდნენ: ბავშვობიდან მალმიოში "ნერაძურის" მაისურით დარბოდა, ჩვენი გუნდის ტიფოზი იყოო. იმის მიხედვით, როგორც მოინდომა და რაც გვაჩვენა, ვფიქრობ, ასე უნდა ყოფილიყო. მისგან კიდევ ბევრ ასეთ სეზონს ველი".

მატერაცი – "ბერლინის ფინალი "ინტერის" მაისურით გააგრძელა. ის ფაქტი, რომ სკუდეტო მისი დუბლის შემდეგ მოვიდა, არის არა ბედისწერა, არამედ მისი საოცარი გამბედაობის ლოგიკური შედეგი. "ინტერში" სხვა ბევრი დიდი მცველი მოვიდა, ის კი, წასვლის მაგივრად, სასწაულად ათამაშდა. აპლოდისმენტები მატერაცის".

სტანკოვიჩი - "სუპერსეზონი ჰქონდა, რაც დიდად არის განპირობებული მისი მგრძნობიარე, ემოციური ხასიათით. გუნდის ცხოვრებაში მთელი არსებით მონაწილეობს. წლების წინ ემერსონს ვყიდულობდი, მანჩინიმ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი მწვრთნელი, შემაჩერა - არა, სტანკოვიჩი უფრო სრულყოფილიაო. ყოველთვის უნდა, დაამტკიცოს, რომ ყველაზე ძლიერია, დარბის, იბრძვის და აქვს კლასი".

მაიკონი – "ის არის ჩვენი ელექტროსადგური. არ მეგონა, ასე ძლიერი თუ იყო, მათ შორის მორალურად. სიენაში დაჭიმული კუნთით ითამაშა, ცალი ფეხით დარბოდა, მაგრამ შეცვლა არ უთხოვია. მისი მოყვანაც ბრანკას იშვიათი ინტუიციის ნაყოფია. და წარმოიდგინეთ, რომ მაიკონში გადახდილი 5 მილიონი ძვირად მეჩვენებოდა. დღეს სამმაგად ფასობს".

ძანეტი – "ის არის პროფესიონალიზმისა და სერიოზულობის განსახიერება. ფიზიკურად შეუვალია, მეტიც, წლებთან ერთად უმატებს. საშინელი ძალის პატრონია, ახალ ამპლუასთან შეგუების იშვიათი უნარი აქვს. მარცხენა საყრდენად დააყენეს და ისე ითამაშა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ პოზიციაზე თამაშობდა".

ვიეირა – "ელეგანტურობა და ფიზიკური სიძლიერე – ეს არის ვიეირა. სამწუხაროდ, ვალენსიაში ძალიან დაგვაკლდა და ეს გამოჩნდა კიდეც. შეუძლებელია, არ დაინახო, რომ სეზონის გადამწყვეტ მომენტში ვიეირასა და კამბიასოს გარეშე თამაში მოგვიხდა".

კრესპო – "ის გოლის გარანტიაა. ჭეშმარიტი პროფესიონალი, თავის საქმეს ნებისმიერ სიტუაციაში აკეთებს, ანუ გააქვს გოლები. მინდა, რომ შევინარჩუნო, ვიცი, რომ დარჩენა უნდა და აქვე ვიტყვი, რომ მისი მომავალი მხოლოდ "ჩელსი"ზე" დამოკიდებული არ იქნება, კრესპოსა და ჩვენი სურვილი არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება. ასე რომ, ამ მხრივ საკითხი ღიად რჩება".

ბურდისო – "აქვს ძლიერი ხასიათი, რამაც საშუალება მისცა, რომ მასთან დაკავშირებული ყველანაირი პროექტი თავდაყირა დააყენებინა. ბურდისოს დავარქმევდი ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრს, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არ თამაშობს. შევამჩნიე, რომ გუნდის კულისებში ერთ-ერთი ლიდერია. თავისი პატარა ქალიშვილი გამაცნო (ბურდისოს შვილი მძიმედ იყო ავად), სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა".

კორდობა – "ის ჩვენი კლუბისა და გუნდის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ფეხბურთელია. მისი აზროვნების ფორმა სრულ ჰარმონიაში მოდის "ინტერის" მსოფლმხედველობასთან. მისი თამაში მანჩინის თავის სამპდორიელ თანაგუნდელს, პიეტრო ვერხოვოდს აგონებს. მე კი იმის თქმა შემიძლია, რომ ივან რამირო "ინტერში" კიდევ მრავალი წლის მანძილზე დარჩება".

კამბიასო – "კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ბრანკამ უსასყიდლოდ მოიყვანა. წელს ისეთ დონეზე ვერ ითამაშა, როგორც შარშან, იმიტომ, რომ მას სტაბილურად თამაში სჭირდება, ამაში კი ხელი ტრავმებმა შეუშალეს. თუმცა ბოლო დროს ფორმას იბრუნებს და სათამაშო მექანიზმში კვლავაც აუცილებელ ელემენტად რჩება".

დაკური – "მასზე აზრი ფეხბურთის ერთ დიდ ავტორიტეტს ვკითხე და ასეთი დახასიათება მივიღე: ნახევარდაცვის სინიორი. ღმერთო, რამხელა შეცდომაა! თუკი ვინმეა, ვინც გამუდმებულად პრესინგს თამაშობს, პირველ რიგში ეს ფრანგია. ძალიან ხისტი და მებრძოლია, არანაირი სინიორი. სხვათა შორის, გამორჩეულად უყვართ თანაგუნდელებს".

ულიო სეზარი – "ჩვენთან მარკო ბრანკას დაჟინებული თხოვნით აღმოჩნდა, ვიტყოდი, რომ ბრანკამ ეს სანაძლეო უკვე მოიგო. ულიო სეზარმა დაამტკიცა, რომ საიმედო მეკარეა. გარდა ამისა, თავისი ხასიათით მოედნის მიღმაც ძალიან სასარგებლოა გუნდისთვის და კლუბისთვის. ამ სეზონში თავი ბევრი დიდებული ნახტომით დაგვამახსოვრა და მჯერა, რომ გამოცდილებასთან ერთად კიდევ მოუმატებს".

მაქსველი – "არსენ ვენგერმა, რომელსაც ძალიან ვაფასებ, მითხრა, მაქსველის შეძენით, თანაც უფასოდ, იშვიათი საქმე გააკეთეთო. აქაც მარკო ბრანკას ვუხდი მადლობას გამბედაობისთვის, რადგან ბრაზილიელს უმძიმესი ტრავმა ჰქონდა გადატანილი. მაქსველი სერიოზული, საღად მოაზროვნე ბიჭია, გუნდში თავდაჯერება და ენთუზიაზმი შემოაქვს"

საშული – "ჩემი ჯილაა. თავის ამპლუაში სრულყოფილ ფეხბურთელად ვთვლი, გამოცდილების, სისხარტის, სიძლიერისა და ჟინის გამო. დღევანდელობის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. წელს ხშირად არ თამაშობდა, მაგრამ მაინც დიდი სარგებლობა მოგვიტანა. მომდევნო სეზონებში მასზე დიდ იმედს ვამყარებ".

ფიგუ – "კიდევ ერთხელ ყველა ღონეს ვიხმარ, რომ არაბების წინადადებაზე უარი ვათქმევინო. იქაურ ფეხბურთთან ლუიშს არაფერი ესაქმება. ვიცი, რომ ოქროს კოშკებს დაუდგამენ, მესმის, მაგრამ ჩემსას მაინც ვეცდები. კლასთან ერთად თავმდაბლობის, თავდადების მაგალითიც მოგვცა. ფიგუ ეტალონია".

ბროსო – "ის კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონია, რომელმაც მუნდიალზე დიდი ენერგია დატოვა და ბუნებრივი იყო, ასე რომ მომხდარიყო. ამას უნდა დავამატოთ "სან სიროს" ეფექტიც და მასთან დაკავშირებული მღელვარება. მაგრამ გროსოს 100 პროცენტით ვენდობი. სექტემბრიდან ისევ ის ფეხბურთელი იქნება, რომელმაც ბერლინის ფინალში გადამწყვეტი პენალტი გაიტანა".

ქრუსი – "შთამბეჭდავი ფიზიკური სიძლიერე აქვს, ამის წყალობით ყველაზე სტაბილური ფორვარდია. სამი კვირა არ თამაშობს, დაბრუნდება და მშვიდად ხარ, რადგან იცი, რომ ისევ ისე ითამაშებს, როგორც მანამდე. ეს იშვიათი თავდაჯერებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაცაა".

ადრიანო – "შესაძლებლობების მაქსიმუმზე მხოლოდ რამდენჯერმე ითამაშა. მე ვაგრძელებ ამ ფეხბურთელის დაცვას, რადგან კარგად ვიცნობ მის პოტენციალს. მაგრამ ფეხბურთს სტაბილურობა უნდა. მომავალი მის ხელშია, ყველაფერი მის სურვილზე იქნება დამოკიდებული. ასაკი ხელს უწყობს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ათეულს ისევ დაუბრუნდეს".

ტოლდო – "ტოლდო, როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი, ჩემი მხრიდან სრულ ნდობას და პატივისცემას იმსახურებს. მთელი სეზონის განმავლობაში ისე იქცეოდა, როგორც დიდი ინტერისტა და როცა მოედანზე გავიდა, იქაც დაამტკიცა თავისი კლასი".

რეკობა – "ჩემთვის ის მაინც გრანდად რჩება და "ინტერშიც" რჩება... ასეთ ტალანტს მე ვერასოდეს შევეღვი. არა მგონია, რომ წასვლა უნდოდეს, მარტო იმას ითხოვს, რომ უფრო ხშირად თამაშობდეს. ბუნებრივიცაა"

სოლარი – "როცა მოედანზე იყო, ყოველთვის კარგად თამაშობდა. გული მწყდება, რომ უფრო ხშირად თამაშის საშუალება არ მიეცა".

გონსალესი – "სულ რაღაც წუთები ითამაშა, მისი შესაძლებლობები ბოლომდე არ დაგვინახავს".

ანდრეოლი – "რამდენჯერმე ითამაშა, მაგრამ არასად გავუშვებ, რადგან ვიცი, რომ როცა მოედანზეა, თავის საქმეს ყოველთვის კარგად გააკეთებს. ისიც ვიცი, რომ უფრო ხშირად თამაშს ითხოვს და იჯარით წასვლა უნდა, მაგრამ ის ჩვენ გვჭირდება".

გოგა ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

დიეგო და რობინიო ერთად?

მადრიდელები გალასში 15 მილიონს გადაიხდიანო

დიეგო

"დიარიო მარკამ" სამეფო კლუბის გულშემატკივრებს სასიხარულო ამბავი აუწყა. მადრიდული გაზეთისთვის ცნობილი გახდა, რომ "რეალმა" "ვერდერთან" **დიეგოს** ტრანსფერზე მოლაპარაკებები დაიწყო. **პრედრაგ მიატოვიჩი** და **ფაბიო კაპელო** ფიქრობენ, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი მათი გუნდის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და "სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდებული კარიერის გაკეთება შეუძლია. როგორც გაირკვა, გერმანელები ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის გასხვისებას არ ეწინააღმდეგებიან. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ფინანსებსა და თავად დიეგოს ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული. კულუარული ინფორმაციით, "რეალს" სასურველი ნახევარმცველის შეძენა, სულ მცირე, 25 მილიონი ევრო დაუჯდება. საქმის გაჩარხვის შემთხვევაში, აღდგება **რობინიოსა** და **დიეგოს** დუეტი. წლების წინ ხომ ისინი "სანტოსში" ბრწყინავდნენ. ყოფილ თანაგუნდელებს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით.

"რეალმა" **ვილიამ გალასსაც** დაადგა თვალი. მადრიდელები "არსენალს" 15 მილიონ გირვანქას შესთავაზებენო, ვკითხულობთ "მირორში". ფრანგი მცველი "ემირიტსზე" გასულ ზაფხულს "ჩელსიდან" გადავიდა. მისი სადებიუტო სეზონი უფერული გამოვიდა. კლუბების ხელმძღვანელები უახლოეს მომავალში შეხვდებიან. მათ **ჟულიო ბაპტიშტასა** და **ხოსე ანტონიო რეიესის** საკითხები უნდა განიხილონ. სავარაუდოდ, გალასის ტრანსფერზეც მაშინ ისაუბრებენ.

სებასტიან დაისლერი

16 იანვარს "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ტანჯულმა ნახევარმცველმა **სებასტიან დაისლერმა** ყველასათვის მოულოდნელად გამოაცხადა, კარიერას ვამთავრებო. ბასტი-ფანტასტი ყველას დაეშვიდობა და წავიდა. ნავიდა და მას მერე აღარც გამოჩენილა. გუშინწინ მიუნხენური კლუბის გენერალურ მენეჯერ **ული ჰაინესს** დაისლერის ასავალ-დასავალი ჰკითხეს, რაზეც ულიმ ასეთი პასუხი გასცა: "სება უბრალოდ

დაკარგული

სად გაქრა დაისლერი?

სება ოტმარის ზარებსაც არ პასუხობს...

გაქრა, ვერსად ვპოულობთ, არც ბაზაზე მოსულა. მინდა იცოდეს, რომ ჩვენი კარი მისთვის მუდმივად ღიაა. კარგი იქნება, თუ შემოგვლივლის და გვინახულებს."

სად გაქრა დაისლერი? ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კარიერის დასრულების შემდეგ 27 წლის სება ნორვეგიასა და ტაილანდში იმყოფებოდა. უკანასკნელად კი ბერლინში ნახეს. *"მასთან დაკავშირება არაერთხელ ვცადე, მაგრამ ზარებს არ პასუხობს. ტექსტური შეტყობინებებიც გავუგზავნე, მაგრამ არაფერი მოუწერია,"* - აცხადებს ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი**.

შოტლანდიის პრემიერლიგა

სელტიკი 41

ნაკამურა წლის საუკეთესო ფეხბურთელია

შენსუკუ ნაკამურა

"სელტიკმა" შოტლანდიის ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ და ისტორიაში 41-ედ გაიმარჯვა. "კილმარნოკთან" მატჩში, მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე, **შუნსუკე ნაკამურამ** მისი წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო გაიტანა. მან ბურთი კედელს გადაავლო და და მეკარისაგან შორეულ დაბალ კუთხეში გაახვია (2:1). გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე "კათოლიკებმა" 81 ქულას მოუყარეს თავი. მდევარი "რეინჯერსისაგან" მათ 13 ქულა ჰყოფთ.

ნამატჩევს "სელტიკის" თავკაცმა **გორდონ სტრაჩანმა** თქვა: "გაგვიმართლა, რომ ასეთი გენიოსი ჩვენს გუნდშია. ნარკოტიკი არასოდეს მიმიღია, მაგრამ ამ წუთას ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მისი ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდე. ჩემს ფეხბურთელებს ნაგება არ უყვართ. "სელტიკში" მაგალითის მიმცემი ბიჭებიც ბევრნი არიან, მაგრამ ასეთები უფრო ბევრი უნდა გვყავდეს."

სტრაჩანმა ივარაუდა, რომ შოტლანდიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ნაკამურა გახდებოდა: "სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ის ყველაზე მეტ სამუშაოს ასრულებს. სასაცილოა, როცა ამბობენ, ბურთის ართმევა არ იცისო. მერე რა, თუ არ იცის? ის ყველაზე მეტად იმსახურებს წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს."

კომენტარისათვის მოიცალა ნაკამურამაც: "მიხარია, რომ გავიტანე. სასიამოვნო მომენტი იყო. თავიდან ჩემპიონობაზე არცკი ვფიქრობდი. მინდოდა, ყოველი მატჩიდან მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო. აქ ენითაუწერელი ატმოსფეროა. მინდა, დავიჯერო, რომ გაისადაც "სელტიკში" ვითამაშებ."

მწვრთნელის ვარაუდი ახდა. კვირას შოტლანდიური პრემიერლიგის წლის საუკეთეს ფეხბურთელად იაპონელი ლეგიონერი დაასახელეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭადრაკი

ინტერვიუ თამარ წერეთელთან

ჭადრაკი სიცოცხლეა, მკლავჭიდი სიხარული!

რამდენიმე ხნის წინ არცთუ ჩვეულებრივი ამბავი გამცნეთ - თამარ წერეთელი, რომელიც ჭადრაკში ქალთა შორის დიდოსტატის ტიტულს ატარებს, მკლავჭიდელიც გახლავთ და საქართველოს ნაკრების წევრიცაა.

კაცი დიდოსტატის მკლავჭიდით დაინტერესებაზე რომ გვესაუბრა, ესეც უცნაური იქნებოდა, მაგრამ ქალის შემთხვევა კიდევ განსაკუთრებული და ერთი შეხედვით დაუჯერებელია. არადა, ფაქტია, თამარ წერეთელი საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი მკლავჭიდელია, რაც ერთი კვირის წინ, საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებითაც დაადასტურა.

- თამარ, ცხადია, გილოცავთ ჩემპიონობას, მაგრამ პირველი კითხვა ასეთი გვაქვს: სად ჭადრაკი და სად მკლავჭიდი?

- ძალის მოზღვავებას ჯერ კიდევ ბავშვობაში ვგრძნობდი, - ეზოში სულ ბიჭებთან ვთამაშობდი - ხან კალათბურთის, ხან ფეხბურთის და არც სხვა ბიჭურ გასართობებს ვიკლებდი. 1995 წელს, როცა ბრაზილიიდან ვბრუნდებოდით, ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატიდან, თვითმფრინავში რუსი მკლავჭიდელები დაგვემგზავრნენ. მათი დაკუნთული სხეულების შემყურეს მომინდა მკლავჭიდშიც მეცადა ძალები. როცა მამას ჩემი სურვილი გავუმხილე, უარი არ უთქვამს, მაგრამ მკლავჭიდის სექციაზე მაინც არ მივყავდი - მეუბნებოდა - როცა ჭადრაკში მედალს მოიპოვებ, მაშინ მიგიყვანო. მედლები ბევრჯერ მერგო, მაგრამ სურვილის ასრულება მაინც არ მეწერა. მიუხედავად ამისა, მკლავჭიდის სიყვარული არ გამნელებია და რახან პროფესიულად ვერ ვვარჯიშობდი, საჭადრაკო ტურნირებზე მეგობრებთან ვცდიდი ძალებს. გოგონებთან არავითარი პრობლემები არ მქონდა - ყველას ვამარცხებდი, ბიჭებთან კი, ცხადია, უფრო რთული იყო, მაგრამ ძალიან ბევრს ვერეოდი. ახლა სახელებს ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრ მოჭადრაკე ბიჭს ვჯობნი, ისინი კი მეხვეწებიან - არ გაგვამხილო მაინცო.

საბოლოოდ, მაინც ისე მოხდა, რომ მკლავჭიდის სექციასაც მივაკითხე. ეს ორი წლის წინ მოხდა. მკლავჭიდელები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ვარჯიშობენ; მამაც თან მახლდა და მწვრთნელიც მოვიძიეთ, თუმცა იმ დროს საჭადრაკო ტურნირები დაემთხვა და წვრთნა ვერ შევძელი. შარშან კი სურვილ ავისრულე და მკლავჭიდში ვარჯიში დავიწყე.

- ერთი წლის ნავარჯიშები უკვე საქართველოს ჩემპიონი გახდით - ცოტა მოულოდნელი არ არის?

- საქართველოს ჩემპიონატში შარშანაც მივიღე მონაწილეობა და მაშინ ოთხ მონაწილეს შორის მეორე ადგილზე გავედი. ჩემპიონი გამოცდილი რუსთაველი ათლეტი ეკა ბიბილუევა გახდა, რომელმაც მომიგო პირველ წრეში. ეკა 10 წელია ამ სახეობას მისდევს, მე კი უვარჯიშებელი და გამოუცდელი ვიყავი. წელს რევანშის შანსი მქონდა და გავიმარჯვე კიდეც. თუმც უნდა გითხრათ, რომ დაძაბული ორთაბრძოლა გვქონდა. წესით, ტურნირზე მეტოქეებს თითოჯერ ხვდები; ორი წაგების უფლება გაქვს და მხოლოდ ამის შემდეგ ეთიშები ასპარეზობას. რადგან ქალებში მხოლოდ ორნი ვიყავით, გამარჯვებულის გამოსავლენად ერთმანეთს ორ მოგებამდე ვხვდებოდით. პირველი შერკინება მე მოვიგე, მეორეში - ეკამ მაჯობა, მაგრამ წესები დაარღვია. მსაჯებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ როცა ჩემმა მეტოქემ გადამწყვეტ შერკინებაშიც იგივე მოინდომა, მსაჯები მკაცრნი იყვნენ - მრავალჯერ მიუთითეს ეკას წესის დაცვაზე, ის კი ჯიუტად თავისას ცდილობდა. კამათმა ლამის ნახევარი საათი გასტანა და ბოლოს ხელები შეგვიკრეს, სადაც თავნებობის შანსი მინიმუმამდე მცირდება. თანაბარ პირობებში მე გავიმარჯვე და საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

- ისეი ენთუზიაზმით ჰყვებით, რომ მგონი, საჭადრაკო არენაზე გამარაჯვებას ბევრად გირჩევნიათ.

- ყოველნაირი წარმატება სასიამოვნოა და ამიტომ მკლავჭიდში პირველობაც სასიხარულოა. თანაც როცა გამოცდილ მეტოქეს ამარცხებ. მე ხშირად მეკითხებიან, ჭადრაკი უფრო გიყვარს თუ მკლავჭიდიო და ასე ვპასუხობ: ჭადრაკი ჩემი სიცოცხლეა, მკლავჭიდი კი - სიხარული. პირველის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, მეორის გარეშე კი - ძალიან ძნელია-მეთქი.

მკლავჭიდი ჭადრაკის წინ. თამარ წერეთელი და სალომე მელია

- ესე იგი, მთავარი თქვენთვის მაინც ჭადრაკია და არჩევანის წინაშე რომ დადგეთ, ჭადრაკს აირჩევთ?

- მიჭირს თქმა, მაგრამ ალბათ მაინც ჭადრაკს ავირჩევ, რადგანაც ხუთი წლიდან ვთამაშობ, ორი წლის ვიყავი მამამ რომ მასწავლა და მართლაც ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, - ასე იოლად ვერ შეველევი.

- მამას ხშირად ახსენებთ, დედას კი - არა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დედა თქვენი მკლავჭიდით გატაცების წინააღმდეგია?

- ადრე მართლაც წინააღმდეგი იყო, მაგრამ ახლა ჩემსავით ხარობს წარმატებით. მამასთან კი მეგობრული ურთიერთობა მაქვს და ხელს ყოველთვის მიწყობდა.

- საქართველოს ჩემპიონობაზე რომ არ გაჩერდებით, ცხადია. რას უმიზნებთ?

- ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს. ევროპის ჩემპიონატი წელს შვედეთში გაიმართება, მსოფლიო კი - ბულგარეთში. ევროპაზე ალბათ ვერ გავემგზავრები, რადგანაც ტექნიკურ უნივერსიტეტს ვამთავრებ და გამოსაშვებ გამოცდებს ემთხვევა. მსოფლიოზე კი აუცილებლად წავალ.

- ჭადრაკს რომ არ მოცდებით, ცხადია, მაგრამ ტურნირები რომ დაემთხვეს, რას იზამთ?

- მკლავჭიდის შეჯიბრებები ხანგრძლივი არ არის - 3-4 დღე გრძელდება და იმედი მაქვს, რომ არ დაემთხვევა.

- მკლავჭიდელი გოგონები ბევრი არაა. ბიჭებთან ვარჯიში გიწევთ თუ ინდივიდუალური გეგმით ემზადებით?

- ბიჭებთან ვვარჯიშობ - მათთან ვარჯიში სასარგებლოა. გამოცდილ და ნავარჯიშებ ბიჭებს ვერ ვერევი, მაგრამ როცა დამწყები მოდის დარბაზში, იმათ კი ვამარცხებ. მომავალში ალბათ უფრო მეტი შემეძლება.

- კარგი მაგალითი გადამდებიაო და მოჭადრაკე გოგონათაგან ვინმეს ხომ არ გამოუთქვამს მკლავჭიდში ვარჯიშის სურვილი?

- ვარჯიშზე რამდენჯერმე მახლდა სალომე მელია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - ვერ დავაინტერესე. სხვაც არავინ ჩანს ჯერ.

- ჩემი აზრით, რამდენიმე კანდიდატი უნდა იყოს. ერთი თვის წინ საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ იმავე სალომე მელიამ, მაკა ფურცელაძემ და ნანა ძაგნიძემ ტურის დაწყებამდე მკლავჭიდში სცადეს ძალები, ყველაფერ ამას კი თქვენ მეთვალყურეობდით, - მსაჯობდით...

- ეს მომენტი ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, - გოგონებმა თვითონ მოისურვეს, მე არაფერ შუაში ვყოფილვარ. რახან დავინახე, რომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მსაჯობა ვიკისრე. ცხადია, ძალიან ვიხალისეთ. სხვათა შორის, ეს მომენტი თქვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმაც დაიჭირა და მეორე დღის ნომერშიც დაიბეჭდა.

- წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატი თქვენთვის არცთუ წარმატებული იყო, მაგრამ ბოლო ტურში, სნორედ ამ გართობის შემდეგ, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ მაია ლომინეიშვილს მოუგეთ. გამოდის, რომ საჭადრაკო პარტიის წინ მკლავჭიდით თავის შექცევა, მოთელვა, თქვენზე კარგად მოქმედებს. მომავალში ასე არ მოიქცევით?

- რა ვიცი, რახან პრეცედენტი უკვე არსებობს, ვცდი და ვნახოთ, რა შედეგს მივიღებ. მე ამ ორ სახეობას მაინც ვერ დავაშორებ ერთმანეთს და თუკი ერთის დახმარებით მეორეში წინ წავიწევ, ორმაგად ბედნიერი ვიქნები.

ზვიად შათირიშვილი

ტანვარჯიში

ინტერვიუ რუსუდან სიხარულიძესთან

დუმილი ღალატის ტოლფასია

ტანვარჯიშის სახეობებში დღეისათვის შექმნილი ურთულესი მდგომარეობა ახლო მომავალში შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს. მიზეზი სპორტული სკოლების თვითდაფინანსებაზე გადასვლა და არსებული სპორტული ბაზების შესაძლო გაყიდვა-გასხვისებაა. გვესაუბრება ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე.

- თებერვლიდან სპორტული სკოლები თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ, რამაც ჩვენს ფედერაციში გაერთიანებული ტანვარჯიშის ხუთი სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებსა და პედაგოგებს, საბოლოოდ დაგვიკარგა მომავლის იმედი, რადგან სრულიად უხელფასოდ დარჩნენ. სკოლები თავს ვერ შეინახავენ და დადგება ბაზების გაყიდვა-გასხვისების საშიშროება. ეს ხდება პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო წელს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ საქართველოში ბავშვთა სპორტის განვითარებას "ვიღაცამ" წერტილი დაუსვა. რამდენჯერმე ვიკითხეთ, ვინ არის ამ იდეის ავტორი, მაგრამ უშედეგოდ.

- ზემოთ ბაზების გაყიდვის საშიშროება ახსენეთ. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

- თბილისში სამი სპეციალიზებული სატანვარჯიშო სკოლაა. აქედან ერთ-ერთი, დიდი ტრადიციების მქონე გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა ოლიმპიური მზადების ცენტრი, პეტრიაშვილის ქუჩაზე, უკვე წაგვართვეს. სკოლის დირექტორს როზა ბერიკაშვილს შენობა დააცლევინეს.

ძალიან რთული ვითარებაა სანაპიროზე მდებარე ოლიმპიური მზადების ცენტრში, სადაც ნაკრები გუნდები ემზადებოდნენ. ორი წელია, შენობა კაპიტალურად რემონტდება და ლამაზდება, მაგრამ რად გინდა - თვითდაფინანსების გამო შენობის დირექცია ცდილობს მაქსიმალურად დატვირთოს დარბაზები, რათა მოხმარებული ელექტროენერგიისა და გაზის ხარჯები დფაროს. სწორედ ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს ბაზაზე გაჩნდა კრივის რინგი. ჩვენ არცერთი სპორტის სახეობის წინააღმდეგი არ ვართ, ყველას წარმატებებს ვუსურვებთ, მაგრამ ჩვენ სად წავიდეთ? ანალოგიური ვითარებაა რეგიონებშიც.

ისე არ მინდა ვინმემ გაიგოს, რომ თითქოს ბაზის დირექციის საწინააღმდეგო გვაქვს რამე. არც რეფორმებს ვეწინააღმდეგებით. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა თავშივე არასწორია. რად გვინდა ეს გარემონტებული ბაზა, თუ ვერ ვიმუშავეთ? ადრე აქ მხოლოდ სპორტული ტანმოვარჯიშეები იწრთობოდნენ, ახლა კი ორი სახეობისთვის განკუთვნილ დარბაზში ერთბაშად ხუთი სახეობის სპორტსმენები ვარჯიშობენ.

- რამდენად აისახა თვითდაფინანსებაზე გადასვლა ტანვარჯიშის სახეობებში ბავშვთა დენადობაზე?

- ჩვენი გამოთვლებით, თვითდაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ ბავშვების სამოცდაათმა პროცენტმა ვარჯიშს თავი დაანება - მშობლების უმრავლესობას საშუალება არ აქვს, ფული გადაიხადოს. ვკარგავთ მწვრთნელებსაც. უხელფასოდ დარჩენილები ან სხვა სამსახურს ეძებენ ანდა კიდევ უფრო უარესი - სხვა ქვეყნებში მიდიან, რომ იქ ჩვენი მოწინააღმდეგეები აღზარდონ. სანამ გვიან არაა იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, საით მივდივართ. დაკარგულ წლებს ვერაფრით ავინაზღაურებთ. ურმით მატარებელს ველარ დავეწევით.

ჩვენი ფედერაციის გამგეობის სახელით მივმართავ ყველას, ვისაც დღეს საქართველოში სპორტის განვითარებასთან უშუალო კავშირი აქვს - ნუ დავლუპავთ ხვალინდელ დღეს. ვთხოვთ, ყველა ფედერაციას ვისაც ეს პრობლემა შეეხო, ნუ გაჩუმდებით. ხვალ გვიან იქნება. თქვენი დუმილი კი ღალატის ტოლფასია.

ბესიკ ჯანგავაძე

ძიუდო

სალიცენზიო მარათონი რომში გრძელდება

ეს-ესაა, ძიუდოისტებმა ევროპირველობა მოიმთავრეს და უკვე სალიცენზიო ტურნირების მარათონში ებმებიან. წლეულს 6 ასეთი შეჯიბრება ჩატარდება - სამი მსოფლიო პირველობამდე, დანარჩენი - შემდეგ. კაცთა შეჯიბრებებს რომი, მოსკოვი და ბუქარესტი უმასპინძლებენ.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოისტები, პრაქტიკულად, შეუსვენებლად, მომდევნო კვირიდანვე ჩაებმებიან სალიცენზიო შეჯიბრებებში - მსოფლიო პირველობა 16 სექტემბერს მთავრდება, 23-ში კი ბირმინგემში სალიცენზიო ტურნირია. ამას როტერდამისა და ბაქოს ანალოგიური შეჯიბრებები მოსდევს. გაისად კიდევ 5 სალიცენზიო შეჯიბრება ჩატარდება, 6-6 საგზური კი წლეულს მსოფლიო პირველობაზე გაიცემა.

სალიცენზიო ქულებს შევეხეთ და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ქულების დათვლა უკვე დაიწყო ევროპის წლევანდელი პირველობიდან. ცხადია, ჩვენებში ჯერჯერობით კონტინენტის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** ლიდერობს, რომელმაც ამ ტიტულის მოპოვებით 100 ქულა მიიღო. ვიცე-ჩემპიონების - **დავით ქევხიშვილის** (73), **ირაკლი ცირეკიძის** (90) და **ლაშა გუჯეჯიანის** (+120) ანგარიშზე 60-60 ქულაა, ბრინჯაოს პრიზიორმა **ნესტორ ხერგიანმა** (60) 40 ქულა მიიღო, **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მეხუთეზე გასვლისთვის - 20, **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81) მეშვიდე ადგილისთვის - 10.

პირველი სალიცენზიო ტურნირები უკვე კვირის ბოლოს იწყება - 28-29 აპრილს კაცები რომში იჭიდავებენ, ქალები - დანიურ ვეიენში. კაცთა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** გუნდში შეიყვანა: **დავით ასუმბანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **გიგა წიკლაური** (73), **ლევან წიკლაური, საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი** (+120). თუმცა ცირეკიძეს რაღაც ვირუსი შეჰყრია და თუ ვერ მომჯობინდა, რომში არ წაიყვანენ.

რომის ტურნირს ზუსტად ერთ კვირაში მოსკოვის სუპერთასი მოსდევს. ხაბარელმა იქ წასაყვანი შემადგენლობაც დაასახელა: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, ლევან რაზმაძე** (100), **ადამ ოქრუაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი** ან **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+120) - გააჩნია, რომში ვინ უკეთ იჭიდავებს.

ქალთა პირველ სალიცენზიო ტურნირში - ვეიენში საქართველოდან მხოლოდ ორი მონაწილე გამოვა - **დუსკა ქერიმოვა** (57) და **ირინა ლეონიძე** (+78). ქალთა ნაკრებს თავკაცმა **გოდერძი ველიჯანაშვილმა** სხვების წაყვანა ამჯერად მიზანშეწონილად არ მიიჩნია. სხვათა შორის, ევროპირველობაზე პირველი სალიცენზიო ქულები ქალებმაც მიიღეს - **მაია ტარუაშვილმა** (52) და **ირინა ლეონიძემ** - 6-6.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი. სეზონის შეჯამება

ჯერ ქორი, მერე კონდორი

ზაზა ფაჩულია

დაიბადა: 1984 წლის 10 თებერვალს.
სიმაღლე: 211 სმ.
წონა: 127 კგ.
გუნდი: ატლანტა ჰოქსი.
ამპლუა: ცენტრი.
"ატლანტაში" 2005 წლის 11 აგვისტოს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.
2003 წლის დრაფტის მეორე წრეში, ზაზა ფაჩულია 42-ე ნომრად "ორლანდო მეჯიქმა" აირჩია.

ჯერ იყო "ორლანდო" და ზელიგაში მოხვედრით გამოწვეული ბავშვური ენთუზიაზმი. მერე "ხარირმების" ჯოგში გარევა და შეზღუდული შესაძლებლობების **დენ გაძურჩის** დუბლიორობა, რასაც "მილუოკისთვის" კარგი არაფერი მოუტანია, თუმცა ამ მიმოხილვის გმირს კი გაეხსნა საკონტრაქტო და საკონტაქტო ფანჯარა, რის შედეგადაც **ზაზა ფაჩულიამ** ქართული სპორტის ისტორიაში უდიდესი კონტრაქტი გააფორმა "ატლანტა ჰოქსთან" და გუნდის ერთ-ერთ საყრდენ ფიგურადაც იქცა. ფაჩულიას ალბათ, უკეთეს გუნდში გადასვლაც შეეძლება და შეეძლო კიდეც, მაგრამ არც იმ ასაკში იყო ზაზა, რომ ეგრევე "სპურსისა" და "ჰიტის" სასტარტოში დაებრდღვნა ყველაფერი და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთ კონტრაქტს საქართველოს ნაკრების ლიდერს სხვაგან ძნელად თუ გაუფორმებდნენ. როგორი იყო ჩვენი სანაქებო თანამემამულის ბოლო, უფრო სწორად კი განვლილი სეზონი მსოფლიოს უძლიერეს სპორტულ ლიგაში? პროგრესიც იყო და რეგრესიც, თუმცა მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

ვუდსონმა ვერ დაალაგა

"ჰოქსის" შემადგენლობაში დღევანდელი სტანდარტებით ერთადერთი "ვარსკვლავია", ანუ მოთამაშე, რომელმაც ასეც და ისეც, სხვებზე ხშირად უნდა ესროლოს ბურთი და ვისაც წაგების შემთხვევაში, ნაკლებს გააკრიტიკებენ, ხოლო მოგებული მატჩების მერე კი იცოცხლეთ, ცაში აყვანა და არდაშვება ერთი იქნება.

"ატლანტაში" მთავარი მწვრთნელის, **მაიკ ვუდსონის** განუსაზღვრელი ნდობით **ჯო ჯონსონი** სარგებლობს, თუმცა ამის მიზეზის პოვნა ჩვენც, ჩვენს ამერიკელ კოლეგებსა და "ჰოქსის" მოთამაშეებსაც უჭირთ.

გაიხსენეთ პერიოდი, როდესაც ჯონსონმა სერიოზული ტრავმა მიიღო და გუნდს სასწრაფოდ გადაწყობა მოუხდა. ამ მონაკვეთს დაემთხვა ზაზას, **ჯოშ სმიტისა** და **მერვინ უილიამსის** საშუალო სტატისტიკური მონაგარის მკვეთრი გაზრდა და ისიც, რომ სხვებმა (მათ შორის, ზაზამაც) გუნდურ თამაშში სარგებლიანობის დემონსტრირება დაიწყეს.

სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო და კარგი სტარტის მერე ჩაგდებული დეკემბრისა და ცუდი იანვრის შემდეგ, "ჰოქსს" აღმოსავლეთში საფლეიოფო პროგრესისთვის დრო არ ეყო.

ვუდსონს ზაზა თავიდან ძირითადისთვის არ მოუცილებია, მაგრამ შედეგი რომ გაქრა და მისმა გუნდმა წაგებებს მოუხშირა, მაიკმა სასტარტოში დაღმასვლის ხანაში მყოფი **ლორენცენ რაიტი** დაყენა, ზაზა კი "რედ ბულის" არ იყოს, ენერგიის შემომტანად და მყარ რეზერვისტად აქცია.

ცხადია, გაუარესდა ფაჩულიას სტატისტიკაც, თუმცა ზაზას არაერთხელ აღუნიშნავს, გუნდური მოთამაშე ვარ, ინდივიდუალურ რეკორდებს არ ვითვლი და თუ საერთო საქმისთვის ასე აჯობებს, რეზერვშიც მშვიდად ვიქნებიო.

თქმით კი თქვა, მაგრამ ვეჭვობთ, რაიტზე გაცილებით დიდი პოტენციალის მქონე ფაჩულიას საქმის ასე წაყვანა მოსწონებოდეს. ახალგაზრდა, თავმოყვარე ცენტრისთვის სხვისი ჩაუქობა რომ დიდი ვერაფერი შვება იქნებოდა, ფაქტია და ამას ვერც ზაზას ამერიკულ-რაფინირებული პასუხები შეცვლის.

რას აკეთებდა რაიტი? მაქსიმუმ 7-8 ქულა გაეკეთებინა, პირველივე მეოთხედში 2-3 ფოლი მიეღო და მერე, იქამდე, სანამ ზაზა რამდენიმე შეტევას ზუსტი სროლით არ დაასრულებდა, სათადარიგოთა სკამზე ყოფილიყო.

ფაჩულიამ დაცვაში თამაში არ იცის? არ არის სწორი. იცის, მაგრამ სხვა საქმეა, თუ ვის შევადარებთ ზაზას. თუ თანაამპლუელებიდან მაგალითად **მარკუს კემბის, ტიმ დანკანს** ან **ბენ უოლასს** მოვიყვანთ, მაშინ კი, ეგრეა, მაგრამ იგივე გაძურჩს, **პრიმოუ ბრეჟეცსა** ან დღევანდელ **რაეფ ლაფრენცს** თუ შევადარებთ, საკმაოდ დამამშვიდებელ და კორექტულ სურათს მივიღებთ.

შეცდომაა, როდესაც მოთამაშის დაცვაში გამოსვლას მისი საშუალო დაფარებებით ან ჩაჭრებით საზღვრავთ. კი, **ალენ აივერსონს** კარიერაში ერთ სეზონში ჩაჭრების მხრივ საშუალოდ ყოველთვის ძალიან კარგი მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ ზელიგის 30 მთავარი მწვრთნელი რომ გამოკითხოთ, 90 პროცენტი გეტყვით, რომ აივერსონს



კარიერის საშუალო მონაგარი

სეზონი	გუნდი	მატჩი (სას)	წ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ
2003/04	ორლანდო	59 (2)	11.3	3.3	2.9	0.2	0.4	0.2	0.58	1.50
2004/05	მილუოკი	74 (4)	18.9	6.2	5.1	0.8	0.6	0.5	0.95	2.20
2005/06	ატლანტა	78 (78)	31.4	11.7	7.9	1.7	1.1	0.5	2.31	3.70
2006/07	ატლანტა	72 (47)	28.1	12.2	6.9	1.5	1.1	0.5	2.25	3.70
სულ		283 (131)	23.1	8.6	5.9	1.1	0.8	0.4	1.58	2.80

კარიერის ჯამური მონაგარი

სეზონი	გუნდი	მატჩი (სას)	წ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ
2003/04	ორლანდო	59 (2)	664	194	174	13	21	12	34	87
2004/05	მილუოკი	74 (4)	1 397	458	378	60	44	34	70	166
2005/06	ატლანტა	78 (78)	2 452	911	613	129	89	39	180	286
2006/07	ატლანტა	72 (47)	2 026	875	500	106	77	36	162	267
სულ		283 (131)	6 539	2 438	1 665	308	231	121	446	806

სხვა სტატისტიკა

	მ (სას)	წ	ქ	მ	პ	ჩ	დ
შინ	37 (26)	28.3	13.6	7.2	1.5	1.2	0.43
სტუმრად	35 (21)	27.9	10.7	6.6	1.4	1.0	0.57
მოგებულში	26 (15)	29.0	14.5	7.3	1.8	1.0	0.69
წაგებულში	46 (32)	27.7	10.8	6.8	1.3	1.1	0.39
ძირითადში	47	30.1	13.1	7.3	1.6	1.3	0.53
რეზერვში	25	24.5	10.4	6.3	1.2	0.7	0.44

გუნდების წინააღმდეგ ყველაზე მეტი ქულა

	მ (სას)	წ	ქ	მ	პ	ჩ	დ
1. კლივლენდი	3 (3)	36.7	20.3	7.3	1.7	2.0	0.67
2. დალასი	2 (1)	32.0	19.0	11.0	1.0	1.0	0
3. კლიპერსი	2 (1)	30.0	18.5	10.0	1.5	1.0	1.0
4. მემფისი	2 (2)	32.0	16.5	7.0	1.0	1.0	1.0
5. საკრამენტო	2 (2)	26.5	16.0	5.5	1.0	1.0	0

ყველაზე ნაკლები ქულა

	მ (სას)	წ	ქ	მ	პ	ჩ	დ
1. შარლოტი	4 (2)	24.0	6.5	4.3	2.0	1.0	0
2. ნიუ ორლეანი	2 (1)	20.0	7.0	1.5	1.0	1.0	0.5
3. დენვერი	1 (1)	25.0	8.0	6.0	4.0	3.0	0
4. მილუოკი	1 (1)	27.0	8.0	4.0	2.0	1.0	0
5. ფინიქსი	2 (0)	17.0	8.0	6.5	0.5	1.0	0.5

2006/07 რეგულარული საუკეთესო მაჩვენებლები

ქულა - 27 (ვაშინგტონთან, 01.07.06)
მოხსნა - 14 (სამჯერ).
მოხსნა თავდასხმაში - 8 (ფინ, 09.02.07)
მოხსნა დაცვაში - 11 (მინ. 10.03.07)
პასი - 4 (ფვიდჯერ).
ჩაჭრა - 3 (ხუთჯერ).
დაფარება - 3 (ვაშ., 07.03.07).
წუთი - 44 (სიეტ., 11.11.06).

კარიერის საუკეთესო მაჩვენებლები

ქულა - 27 (ვაშ., 06.01.07)
მოხსნა - 18 (ორლ., 19.03.06).
მოხსნა თავდასხმაში - 12 (ორლ., 03.19.06)
მოხსნა დაცვაში - 11 (ორჯერ)
პასი - 6 (ოთხჯერ).
ჩაჭრა - 4 (სამჯერ).
დაფარება - 3 (ორჯერ).
წუთი - 50 (ნიუ იორკთან, 15.03.06)

დაცვაში თამაში ეზარება, რომ იგი "ატარებს" თავის კაცს და ა.შ. "სპურსის" **ბრიუს ბოუენი** კი ვერც ჩაჭრებში და ვერც დაფარებებში ვერ ბრნყინავს, მაგრამ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში მასზე ძლიერი პერიმეტრ-დამცველი ლიგას არ ჰყოლია და ჯერ არც ეყოლება.

ასე რომ, თუ ზაზა ცენტრისთვის ცოტა, 0.5 დაფარებას აგროვებს, დაცვაში მისი უსუსრობის მაჩვენებელი აშკარად არ არის. კი, სამუშაო ბევრია, მაგრამ ფაჩულიას ნიჭი, ასაკი და შესაძლებლობები ვუდსონის გაუმართლებელ ექსპერიმენტებს არ უნდა შეეწიროს.

იგივე ჯოშ სმიტი, სხვა, უფრო დალაგებულ ორგანიზაციაში ულაპარაკოდ გახდებოდა სეზონის საუკეთესო მცველის პრიზის მოპოვების ერთ-ერთი ფავორიტი, აქ კი მისი ჩაჭრა-დაფარებები საერთო უსუსურობის ფონზე იკარგება.

სად უნდა იყოს ფაჩულია?

ამ ეტაპზე ლიგაში ყველაზე დალაგებული, სტაბილური და ორგანიზაციის მხრივ გამორჩეული გუნდები "მაიამი ჰიტი", "სან ანტონიო სპურსი", "ჩიკაგო ბულზი" და "დალას მავერიქსი" არიან.

ფლორიდაში ზაზას გადასვლა მომდევნო სეზონიდან (ცხადია, გაცვლის წესით, რადგან კონტრაქტის დარღვევაზე არც "ჰოქსს" დასცდენიათ რამე და არც თავად ზაზას) მისთვისაც კარგი იქნება და გუნდისთვისაც.

კი, სასტარტო ხუთეული გამორიცხულია, მაგრამ **ძია შაკთან** ერთად ყოფნა, ამ დევკაცისგან გამოცდილების მიღება ფაჩულიასაც წაადგება, "ჰიტსაც" და საქართველოს ნაკრებსაც. თანაც, **ზო მურნინგი** ამ ფლეი ოფის მერე კარიერას დაასრულებს, სხვა ცენტრად კი **პატ რაილის** გუნდს მხოლოდ ასაკოვანი **მაიკლ დულიკი** ჰყავს.

"მავერიქსში" ორი ძირითადი ცენტრია და ვერც ერთი იხვეჭს ქულებს და ვერც მეორე, თუმცა გუნდის სათამაშო სტილი ამას არც ითხოვს და **ერიკ დემპიესა** და **დესაგანა დიოპს** მეტწილად ფარქვეშეთის ჩაცემენტება ევალებათ. **დირკ ნოვიცკისთან** ერთად თამაშის პერსპექტივა იცოცხლე, კარგი და მიმზიდველია, მაგრამ ეს იდეა ხორცს ვერ შეისხამს. "მავერიქსი" და ზაზა სხვადასხვა, ერთმანეთისგან შორს მყოფ პოლუსებზე იმყოფებიან.

"სან ანტონიოში" ზაზას თავისი ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშის, **ტიმ დანკანის** გვერდით გამოსვლის შანსი მიეცემა. გამოადგება თუ არა ზაზა ტეხასელებს? კი, თუ დაცვაში თამაშს სპურსეულამდე მიიყვანს. ერთიცაა, თავის დროზე **დევიდ რობინსონი** "სპურსში" რომ პირველკაცობდა, პატარა, ნორჩი დანკანის მისვლისთანავე მთლიანად ამ ბიჭის აღზრდა-გაზრდაზე გადაერთო და შედეგად, გუნდმა 6 წელიწადში სამჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. ზაზას დანკანს არ ვადარებთ, მაგრამ სიტუაცია რომ განმეორდეს და ტიმი ჩვენი თანამემამულისთვის მოთამაშე-პედაგოგად იქცეს, ამისი წინააღმდეგი ნორმალური კაცი როგორ უნდა იყო?! **ფაბრიციო ობერტოს** ვერა, მაგრამ იმ **ფრანსისკო ელსონს** კი ყველა სათამაშო კომპონენტში სჯობნის ფაჩულია.

"ჩიკაგოშიც" დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც "მაიამიში" – აწყობილი გუნდი, მძლავრი სასტარტო ცენტრი. ფლორიდელებისგან მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ "ბულზს" პივოტი ქულების აკრეფაში ვერ ეხმარება და ფაჩულიაც თავისი ენერგიითა და ნელ-ნელა დახვენილი (და ჯერად დასახვენი) შეტევით ილინოისელებისთვის მისწრება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი ძალა იქნება. **ბენ უოლასისგან** კი უამრავი ნიუანსის ათვისება შეიძლება.

ასე რომ, ზაზა ჯერ "ჰოქსშია", მაგრამ მეტს იმსახურებს და ჩვენი სურვილიც მისთვის უკეთესი, დღევანდელზე მეტად მოტივირებული გუნდია. არც ისაა გამორიცხული, "ჰოქსს" ნლევანდელი დრაფტისას გაუმართლოს და ფაჩულიას გვერდით ბოლო რამდენიმე წლის ერთ-ერთმა საუკეთესო მაღალმა და ჯანიანმა სტუდენტმა, **გრეგ ოდენმა** ითამაშოს. ამ შემთხვევაში, თუ ვუდსონს ფლეი ოფის კარიბჭის გაღება ერთხელაც გაუჭირდება, მაშინ სხვა კარიბჭისკენ თავად მაიკს უნდა მიუთითონ.

ისე კი, არაერთგვარი სეზონი გამოუვიდა ქორს, რომელიც პოტენციალით გაცილებით მაღლაც უნდა დაფრინავდეს და მოწოდებითაც უფრო კონდორია, ვიდრე ქორი.

ზურაბ თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

კლასიფიკაცია

ტატიშვილი ისევ მეორეა

გუშინ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ვაჟებში კვლავ სამი წარმომადგენელი გვყავს. **ირაკლი ლაბაძეს** 236 ქულა აქვს და მსოფლიო კლასიფიკაციაში ადგილი არ შეუცვლია, ქართველი კვლავ მსოფლიოს 176-ე ჩოგანია. 60 ქულა გაუხდა **ლადო ჩიხლაძეს,** მან 4 საფეხურით წაინია წინ. ლადო მსოფლიოს 473-ე ჩოგანია. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ქულით 1348-ე პოზიციაზეა. წყვილთა თანრიგში ირაკლი ლაბაძე 211-ე ადგილზეა, ლადო ჩიხლაძე 753-ეზე, ხოლო ნოდარ ითონიშვილი - 1605-ეზე.

სხვათა შორის, ამ კვირაში აქტიურ ჩოგბურთს დაუბრუნდა 20 წლის ნოდარ ითონიშვილი, რომელსაც სექტემბრის მერე არსად უთამაშია. ესპანურ რეუსში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მისი გვარიც ამოვიკითხეთ. პირველ წრეში მან რუმინელი **სტეფან ლუპუ** დაამარცხა - 6:1, 6:2. ამავე წრეში კიდევ ერთმა ჩვენებურმა გიორგი მირზოევმა მაროკოელ იასინ ელ ღაზისთან წააგო - 0:6, 0:6. მეორე წრეში ნოდარ ითონიშვილმა არგენტინელ ხოაკინ მონტეფერარიოს მოუგო - 6:4, 6:4. სამწუხაროდ, ითონიშვილი ფინალურ წრეში დამარცხდა და ძირითად ბადეში ვერ გავიდა. მესამე წრეში მას მეორე ნომრად განთესილმა ესპანელმა **გილერმო ოლასომ** (725) აჯობა - 3:6, 2:6. სამწუხაროდ, ლაბაძე და ჩიხლაძე არც ამ კვირაში თამაშობენ, ორივე ტრავმირებულია.

ქალთა რეიტინგში ქართველთათვის მცირე ცვლილებებია. ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** 199,5 ქულით 146-ე ჩოგანია, მაკამ მხოლოდ ერთი საფეხური დაკარგა მსოფლიო რეიტინგში, სანამ საქართველოს ნაკრებს ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზურს უბევებდა ფედერაციის თასზე. ერთკვირიანი "ჩავარდნის" მერე **ანა ტატიშვილმა** .საქართველოს მეორე ჩოგნობა დაიბრუნა, ამისთვის დოტენის ტურნირის ძირითად ბადეში გასვლაც საკმარისი აღმოჩნდა. ანა მსოფლიოს 392-ე ჩოგანია 47,7 ქულით. ტატიშვილმა 13 საფეხურით წაინია წინ. სამაგიეროდ, ძალზე დაიხია უკან **სოფიო მელიქიშვილმა,** რომელმაც ერთბაშად 56 ადგილი დაკარგა (38 ქულა) და ახლა კლასიფიკაციაში 451-ე ადგილზეა. სალომე დევიძე 539-ე პოზიციაზეა (-6), მას 26,2 ქულა აქვს.

დანარჩენი ქართველები: 687 (+5) **სოფიო შაფათავა** (15 ქულა), 769 (-1) **ეკა გორგოძე** (12), 814 (-) **მანანა შაფაქიძე** (10), 914 (+4) **ოქსანა კალაშნიკოვა** (7,5), 1069 (+2) **თეონა ცერცვაძე** (5,2), 1188 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** (4) და 1319 (+3) **მარიამ ქურდაძე** (2,5).

სამი ქართველი ჩოგბურთელი ჯორჯიის შტატის ქალაქ სი აილენდის ტურნირზე ასპარეზობს ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, ჩვენები კი საკვალიფიკაციო ბადეში არიან, თუმცა სამიდან ორი აგრძელებს ბრძოლას რადგან სოფიო მელიქიშვილმა პირველივე წრეში წააგო რუს **ვასილისა დავიდოვასთან** (589) - 4:6, 6:4, 2:6. მელიქიშვილი ძალზე ცუდ ფორმაშია, შარშან ის მსოფლიოს 259-ე ჩოგანი იყო და იმედი გვქონდა კიდევ უფრო წინ აიწევდა, თუმცა ახლა ის ორასი ადგილით დასცილდა კარიერის მიღწევას. ანა ტატიშვილმა ბრიტანელ **კარენ პატერსონს** (429) სძლია - 6:4, 6:1, ხოლო **სალომე დევიძემ** მესამე ნომრად განთესილი რუსი **მარია კონდრატიევა** (301) დაამარცხა - 6:4, 6:4. მეორე წრეში ანა ტატიშვილი პირველ ნომრად განთესილ ავსტრიელ **ტინა შიხტლს** (278) ხვდება, დევიძის მეტოქე სლოვენიელი **პეტრა რამპრეა** (574).

საქართველოს ნაკრების ლიდერი მაკა ჩახნაშვილი ფრანგულ ქალაქ კანსურ-მერშია, სადაც 100-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. მაკა პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილ უკრაინელ **იულიანა ფედაკს** ხვდება, რომელიც მსოფლიოს 97-ე ჩოგანია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

პირველობაც და თასიც, ერთდროულად

საქართველოს ჩემპიონატი 28 აპრილიდან დაიწყება. წლევანდელი სეზონი გასული წლებისგან იმით იქნება განსხვავებული, რომ თასისა და ჩემპიონატის გათამაშების შეხვედრები პარალელურად გაიმართება.

უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდია:"ლოკომოტივი", "არმაზი", "ლელო", "დინამო", "ყოჩები" და "უნივერსიტეტი". შეჯიბრი ორ წრედ გაიმართება. პირველი ოთხეული ფლეი ოფში, ორი მატჩის ჯამში გამოავლენს ფინალისტებს. ჩემპიონის ვინაობა 6 ნოემბერს გაირკვევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თასის გათამაშება ჩემპიონატის პარალელურად გაიმართება. შეხვედრები ყოველი მეორე ტურის შემდეგ ჩატარდება. თასის გათამაშებაში უმაღლესი ლიგის გუნდებთან ერთად პირველლიგელი ოთხი კლუბი: "აკადემია", "აია", "რუსთავი" და "ყოჩები 2" ჩაერთვება. აღსანიშნავია, რომ ფინანსური პრობლემების გამო დიაშალა "ხულიგანას" გუნდი. მოთამაშეთა ნაწილი "დინამოში" გადაბარგდა, ნაწილი კი "ყოჩების" ღირსებას დაიცავს.

თასის გათამაშების სისტემა იმდენად ჩახლართულია, რომ დაწვრილებით განმარტებას მოითხოვს. შეხვედრები სამ ეტაპად გაიმართება.

პირველ ეტაპზე ათი გუნდი ხუთ წყვილს შექმნის და ერთმანეთს ორჯერ შეხვდება. გამარჯვებული ხუთი გუნდი მეორე ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს. მათ დაემატება მეექვსე გუნდად დამარცხებულთა შორის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე (მეტი ლელო, ბურთების უკეთესი შეფარდება, ნაკლები დისციპლინარული სასჯელი).

ეს ექვსი გუნდი მეორე ეტაპზე სამ წყვილს შექმნის. ისევ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებულები მესამე ეტაპზე A ჯგუფს შექმნიან. ამათ ნახევარფინალში თამაში გარანტირებული აქვთ. B ჯგუფში წაგებულები ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან და მეოთხე ნახევარფინალისტს გამოავლენენ. ეს უკანასკნელი ნახევარფინალში A ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს დაუპირისპირდება. შესაბამისად, მეორე ნახევარფინალურ წყვილს მეორე და მესამე ადგილზე გასულები შექმნიან.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს თასი:

პირველი ეტაპი

ლოკომოტივი-ყოჩები 2
ყოჩები-აია
უნივერსიტეტი-არმაზი
ლელო-აკადემია
რუსთავი-დინამო

საქართველოს ჩემპიონატი

I წრე

პირველი ტური. 28-29 აპრილი.
ლოკომოტივი-არმაზი
უნივერსიტეტი-დინამო
ლელო-ყოჩები

მეორე ტური. 5-6 მაისი
უნივერსიტეტი-ლოკომოტივი
ლელო-დინამო
არმაზი-ყოჩები

მესამე ტური. 19-20 მაისი
დინამო-ყოჩები
უნივერსიტეტი-არმაზი
ლელო-ლოკომოტივი

მეოთხე ტური. 26-27 მაისი
დინამო-არმაზი
უნივერსიტეტი-ლელო
ყოჩები-ლოკომოტივი

მეხუთე ტური. 16-17 ივნისი
ლოკომოტივი-დინამო
არმაზი-ლელო
ყოჩები-უნივერსიტეტი

ზე-14

ორი ზედმეტია, ვინ?

ფლეიოფის საგზური ოთხია, ზე-14-ის რეგულარული სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კი რეალურად საგზურისთვის ექვსი გუნდი იბრძვის. თუ ვინ იქნება ორი ზედმეტი, დარჩენილი ტურები გაარკვევს. ამ ექვსეულში სამი ზელანდიური გუნდია, ორიც აფრიკული და მხოლოდ ერთი ავსტრალიური. კეიპტაუნში "სტორმერსმა" ზელანდიური "ბლუზი" სენსაციურად დაამარცხა - 33:20 და საქმე გაურთულა. აფრიკულ ჯახში "ბულზმა" სტუმრად იოჰანესბურგში მოუგო "ლაიონზს" - 31:7 და მეოთხე საფლეიოფო პოზიციაზე გადანაცვლა. მეზობლების ბრძოლა ყოველთვის გამოსარჩევია და არც ეს მატჩი ყოფილა გამონაკლისი. პრეტორიელებმა ყველაფერში აჯობეს მეტოქეს და ხელითაც კარგად ითამაშეს, რაც იშვიათია. სიდნეიში ზელანდიურმა "პაილენდერზმა" 26:25 აჯობა "ვორათაზს". **პიტერ ჰიუეტმა** ბოლო წუთზე გარდასახვა ააცილა. რამდენიმე კვირის წინ, "ვორათაზის" თინეიჯერმა **ლაჰლან ტერნერმა** ზე-14-ის სეზონის საუკეთესო ინდივიდუალური ლელო გაიტანა, სწორედ მან წამოიწყო ამ სეზონის საუკეთესო გუნდური ლელო სიდნეიში. ტერნერმა დაახლოებით 40 მეტრი ირბინა დრიბლინგით, ის **ჯიმი კაუენმა** შეაჩერა, თუმცა შეტევა ამის მერეც ბრწყინვალედ განვითარდა (27 პასი!), ბოლოს კიდევ ერთმა თინეიჯერმა **ჯოშ ჰოლმსმა** ბურთი ჰიუეტისგან მიიღო და ლელო გაიტანა. პიტერ ჰიუეტმა მატჩის შემდეგ კიდევ ერთხელ დაამწუხრა თავისიანები - მან განაცხადა, რომ მსოფლიო თასის შემდეგ, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გადავა სათამაშოდ.

კრუსეიდერზი-ჰარიკენზი. კორი ფლინი ლელოს ზეიმობს

აფრიკულ "შარქსს" რაგბის გაკვეთილი ჩაუტარეს მათივე იარაღით, სასტარტო 46 წუთის მერე "ჩიფსი" 32:3 იგებდა. აფრიკელები მხოლოდ მერე გამოფხიზლდნენ, თუმცა ზელანდიელთა საბოლოო გამარჯვება ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა - 35:27. კანბერაში ფლეი ოფისთვის მებრძოლმა "ბრამბიზმა" 14:12 აჯობა "ფორსს". დასავლეთელები უდისციპლინობამ დაღუპა, ბოლოსკენ დაინიშნა საჯარიმო, რომელიც **ჯერარდმა** გაიტანა და "ფორსს" ფლეიოფის საგზური სანატრელი გაუხადა. რაც შეეხება ჩემპიონს, ზელანდიურ დავაში კრაისჩერჩში "კრუსეიდერზმა" უპრობლემოდ მოიპოვა 4 ქულა. ამ მატჩში სტუმართა და "ოლ ბლექსის" ვარსკვლავმა **ჯერი კოლინზმა** სერიოზული ტრავმა მიიღო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ზე-14, XIII ტური

კრუსეიდერზი-პარიკენზი 23:13
კრუსეიდერზი (ზელ): 2ლ (ფლინი, ფილიპო), 2გ, 3ს (კარტერი)
პარიკენზი (ზელ): ლ (ნონუ), გ, 2ს (ვეპუ)

ბრამბიზი-ფორსი 14:12
ბრამბიზი (ავს): ლ (ჰოლი), 3ს (ჰაქსლი, ჯერარდი)
ფორსი (ავს): 4ს (გიტო)

რედსი-ჩიტაზი 23:13
რედსი (ავს): 2ლ (ჰორვილი, თიუნი), 2გ,3ს (შიფკოვსკი)
ჩიტაზი (აფრ): ლ (ფლურსი), გ,2ს (ბოსმანი)

ჩიფსი-შარქსი 35:27
ჩიფსი (ზელ): 4ლ (ლავეა 2, ლეონარდი, მასაგა), 3გ, 3ს (დონალდი)
შარქსი (აფრ): 4ლ (სკინსტადი, კარსტენსი, საჯ. ლელო, დუპლესი), 2გ (მონტგომერი, შტაინი), ს (შტაინი)

ვორათაზი-პაილენდერზი 25:26
ვორათაზი (ავს): 3ლ (ჰოლმსი, ჰიუეტი 2), 2გ,2ს (ჰიუეტი)
ჰაილენდერზი (ზელ): 3ლ (ვაქასედუადუა, ევანსი, კავაუ), გ, 3ს (ევანსი)

ლაიონზი-ბულზი 7:31
ლაიონზი (აფრ): ლ (ჟუბერი), გ (პრეტორიუსი)
ბულზი (აფრ): 6ლ (ოლივიე 2, ნდუნგანე, ჰაბანა, ნელი), 3გ (ჰუხარდი)

სტორმერსი-ბლუზი 33:20
სტორმერსი (აფრ): 3ლ (იანჩისი, უოტსონი, დევილიე), 3გ, 4 ს (გრანტი)
ბლუზი (ზელ): 2ლ (ტოვაკა, ვუდკოკი), 2გ და 2 ს (ჰოლველი)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	პრქ
კრუსეიდერზი	11	8	0	3	352-190	9 41
ბლუზი	11	8	0	3	303-189	5 37
შარქსი	11	8	0	3	286-201	3 35
ბულზი	11	7	0	4	256-201	4 32
ჩიფსი	11	5	1	5	315-274	10 32
ბრამბიზი	11	7	0	4	190-157	3 31
ფორსი	11	5	1	5	225-242	5 27
პარიკენზი	11	5	0	6	204-250	6 26
პარიკენზი	11	5	0	6	211-241	3 23
სტორმერსი	11	5	0	6	202-266	2 22
ლაიონზი	11	5	0	6	162-235	1 21
ჩიტაზი	11	3	1	7	232-287	4 18
ვორათაზი	11	2	1	8	205-275	5 15
რედსი	11	2	0	9	174-309	3 11

მელელოები: 8 - ლელია მასაგა (ჩიფსი), 8 - ჯ.პ. პიტერსენი (შარქსი), 7 - რიკო გიარი (კრუსეიდერზი), 7 - კამერონ შეპარდი (ფორსი).

მეძულეები: 131 - სტივენ დონალდი (ჩიფსი), 115 - კამერონ შეპარდი (ფორსი), 115 - პიტერ ჰიუეტი (ვორათაზი).

თბილისი

გიორგი ჩოგოვაძე. დაიბადა 25.04.1969, თბილისი. წყალში ხტომა, კოშკი. ევროპის ორგზის ჩემპიონი (1987, 89), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991), ევროპის თასის ორგზის მფლობელი (1988, 90), მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1987), სსრკ რვაგზის ჩემპიონი კოშკიდან და სამგზის ჩემპიონი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), მსოფლიო უნივერსიადის მესამე პრიზიორი (1987). 1988 წლის სეულისა (IV) ადგილი) და 1992 წლის ბარსელონის (XIV ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და სუმოს ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სუმოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი

ზურაბ რეხვიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს
დაკრძალვა 26 აპრილს, თბილისი, მოსაშვილის 4



ჰენრიკ სედინის ამ გოლმა მარტი ტურკოს მშრალი სერია შეწყვიტა

NHL. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. I ᲬᲠᲔ

ᲓᲐᲚᲐᲡᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ (3)-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ (6) 4:1

0:1, 1:0, 3:1

გოლები: 0:1 ლუნდკვისტი-2 (ჰალპერნი-1, ბარნსი-3), 1:1 ჰ. სედინი-2 (დ. სედინი-2), 2:1 ლინდენი-2 (ოლუნდი-2, ჰ. სედინი-2), 3:1 პიატი-2 (ბ. მორისონი-2), 4:1 სმოლინსკი-2 (ლინდენი-3, ბულისი-1).

ᲡᲔᲠᲘᲐ 4:3

ფლეი ოფის პირველი წრის ყველაზე დრამატული სერიის ბოლო მატჩში, "დალასის" ბრწყინვალე მეკარემ - **მარტი ტურკომ** ვეღარ შეძლო კიდევ ერთი სასწაულის მოხდენა და თავისი გუნდის შემდეგ ეტაპზე გაყვანა.

როგორც იცით, დალასელები სერიას 1:3 აგებდნენ, მაგრამ მეხუთე და მეექვსე მატჩებში, ტურკომ ზედიზედ 2 შათაუტი შეასრულა და გამარჯვებულის გამოსავლენად მეშვიდე მატჩის გამართვა გახდა საჭირო.

ბოლო მატჩი "ვანკუვერის" მოედანზე გაიმართა. მართალია, რეგულარულში "დალასმა" "კენაქსზე" მეტი ქულა დააგროვა, მაგრამ "ვანკუვერი" თავისი დივიზიონის ჩემპიონი გახდა და ამის გამო მიიღო განთესვის უფრო მაღალი ნომერი და შესაბამისად, საკუთარი მოედნის უპირატესობა.

მაგრამ პირველ პერიოდში, კანადურ კლუბს ეს უპირატესობა ვერ შველოდა - **ლუნდკვისტის** გოლის წყალობით, პირველი 20 წუთი "დალასმა" მოიგო. ამ მატჩის წინ, ტურკოს 141 წუთი არ ჰქონდა გოლი გაშვებული, ამას დაემატა პირველი პერიოდის 20 და მეორის - 4 წუთი. სწორედ ამ დროს, გამოიღვიძეს შვედმა ტყუპმა ძმებმა - **ჰენრიკ** და **დანიელ სედინებმა**, რომლებმაც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და შეწყვიტეს მარტი ტურკოს ბრწყინვალე სერია, რომელიც 165 წუთი გრძელდებოდა. არადა, ამ მომენტამდე, მეორე პერიოდის სტარტზე, "დალასის" კარის დარაჯმა ოთხი ბრწყინვალე სეივი შეასრულა, როცა მეტოქეს ორით მეტი ჰოკეისტი ჰყავდა მოედანზე.

სედინების გამოღვიძება იმის გამო ვახსენეთ, რომ სერიის პირველი მატჩის მეოთხე ოვერტაიმში გატანილი გოლის შემდეგ, არც ჰენრიკსა და არც დანიელს, მომდევნო ხუთ შეხვედრაში ერთი ქულაც კი არ ჰქონდათ მოპოვებული.

როგორც გითხარით, ჰენრიკ სედინმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, არადა მანამდე, "ვანკუვერი" ზედიზედ 26-ჯერ ვერ იტანდა გოლს მაშინ, როცა მეტოქეზე მეტი ჰოკეისტი ჰყავდა ყინულზე.

"ვანკუვერმა" 1995 წლის შემდეგ, პირველად გადალახა ფლეი ოფის პირველი წრის ბარიერი და ახლა, კონფერენციის ნახევარფინალში დასავლეთის საუკეთესო გუნდს, "დეტროიტ რედ უინგზს" შეხვდება.

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ (ᲒᲝᲚᲘ+�პᲐᲡᲘ)

ᲒᲝᲛᲔᲡᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	9 (2+7)
ᲜᲘᲣᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ (რᲔᲘᲜ)	8 (4+4)
Ბ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲘ (ტ-ᲒᲔᲘ)*	8 (3+5)
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (ტ-ᲒᲔᲘ) *	8 (3+5)
ᲚᲘᲓᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲚᲔᲢ)	8 (2+6)
ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲝ (ტ-ᲒᲔᲘ) *	7 (5+2)
ᲘᲐᲒᲠᲘ (რᲔᲘᲜ)	7 (2+5)
ᲠᲐᲤᲐᲚᲡᲙᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	7 (2+5)
ᲔᲚᲘᲐᲨᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	7 (1+6)

ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘ

ᲠᲐᲠᲘᲖᲔ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	6
ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲝ (ტ-ᲒᲔᲘ) *	5
ᲯᲝᲜᲢᲐ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	5
ᲜᲘᲣᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ (რᲔᲘᲜ)	4
ᲓᲠᲣᲠᲘ (ᲠᲐᲨ)	4
ᲓᲣᲛᲝᲜᲘ (ᲜᲝᲨ) *	4
Მ. ᲛᲘᲩᲐᲚᲔᲯᲘ (ს-ᲮᲝს)	4

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲒᲝᲛᲔᲡᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	7
Ჯ. ᲢᲝᲠᲜᲑᲣᲠᲜᲘ (ს-ᲮᲝს)	6
ᲚᲘᲓᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲚᲔᲢ)	6
ᲔᲚᲘᲐᲨᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	6
ᲘᲐᲒᲠᲘ (რᲔᲘᲜ)	5
ᲠᲐᲤᲐᲚᲡᲙᲘ (ნ-ᲯᲘᲔᲠ)	5
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (ტ-ᲒᲔᲘ) *	5
Ბ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲘ (ტ-ᲒᲔᲘ) *	5
ᲖᲣᲑᲠᲣᲡᲘ (ᲒᲐᲨ)	5
ᲢᲘᲣᲢᲘᲜᲘ (რᲔᲘᲜ)	5

** - გამოეთიშნენ სტენლის თასს*

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ	ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ (1)-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ (6)	**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ (1)-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ (5)**
25 Ა�პᲠᲘᲚᲘ	**26 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ	ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ
27 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ	**28 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ	ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ
29 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ	**30 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ	ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
1 ᲛᲐᲘᲡᲘ	**2 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ	ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
4 ᲛᲐᲘᲡᲘ	**5 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ*	ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ*
6 ᲛᲐᲘᲡᲘ	**7 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ*	ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ*
8 ᲛᲐᲘᲡᲘ	**9 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ*	ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ*
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ (2)-ᲝᲢᲐᲕᲐ (4)	**ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ (2)-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ (3)**
26 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ	**25 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ	ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ
28 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ	**27 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ	ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ
30 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ	**29 ᲐᲪᲠᲘᲚᲘ**
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ	ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ
2 ᲛᲐᲘᲡᲘ	**1 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ	ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ
5 ᲛᲐᲘᲡᲘ	**3 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ*	ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ*
7 ᲛᲐᲘᲡᲘ	**6 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ*	ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ*
9 ᲛᲐᲘᲡᲘ	**8 ᲛᲐᲘᲡᲘ**
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ*	ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ*

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. I ᲬᲠᲔ

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲐᲓᲠᲔᲐ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ (1)-ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲘ (8) 98:90

28:22, 19:22, 24:15, 27:31

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (22 ქ. 6 პ), ბილაპსი (21 ქ. 8 პ), პრინსი (18 ქ. 6 მ), რ. უოლასი (17 ქ. 11 მ. 3 პ. 3 დ), უებერი (10 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), მაჯდაიესი (9 ქ. 11 მ).

ორლანდო: თურქოღლუ (22 ქ. 2 დ), გ. ჰილი (21 ქ. 8 მ. 4 პ), მილიჩიჩი (10 ქ. 6 მ. 3 დ), დ. ჰოვარდი (8 ქ. 11 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 2:0

ᲛᲝᲣᲗᲝᲛᲙᲐᲕᲘ, მაგრამ ნიჭიერი და მოტივირებული **რაშიდ უოლასი,** რეგულარულს ყოველთვის საფლეიოფოდ მოთელვის საუკეთესო საშუალებად განიხილავდა და აპრილამდე მხოლოდ იმ მატჩებში იხარჯებოდა ბოლომდე, როდესაც მის გუნდს ენერგია, უნივერსალიზმი და თავდადება სჭირდებოდა. შიდი არასოდეს ყოფილა **კევინ გარნეტივით** სტატისტიკაზე შეყვარებული მოთამაშე, რომელიც მწვრთნელს თავს იქამდე არ გამოაცვლევინებს, სანამ მის ანგარიშზე ორმაგი დუბლი ან სხვა რომელიმე მიღწევა არ დაფიქსირდებოდა. უოლასი ბევრს არ უყვარს, მსაჯებისთვის იგი **დენის როდმანის** შემდეგ ყველაზე საძაგელი პიროვნებაა, მაგრამ ახლა ხომ ფლეი ოფის დრო დადგა? ჰოდა, სარბიელი მისტერ უოლასს გადავცეთ, რომელიც "დეტროიტს", მინიმუმ აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდად მიიჩნევს.

რაშიდს "მეჯიქის" ახალგაზრდა, ტანკიანი მძლავრი **დუაიტ ჰოვარდის** ერთი-ერთზე აყვანა დაავალეს და მიუხედავად იმისა, რომ ჰოვარდი შიდიზე ჯანიანია, ის თითქმის ვერ გაეკარა სამწამიანს და თუ უოლასი მის გადაკეტვას ვერ ასწრებდა, ფარქვეშეთში ორლანდოელს **კრის უებერი** ან **ანტონიო მაკდაიესი** ხვდებოდნენ.

აი, ასე, თითქოსდა ძალიან მარტივი გზით გაანეიტრალეს მასპინძლებმა "ორლანდოს" იმედი და ბევრის აზრით, **დანკანისა** და **შაკის** უპირველესი მემკვიდრე და "დეტროიტიც" სეროიაში 2:0 დაწინაურდა. მოიგებს თუ არა "ორლანდო" დარჩენილი 5 შეხვედრიდან ოთხს? თითქმის გამორიცხულია. მაქსიმუმ 1-2 შეხვედრა გამოსტაცონ კლანჭებიდან **ფლიპ სონდერსის** ბიჭებს ჰოვარდმა და კომპანიამ, მაგრამ გამოცდილების მიღების მხრივ, ეს სერია "მეჯიქისთვის" ნაღდად მისწრება იქნება.

სხვათა შორის, "დეტროიტთან" სერიაში თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს "პისტონზის" ორი ყოფილი წევრის - **გრანტ ჰილისა** და **დარკო მილიჩჩის** გამოსვლაზე ითქმის.

გრანტი ისეთი ვეღარასოდეს იქნება, რაც ჯეელობაში "სპრაიტის" რეკლამირებისას და მოედანზე **დიკემბე მუტომბოს** პერმანენტული გაშაყირებისას გახლდათ, თუმცა გამოცდილებისა და მონდომების ხარჯზე, უნივერსალი ჰილი იმას მაინც ახერხებს, რომ მასზე ნორჩ, სწრაფ და ათლეტურ **რიჩარდ ჰამილტონსა** და **ტაიშონ პრინსს** თავს არ აჩაგვრინებს.

მილიჩიჩი კი საოცარი კაცია. "დეტროიტში" **ლარი ბრაუნმა** იგი ლამის მასაჟისტად რომ აქცია, დარკომ შველა "ორლანდოში" ჰპოვა და ფლორიდელებმაც ნახევარი რეგულარული იკმარეს, რათა მისთვის სოლიდური კონტრაქტი გაეფორმებინათ. ფულიანი მილიჩიჩი კი რეგულარულს აგდებს და როდესაც ბევრმა ისიც კი დაივიწყა, თუ როგორ გმირულად ითამაშა დარკომ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე, ახალგაზრდა ცენტრი ფლეი ოფში კვლავ შეუჩერებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რეგულარულზე ბევრად უკეთესია. დარკომ ათივე ქულა ბოლო 12 წუთში აიღო, მაგრამ მატჩის გადასარჩენად სტუმრებს არც დრო ეყოთ და არც ძალა.

ბოლო მეოთხედში "პისტონზი" სულაც 15 ქულას იგებდა, მაგრამ მილიჩიჩისა და **ჰედო თურქოღლუს** აქტიურობით, სტუმრებმა ეს ჰანდიკაპი ექვსამდე დაიყვანეს, თუმცა "მეჯიქს" საოვერტაიმო იმედი **ჩონსი ბილაპსმა** გადაუწურა, რომელმაც ერთ შეტევაში სამი ქულა გააკეთა და მატჩმაც აზრი დაკარგა.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ (5)-ᲘᲣᲢᲐ (4) 98:90

17:26, 22:15, 28:21, 31:28

პიუსტონი: მაკგრეიდი (31 ქ. 10 მ. 5 პ. 2 ჩ), მინი (27 ქ. 9 მ), ჩ. ჰეიესი (12 ქ. 12 მ), ალსტონი (11 ქ. 6 მ. 5 პ), ბეტიე (10 ქ. 2 ჩ).

იუტა: ბუზერი (41 ქ. 12 მ. 6 პ), დ. უილიამსი (15 ქ. 7 მ. 7 პ), ჰარპრინგი (14 ქ. 4 მ), ოქური (4 ქ. 10 მ. 6 პ. 4 დ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 2:0

"იუტა" რეგულარულის მიხედვით, ყველაზე უხეში გუნდი იყო. **ჯერი სლოუნის** განთქმული ხაფანგის დაყენებამ, "ჯაზის" მეტოქეებს რიგი მატჩების მოგების შანსი, მხოლოდ და მხოლოდ, ოპონენტზე გაცილებით მეტი საჯარიმოების გამოყენებით მისცა და გამონაკლისი არც "ჰიუსტონთან" საფლეიოფო სერიაა.

ტრეისი მაკგრეიდიმ თავისი 31 ქულიდან 12 საჯარიმოებით დააგროვა, ხოლო მთელი "ჯაზის" საამმატჩო მონაგარი კი, 17-დან 13 ზუსტი საჯარიმო გახლდათ. სტუმართა წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ეს გახდა, თორემ სხვა მხრივ, სოლტ ლეიკ სიტის ბინადარს ბევრი არაფერი დაეწუნებოდა.

დიდებული მატჩი ჩაატარა პირველ დაპირისპირებაში შერცხვენილმა **კარლოს ბუზერმა,** რომელმაც 41 ქულით პირადი რეკორდიც კი გაიმეორა, მაგრამ "როკეტსი" მაინც მეტად იმსახურებდა მოგებას და საბოლოოდ, მიაღწია კიდეც მიზანს.

კვლავ ვერ მონახავდით მოედანზე "ჯაზის" რუს ფორვარდ **ანდრეი კირილენკოს,** რომელიც სეზონის მიხედვით ყველაზე გაუარესებული მოთამაშის პრიზს რომ აწესებდნენ, ამ ჯილდოს მოგების მთავარი ფავორიტი იქნებოდა. კირილენკომ, რომელიც ორი წლის წინათ ლამის ყოველ მეორე მატჩში 5 და მეტ დაფარებას უყრიდა თავს, ამჯერად გადამეტებული პერსონალურების გამო, მხოლოდ 17 წუთი ითამაშა და ამ დროში თავი მხოლოდ 3 მოხსნითა და 2 დაფარებით გამოიჩინა. მის ანგარიშზე ნული ქულა და 5 ფოული გახლდათ. სლოუნმა ანდრეი თავიდანვე მაკგრეიდის დაუყენა გვერდით და ამ უკანასკნელმა კირილენკო ისე გააბითურა, რომ "ჯაზის" მწვრთნელებს ბოლო მეოთხედში რუსის არსებობა არც კი გახსენებიათ.

ბუზერმა კი, ძირითადის დასრულებას 28 წამი რომ უკლდა, ტარებისას ბურთი მარჯვენა ფეხზე მოირტყა და "ჯაზს" საბოლოოდ მოუსპო შეხვედრის გადარჩენის იმედი. საპასუხო შეტევაში **იაო მინმა** ორი სჯარიმო გამოიყენა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. სხვათა შორის, ჩინელმა გიგანტმა მატჩი 9 უშეცდომო ერთქულიანით ჩაამთავრა, მისმა გუნდმა კი 38 ასეთი სროლიდან ზუსტად 34 შეასრულა.

"როკეტსი" სერიაში 2:0 დაწინაურდა და ამ გუნდის საფლეიოფო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, "იუტას" შემდეგ წრეში გასვლის მიზერული შანსიღა თუ დარჩა - "ჰიუსტონი" ფლეი ოფში პირველი ორი მატჩის მოგების მერე, მომდევნო წრეში 8-დან შვიდჯერ გავიდა. ისე, 2005-ში ტრეისი მაკგრეიდი და მისი თანაგუნდელები "დალასს მაევერიქსს" 2:0-ს კი უგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ დათმეს ზედიზედ 4 შეხვედრა და მთლიანად სერიაც.

"ფავორიტები ვართ. "ჯაზი" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ - უკეთესი. "დალასთან" დაპირისპირებას ველით, მაგრამ არც "გოლდენ სტეიტის" წინაღმდეგები ვიქნებით", - ამბობდა ნამატჩევს **ჩაკ ჰეიესი,** ვისაც მეუღლემ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე პირველი შვილი აჩუქა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

რაშიდ უოლასი

ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲐ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ATP

Open SEAT 2007

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 850 500 ᲔᲕᲠᲝ

I ᲬᲠᲔ

ბენჯამინ ბეკერი (გერ)-იგორ კუნიცინი (რუს) 7:6 (2), 6:4; **პაოლო ლორენცი (იტა)**-სტევანო გალვანი (იტა) 6:7 (6), 6:2, 7:6 (1); **ფელიქს მანტაია (ესპ)**-ფარუზ დუსტოვი (უზბ) 6:4, 1:6, 6:0; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 7:5, 6:3; **ანდრეი პაველი (რუმ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 10) 4:6, 6:3, 6:4; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 6:4; **აგუსტინ კალერი (არგ, 15)**-მარკ ლოპესი (ესპ) 7:5, 5:7, 6:3; **ტომას იოპანსონი (შვედ)**-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 6:3, 6:3; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-ბარტოლომე სალვა ვიდალი (ესპ) 6:4, 6:0; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 3:6, 6:1; **ალბერტო მარტინი (ესპ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:1, 6:4; **იური შჩუკინი (რუს)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (ესპ)**-ევგენი კოროლოვი (რუს) 6:0, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:7 (2), 7:5, 6:3.

Grand Prix Hassan II

ᲙᲐᲡᲐᲑᲚᲐᲜᲙᲐ (ᲛᲐᲠᲝᲙᲝ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 353 450 ᲔᲕᲠᲝ

I ᲬᲠᲔ

რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)-ჟილ სიმონი (საფ, 4) 6:4, 6:4; **მარკე ჟიკელი (საფ, 5)**-ალესიო დი მაურო (იტა) 6:4, 6:2; **არნო კლეგმანი (საფ, 6)**-ერნესტ გულბიჩი (ლატ) 7:6 (1), 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:2, 7:6 (6); **ნიკოლას მაუ (საფ)**-ფლორან სერა (საფ) 6:2, 6:4; **მაიკლ რასელი (აშშ)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:1, 6:4.

WTA

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ (ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 175 000 ᲔᲕᲠᲝ

I ᲬᲠᲔ

მარტინა მიულერი (გერ, 2)-მარია კამერინი (იტა) 6:7 (7), 6:3, 7:5; **ემილი ლუა (საფ, 4)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:4, 6:2; **კარინ კნაპი (იტა)**-რომინა ოპრანდი (იტა, 8) 5:7, 6:2, 3:4 ოპრანდის უარი; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ლუჩია ბატა (უნგ) 6:2, 6:3.

დოპინგი

ლენდისის საქმე ცუდადაა

პარიზის მახლობლად მდებარე, შატენე-მალაბრის ლაბორატორიაში ჩატარებულმა განმეორებითმა ტესტებმა დაადგინა, რომ შარშანდელ ტურ დე ფრანსზე ამერიკელ **ფლოიდ ლენდისისგან** აღებული სინჯი სინთეტური ტესტოსტერონის ჭარბ დოზას შეიცავს. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ ლენდისმა თავისი კარიერის უდიდესი გამარჯვება დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მოტყუებით მოიპოვა.

თითქოს, ლენდისს სათქმელი აღარაფერი უნდა ჰქონოდა - მიუკერძოებელმა ტესტმა მისი სიმუხთლე გამოავლინა, მაგრამ თურმე ხაქმე არც ისეა, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. და აი, რაშია საქმე:

თურმენუიტყვით დატესტი, რომლის განმეორებასაც აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო მოითხოვდა, ლენდისისა და აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს წარმომადგენელთა დაუსწრებლადჩატარებული. უფრო მეტიც, როგორც ლენდისი ირწმუნება, განმეორებით ტესტებზე არ დაუშვეს მისი წარმომადგენლები, რომელთა გარეშეც ველომრბოლი ტესტების შედეგებს ეჭვის ქვეშ აყენებს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ტურის დროს ლენდისისგან შვიდი სინჯი აიღეს, რომელთაგან მხოლოდ ერთზე გამოვლინდა სინთეტური ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა. მაგრამ განმეორებით ჩატარებულმა ტესტებმა დაადგინა, რომ ყველა სინჯი ამ ნივთიერების ჭარბ დოზას შეიცავს.

თითქოს, ლენდისის მედოპინგეობა აშკარაა, მაგრამ იბადება კითხვა: თუ ველომრბოლი ადრეც იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს, მაშინ რატომ მოხდა, რომ სხვა ტესტებმა ვერ დაადგინეს მისი დანაშაული? შვიდი ტესტიდან, რომლებიც მას ჩაუტარდა, რბოლის დროს მხოლოდ ერთმა დაადგინა, რომ ის დოპინგს იყენებდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ყველა სინჯი დოპინგის ჭარბი რაოდენობის შემცველია. ერთი შეხედვით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამერიკელი ველომრბოლი დოპინგის მომხმარებელია.

მაგრამ რის გამო მოხდა, რომ განმეორებით ტესტებზე ლენდისის არცერთი წარმომდგენელი არ დაუშვეს? ეს კითხვა მართლაც ბევრის მანიშნებელია.

როგორც ირკვევა, წინასწარი შეთანხმებით, ყველა ტესტს ველომრბოლის დაცვის ჯგუფიდან სპეციალისტი უნდა დასწრებოდა. ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ტესტებს აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს წრმომადგენლებიც დაესწრებოდნენ. წინაალმდეგ შემთხვევაში, ლენდისის დაცვას საქმეში არ გარევდნენ.

ასეც მოხდა - აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ემისრებმა ტესტების პროცესზე დასწრება არ ინებეს და შატენე-მალაბრის ლაბორატორიაში არც ლენდისის წარმომადგენლები მიიკარეს. შედეგი კი პროგნოზირებადი იყო - განმეორებითმა ტესტებმა პირველი ტესტების შედეგები დაამტკიცა.

განმეორებითმა ტესტებმა აჩვენა, რომ ლენდისის ყველა სინჯი აკრძალულ ნივთიერებებს შეიცავდა. მაგრამ პირველ ტესტებზე ამგვარი რამ არ გამოვლენილა. ერთის მხრივ, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამერიკელი ველომრბოლი ადრეც იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ ჩავარდა. მეორეს მხრივ, შეიძლება იმის თქმაც, რომ განმეორებითი ტესტების შედეგები გაყალბებულია. ამ ვარაუდის სასარგებლოდ თუნდაც მხოლოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ტესტების პროცესს არ გააკარეს ლენდისის ნდობით აღჭურვილი პირები.

ყველაფერი კი იმის გამო მოხდა, რომ განმეორებით ტესტებზე დასასწრებად არ მისულან აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს წარმომადგენლები. წინასწარი შეთანხმებით კი, მათ გარეშე ტესტებთან არ დაიშვებოდნენ ლენდისის წარმომაგენლები. ყოველივეს გამო კი ტურის ჩემპიონი აცხადებს, რომ ყოველივე გამიზნულად მოხდა და რომ აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო მის მიმართ მტრულ ქმედებას ახორციელებს.

"ადგილი აქვს ტესტების შედეგების წინასწარგანზრახულ ფალსიფიკაციას და მტკიცებულებათა განადგურების ფაქტს, რასაც მსხვერპლად მე უნდა შევეწირო. ამის თქმის უფლებას ის გარემოება მაძლევს, რომ ამ ტესტების გაყალბების შემთხვევაში, თავის დაცვის არანაირი საშუალება არ უნდა დამრჩენოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელახალი ტესტების საშუალება აღარ გვაქვს, რადგან სინჯები უკვე გამოყენებულია", ამბობს ლენდისი.



ფლოიდ ლენდისი

სხვათა შორის, "ეკიპის" ხელში ხვდება ტესტების შედეგები ისე, რომ ამის შესახებ თავად ლაბორატორიის თანამშრომლებმაც არაფერი უნდა იცოდნენ - ასეთია მსოფლიოს დოპინგსაწინაამდეგო სააგენტოს (WADA) წესები. თუ ინფორმაცია გაჟონავს, გამოდის, რომ ტესტების ჩამტარებლებმა წინასწარ იცოდენ გასინჯული სპორტსმენის ვინაობა და ამ შემთხვევაში, ტესტის მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ დგება. ასეთ შემთხვევაში, WADA-ს არანაირი სანქციის უფლება არ აქვს.

ლენდისის დაცვა ირწმუნება, რომ მათი სპეციალისტები განმეორებით ტესტებზე არ დაუშვეს და ეს წინასწარი განზრახვით მოხდა, რათა ტესტების შედეგები გაყალბებულიყო.

"ჩვენ ვთვლით, რომ შატენე-მალაბრის ლაბორატორია თავის რეპუტაციაზე ზრუნავდა ამისთვის განმეორებითი ტესტების შედეგები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო," - ამბობენ ლენდისის დაცვაში...

მერაბ ლორთქიფანიძე

25 აპრილი, ოთხშაბათი

რუსეთი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).

НТВ-ПЛЮС СПОРТ

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი.
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 პირდაპირი ხაზი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
00:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 უკრაინა

07:31 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
07:56 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
08:48 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:23 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:23 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი.
12:28 ფეხბურთი. Barca-TV.
12:39 სპორტის სახეები.
13:14 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
15:49 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
16:49 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
18:36 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:44 ჰოკეი. სტენლის თასი.
21:32 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
21:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
00:43 აფროსნობა. ამერიკის თასი.
01:18 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. სან პაულუ-სან კაეტანო.
03:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი.
05:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.

EUROSPORT

09:30 ექსტრემალური სპორტი.
10:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბენფიკა-ესპანიოლი.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-სევილია.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ფლეშ ვალონი. ბელგია (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 აფროსნობა.
19:35 მულტისპორტი.
19:40 ცხენოსნობა.
20:45 მულტისპორტი.
20:50 გოლფი. US PGA-ს ტური.
21:50 გოლფი. ევროპის ტური.
22:25 აფროსნობა.
22:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე. იაპონიის გრან-პრი.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 სუმო.
12:00 მულტისპორტი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-სევილია.
16:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. როჩესტერი-ტორონტო.
17:00 მულტისპორტი.
18:00 სუმო.
19:30 ახალი ამბები.
19:30 ექსტრემალური სპორტი.
20:30 ახალი ამბები.
21:15 მულტისპორტი.
21:30 ბრძოლა წესების გარეშე.
22:30 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 მულტისპორტი.
00:30 სუმო.
02:00 ახალი ამბები.

სლოვაკეთის საბი ვარსკვლავი ემაგზეგა

ვარსკვლავური შემადგენლობა შეკრიბა სლოვაკეთის ნაკრებმა. ჩვენ გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ მოსკოვში თამაშის სურვილი გამოთქვეს NHL-ის ვარსკვლავებმა - **მარიან გაბორიკმა, პავოლ დემიტრამ** (ორივე "მინესოტა") და **მიროსლავ შატანმა** ("აილენდერსი").

გუშინ, ამ ტრიოს კიდევ სამი ჰოკეისტი შეუერთდა - **რიხარდ ზედნიკი** ("აილენდერსი"), **ბრანკო რადივოევიჩი** ("მინესოტა") და **მარიან ჰოსა** ("ატლანტა"), რომელმაც წლევანდელ რეგულარულში 100 ქულა დააგროვა.

უფრო ადრე, სლოვაკეთის ნაკრებმა NHL-ის კიდევ სამი ჰოკეისტი დაიმატა: მეკარე **იაროსლავ ჰალაკი** ("მონრეალი") და მცველები - **მილან იურჩინა** ("ვაშინგტონი") და **ზდენო ხარა** ("ბოსტონი").

ფინეთი თითქმის დაკომპლექტდა

რამდენიმე ცვლილება მოხდა ფინეთის ნაკრების შემადგენლობაში. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ამ გუნდში ჩაირიცხა "ატლანტას" მეკარე - **კარი ლეჰტონენი**. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის სურვილი NHL-ში მოთამამე კიდევ სამმა ჰოკეისტმა გამოთქვა: მცველმა **პეტერი ნუმელინმა**, ფორვარდებმა **მიკა კოივუმ** (ორივე "მინესოტა") და **იარკუ რუუტუმ** ("პიტსბურგი"). გარდა ამისა, "სუომის" ნაკრებიდან ექვსი ჰოკეისტი დაითხოვეს.

ამ მომენტისთვის, ფინელ მწვრთნელთა განკარგულებაში 27 ჰოკეისტია. ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეების გარდა, ესენი არიან:

მეკარეები: ფრედრიკ ნორენა ("კოლამბუსი", NHL), სინუჰე ვალინჰეიმო ("ოუვიასკიულა");

მცველები: ტეემუ აალტო, ტუუკა მიანტიულა (ორივე "ტაპარა"), აკი-პეტერი ბერგი (ტჰს), ლასე კუკონენი ("ფილადელფია", NHL), ოუკა ლაამანენი ("კერპეტი"), არტო ლაატიკაინენი ("კიეკო"), პეკა სარავო ("ლულეო", შვედეთი), ტონი სიოდერჰოლმი ("ბერნი", შვეიცარია)

თავდამსხმელები: ნიკო კაპანენი ("ფინიქსი", NHL), პეტრი კონტიოლა ("ტაპარა"), იარი ვიუკჰოლა, იანე პესონენი, მიკა პიუერიალა (ყველა "კერპეტი"), შონ ბერგენჰეიმი, ტიმო კალიო (ორივე "ფრიოლუნდა", შვედეთი), ოუკა ჰენტუნენი ("ლუგანო", შვეიცარია), ვილე პელტონენი ("ფლორიდა", NHL)), ანტი პილსტრემი (ჰპკ), ტიმო პიარსინენი ("ტიმრა", შვედეთი), ტუომო რუუტუ, ტონი სალმელაინენი (ორივე "ჩიკაგო", NHL).

ამერიკაში შევსებაა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 3 დღით ადრე, ამერიკის ნაკრები NHL-ის კიდევ სამი მოთამაშით შეიავსო. ესენი არიან - "სენტ ლუისის" მეკარე **ჯეისონ ბაკაშიჰუა**, რომელმაც ფილადელფიელი **რობერ ეში** შეცვალა, "ნეშვილის" მცველი **რაიან სატერი** და "მინესოტას" ფორვარდი **ადამ ჰოლი**.

აღსანიშნავია, რომ ამ ჰოკეისტებისთვის ეს ჩემპიონატი სადებიუტო არ იქნება: ბაკაშიჰუა შარშან თამაშობდა პლანეტის პირველობაზე, სატერს ორჯერ უთამაშია ჩემპიონატში, ხოლო ჰოლისთვის, ეს ზედიზედ მეხუთე მსოფლიო პირველობა იქნება.

ლეანდრო საუკეთესო რეზერვისტია

ერროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონის ლაურეატების გამოვლენა დაიწყეს. პირველი პრიზი "საუკეთესო მეექვსე მოთამაშის" ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა. რეგულარულის საუკეთესო რეზერვისტის ტიტული "ფინიქსის" ბრაზილიელ გამთამაშეელ **ლეანდრო ბარბოზას** ერგო, რომელსაც 127 გამოკითხულიდან 101-მა პირველი ადგილი უბოძა. შესაბამისად, ბრაზილიელმა დიდი უპირატესობით მოუგო მეორე და მესამე ადგილებზე გასულ **ემანუელ ჯინობილისა** ("სან ანტონიო") და **ჯერი სტეკჰაუზს** ("დალასი").

რეგულარულ რემპიონატში ბარბოზამ 80 მატჩი (აქედან 62 შეხვედრაში, ის სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდა) ჩაატარა და საშუალოდ 18.1 ქულასა და 4.0 შედეგიან პასს აგროვებდა.

სხვათა შორის, "ლეიკერსთან" ფლეი ოფის პირველ მატჩში, ბარბოზა თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მის ანგარიშზე 26 ქულა გახლდათ.

პოლმა ოპერაცია გაიკეთა

"ნიუ ორლეანის" გამთამაშებელმა **კრის პოლმა** ორშაბათს, მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გაიკეთა. ამ მიზეზით, ის გამოტოვებს ამერიკის ნაკრების საზაფხულო შეკრებას და სავარაუდოდ, ვერც პეკინის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირზე ითამაშებს.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რეგულარულის ბოლო თვეს, პოლი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა. "პორნეთსის" ლიდერის გამოჯანმრთელებას დაახლოებით 6-8 კვირა დასჭირდება.

ამ სეზონში, პოლი საშუალოდ მატჩში 17.3 ქულას, 8.9 შედეგიან პასსა და 1.84 ჩაჭრას აგროვებდა.

სპაპია მაკაბიდან მიდის

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ თელ-ავივის "მაკაბის" მთავარი მწვრთნელი - **ნვენ სპაპია** ამ სეზონის შემდეგ დატოვებს ისრაელის ჩემპიონის რიგებს. თუმცა, მისი შემცველის ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი. "მაკაბის" ხელმძღვანელობა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სპეციალისტის მინვევის ვარიანტებს განიხილავს.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამჟამინდელი შემადგენლობის 7 კალათბურთელი მომავალ სეზონში გუნდში დარჩება. ამ შვიდიდან, ორი ლეგიონერია - ხორვატი **ნიკოლა ვუიჩიჩი** და ლიტველი **სიმას იასაიტისი**.

ფეხბურთი

ინგლისი

II ლიგა

ბაკლსფილდი-როუჩერსი	0:1
შრუსბერი-რექსჰემი	0:1

ჰოლანდია

ბრედა-ალმერეი	3:0
ალფუაქი-ვოლენდამი	2:1

გერმანია

რეგიონალიგა (ჩრ)

ვერდერი II-სტ. პაული	0:2

შოტლანდიის თასი

1/2 ფინალი

დანფერმლინი-ინვერნესი	1:0

შვედეთი

ია-ბაგარბუ	1:0

ავსტრია

II დივიზიონი

ადმირა-ლუბენი	1:2
ავსტრია A-ბანნლორეი	2:4
ლუბენაუ-ავსტრია ლ	0:0
ბრაბაჰრი-ლინცერ	2:3
ბაუენბერგი-ბარბაბერგი	2:0
შვანენშტადტ-ქერნტენ	3:1

პოლონეთის თასი

1/2 ფინალი

კრაკოვია-ბრუსლინი	0:1

უნგრეთის თასი

1/2 ფინალი

ვაშაში-პინველი	1:2

პოკერი

აზიანაგაზერი მაჯრეები

რუსეთი-ავსტრია	4:3
სლოვაკეთი-ბელარუსი	1:2
ფინეთი-კანადა	4:2
ლატვია-დანია	5:2

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

სიოდერლინგი-გაუდიო	6:1, 6:0
ბერლოკი-პაშანსკი	0:6, 0:6
სტარაჩე-კერი	6:4, 6:4
ვისენტე-გოლდსტეინი	3:6, 7:6, 3:6
კალერი-ლორენცი	6:2, 6:2
ალმაგრო-ფონინი	6:3, 6:2
რობრედო-ფ. ლოპესი	6:2, 6:2
საფინი-ბოლელი	4:6, 6:7
ნალდანბიანი-მარტინი	6:2, 6:0
კანიასი-მირნი	6:2, 7:6
მოია-გრანოლერსი	6:2, 6:4

ATP. კასაბლანკა

გროსჟანი-ჰანესკუ	7:6, 6:4
მასუ-როიტმანი	6:2, 6:3
მონტანიესი-უდომჩოკე	1:6, 6:3, 7:5
ვასალო არგელო-ვასელინი	2:6, 2:6
მატიო-პლესი	6:3, 6:1
საუდი-ჩაკი	6:2, 6:1
ელ აინაუი-ასკიონე	4:6, 3:6
ბენეტო-ჟილი	7:6, 3:6, 7:6
ჰრბატი-პეია	7:6, 6:4
აკასუსო-დევილდერი	6:4, 6:4

WTA. ბუდაპეშტი

ნადი-კრისტეა	6:7, 6:3, 3:6
პუჩეკი-ბეიგელციმერი	6:7, 4:6
შპრემი-გუბაჩი	7:6, 6:1
სუხა-სრომოვა	6:7, 6:4, 6:4
კირილენკო-კრემერი	3:6, 4:6
სავჩუკი-ჰრადეჩკა	6:0, 6:3
ჩინკი-კლეპაჩი	2:6, 4:6

ინტერვიუ მარტინა ჰინგისთან

პატარა გოგო აღარ ვარ

მას შემდეგ, რაც შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა გასულ წელს, სამწლიანი შესვენების შემდეგ დიდ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა, მისი პიროვნება და თამაში პუბლიკისა და პრესის დიდ ინტერესს იწვევს. მსოფლიო კლასიფიკაციის ყოფილი პირველი ნომერი, მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობს, მაგრამ რეიტინგში მეექვსე ადგილამდე აღზევება მაინც მოასწრო. თანაც, ეს ისე მარტივად და დამაჯერებლად გააკეთა, როგორც 90-იან წლებში ერთმანეთის მიყოლებით იგებდა ტურნირებს.2007 წლის სეზონი შვეიცარიელმა საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყო. გოლდ-კოუსტის ტურნირის ფინალში გავიდა, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს მიაღწია, მოიგო ტოკიოს პირველი კატეგორიის ტურნირი... იმის გასაგებად, მოსწონს თუ არა განახლებული ქალთა ტური და საერთოდ, როგორ ცხოვრობს ყოფილი ჩემპიონი, გთავაზობთ ინტერვიუს ჰინგისთან, რომელიც გერმანულ პრესაში დაიბეჭდა.

- მარტინა, ბევრი თვლის, რომ თქვენ და ჟუსტინ ანენი ბევრი რამით ჰგავხართ ერთმანეთს - თანამედროვე ჩოგბურთისთვის ორივენი არატიპიურად მინიატურულები ხართ, გაგაჩნიათ დახვეწილი ტექნიკა და მდიდარი ტაქტიკური არსენალი... აქედან გამომდინარე, თითქოს გულშემატკივრებს შორისაც ერთნაირი პოპულარობით უნდა სარგებლობდეთ. მაგრამ თქვენ პოპულარული ხართ, ჟუსტინი კი, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე. რატომ?

- ჩემი აზრით, ჩვენ სხვადასხვა პირობებში ვიზრდებოდით. ანენის გზა პროფესიულ ჩოგბურთში უფრო რთული იყო, ვიდრე ჩემი. ოჯახური ტრაგედიები და სხვა პრობლემები მას ბავშვობიდან სდევდნენ თან და ალბათ, ამან ყველაფერს დაამჩნია თავისი კვალი, რასაც ის აკეთებს. მე კი ვთვლი, რომ გამიმართლა. ჩემს გვერდით ყოველთვის იყო დედა, ადრე გადავედი ჩეხოსლოვაკიიდან შვეიცარიაში.

- მაგრამ, ანენი დალაგებულ დასავლეთევროპულ ქვეყანაში გაიზარდა, თქვენ კი, ემიგრანტი ხართ. ნუთუ, თქვენი ბავშვობა ასეთი უზრუნველი იყო?

- რა თქმა უნდა არა, მეც ბევრი რამის გადატანა მომიხდა. მაგრამ დედაჩემი არ მომკვდარა (ანენის დედა კიბოთი მაშინ გარდაიცვალა, როცა ჟუსტინი 12 წლის იყო - რედ.), არც ისეთ სიტუაციაში აღმოვჩენილვარ, როცა ოჯახის წევრებს ჩემთან საუბარი და ჩემი დანახვა არ სურდათ. მე მგონია, რომ ეს ყველაფერი ანენზე დღემდე მოქმედებს და მის ფსიქიკას დაღს ასვამს. და კიდევ, მას თითქმის არ ჰყავს მეგობრები.

- გამოდის, რომ სრულიად განსხვავებული ადამიანები ხართ?

- დიახ. მე ყოველთვის გახსნილი ვარ ურთიერთობისთვის, მიყვარს ყველაფერი ახალი. ამან ჩემი ცხოვრება უფრო სავსე და საინტერესო გახადა.

■ ■ ■

- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღეს უფრო მეტ სიამოვნებას იღებთ ჩოგბურთისგან, უფრო სწორად, თამაშის პროცესისგან. ადრეული ასაკში ასე არ იყო - მაშინ მხოლოდ შედეგზე ფიქრობდით. იქნებ, თქვენზე ზეწოლა აღარ არსებობს...

- ზეწოლა კვლავინდებურად არსებობს, მაგრამ სხვანაირი. მაგალითად, გასულ წელს ეს მოლოდინსა და პროგნოზებში გამოიხატებოდა: ყველა მარჩიელობდა, კრახს განვიცდიდი თუ წარმატებას მივაღწევდი. ჩემი სახელი ათასგვარი სპეკულაციის საგნად იქცა. დაუმატეთ ამას კიდევ ერთი ზეწოლა, რომელსაც ახალგაზრდები ვერ გრძნობენ: მე ხომ მუდმივად ვერ ვითამაშებ. მაგალითად, შარშან ვიგრძენი, რომ თუ 25 წლის ასაკში არ დავბრუნდები, მაშინ ამას, მით უმეტეს, 30 წლისა ვერ გავაკეთებდი.

- ალბათ, კრახს უკვე აღარავინ გიწინასწარმეტყველებთ...

- სავარაუდოდ ასეა. მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი ვარ. ზედიზედ მეორედ გავედი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში, მოვიგე ტოკიოს ტურნირი. ასე რომ, საქმეები არც ისე ცუდად მიდის.

- შეგიძლიათ თქვათ, რომ სპორტში დაბრუნების შემდეგ მიაღწიეთ იმ შედეგს, რასაც გეგმავდით?

- იმედი მქონდა, რომ საუკეთესო ათეულში შევიდოდი და წლის შემაჯამებელ ტურნირზე ვითამაშებდი. მაგრამ, გულის სიღრმეში ეჭვი მაინც მეპარებოდა. თუმცა, ავსტრალიის ღიაზე მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ გავიფიქრე: "ყველაფერი ჩემს ხელშია! თუ ასე გავაგრძელე, ათეულში აუცილებლად შევალ!" სტაბილურობამ შედეგი გამოიღო და წლის ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატშიც ვითამაშე. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვოცნებობდი.

- გასულ წელს, თქვენ ხშირად იმეორებდით: "უბრალოდ მინდა, კარგად ვითამაშო და ჩოგბურთისგან სიამოვნება მივიღო..."

- მართალია. არ მინდოდა საკუთარი თავისთვის ზედმეტი მომეთხოვა. რა საჭირო იყო დამატებითი წნეხი?

- დღეს კი, უკვე მსოფლიო ათეულში შედიხართ. არ არის დრო, რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე დაბრუნებაზე იფიქროთ?

- ჯერ არა. იმიტომ, რომ არ მომიგია "დიდი სლემის" ტურნირი. ჩემს წინ რამდენიმე ისეთი ჩოგბურთელია, რომლებმაც დაიმსახურეს თავიანთი ადგილი რეიტინგში და მას უბრძოლველად არ დათმობენ. სანამ კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე ვიფიქრებ, იმაზე უნდა ვიზრუნო, როგორ მოვხვდე "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში.

- მიხვალთ ნახევარფინალამდე და მაშინ იოცნებებთ პირველ ჩოგნობაზე?

- ნახევარფინალში გასული, იმაზე ვიფიქრებ, როგორ მოვიპოვო ფინალში თამაშის უფლება!

- და მერე...

- ...ფინალის მოგებაზე ვიზრუნებ. კარგად გამიგეთ - არ მინდა, არარეალური მიზნები დავისახო. საღად უნდა შევაფასო ჩემი დღევანდელი შესაძლებლობები. ნუ შემადარებთ სერენა უილიამსს, რომელსაც შეუძლია მოულოდნელად გამოჩნდეს და გზად ყველა გადათელოს, როგორც ეს ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე მოხდა. ამ ტურნირზე, მისი შემხვედვარე, პირი ღია მრჩებოდა. მისი თამაში ზღაპარს ჰგავდა.

■ ■ ■

- რა გჭირდებათ იმისთვის, რომ კვლავ მოიგოთ "დიდი სლემის" ჩემპიონატი?

- წამყვანი ჩოგბურთელების დამარცხება. ჯერჯერობით, ვაგებ მორესმოსთან, კლაისტერსთან, შარაპოვასთან და ანენთან. აი, ერთ-ერთ მათგანს მოვუგებ და "დიდ სლემზეც" მერე ვიფიქრებ. მანამდე, არა.

- კორტზე ისეთივე სიხარულითა და მღელვარებით გადიხართ, როგორც ერთი წლის წინათ, თუ ემოციები ჩაცხრა?

- ემოციები და სიხარული ხან არსებობს, ხან - არა. ისევე, როგორც ცხოვრებაში, ხანდახან კორტზე ვერ გრძნობ თავს 100 პროცენტით კარგად. ხდება ხოლმე, როცა 24 საათი გზაში ხარ, მეორე დღეს კორტზე გადიხარ და ფიქრობ: "რაღაც ვერ არის წესრიგში". უნდა შეგეძლოს ორი-სამი ასეთი დღის გადალახვა. მაშინ კვლავ იგრძნობ თამაშისგან გამოწვეულ სიხარულს.

- არ ვიცი, ამჩნევთ თუ არა, მაგრამ ზოგიერთ ტურნირზე, თქვენი ვარჯიშის სანახავად უფრო მეტი მაყურებელი იკრიბება, ვიდრე სხვა ჩოგბურთელების მთელი რიგი მატჩების დროს. ეს სასიამოვნოა?

- რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავია. მიხარია, რომ ადამიანებს ჩემი ჩოგბურთი მოსწონთ. ვიცი, რომ ნამდვილ გულშემატკივრებს უყვართ, როცა ვარსკვლავების ვარჯიშებს ახლოდან ადევნებენ თვალს. ხანდახან, ისინი ხუმრობენ კიდეც, რაც ნორმალურად მიმაჩნია. არ დავმალავ, მეც გარკვეულ მომენტებში პუბლიკაზე მუშაობას ვიწყებ.

■ ■ ■

- რამდენად მკაფიოდ არის ერთმანეთისგან გამიჯნული თქვენი ცხოვრების პერიოდები? მაგალითად, პირველი პერიოდი - ადრეული წარმატება, მეორე - ტრავმები და ჩავარდნა, მესამე - ჩოგბურთიდან წასვლა, მეოთხე - დაბრუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უყურებთ თუ არა თქვენს ცხოვრებას ჩოგბურთის პრიზმაში თუ მას, როგორც პირდაპირ ხაზს, ისე განიხილავთ?

- უფრო მეორე ვარიანტთან გვაქვს საქმე. მაგრამ, ამავდროულად ვფიქრობ, რომ ყველა გადის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს. მე ძალიან ადრე მივაღწიე წარმატებას. ამან მყარი ფუნდამენტი მომცა, რომლის წყალობითაც შემეძლო ზრდა და ცხოვრების სხვადასხვა სიამოვნებებით დატკბობა - როგორც კორტზე, ასევე მის მიღმა. მოგვიანებით, სამწუხაროდ ტრავმების პერიოდი დაიწყო... შეიძლება, ჩემს წარსულ ცხოვრებაში მინდოდა რაღაც შემეცვალა, მაგრამ საუბედუროდ, ეს შეუძლებელი იყო. ამიტომაც არ ვწუწუნებ. მით უმეტეს, რომ განმეორებითი შანსი მომეცა, ის ხელიდან არ გავუშვი და დღეს ყოველი წუთის გამო მიხარია.

- 2007 წლის მარტინა ჰინგისი არაფრით განსხვავდება თავის 1997 წლის პროტოტიპისგან?

- განსხვავდება. ყველა ადამიანი იცვლება, ევოლუციას განიცდის, იზრდება... იმედი მაქვს, უფრო ჭკვიანი ვარ, ვიდრე 17 წლის ასაკში ვიყავი.

- მოდით, წარსულიდან მომავალში გადავინაცვლოთ. ერთ მშვენიერ დღეს შვილი გაგიჩნდებათ. მას დედათქვენივით პატარაობიდანვე ჩემპიონად გაზრდით?

- ჩემს შვილებს ჩოგბურთს, როგორც ვარჯიშის ერთ-ერთ საშუალებას, აუცილებლად შევაყვარებ. ეს ის გამოცდილებაა, რომელიც შემიძლია მათ გადავცე და თავად ვიკისრო მასწავლებლის როლი. სპორტი ჩემი ცხოვრებაა, მან მე განათლება მომცა, შესაძლებლობა იმისა, რომ საზოგადოების ნაწილი გავმხდარიყავი. სპორტი - ეს ხომ ერთგვარი სკოლაა და მე მოხარული ვიქნები, თუ ამ სკოლას ჩემი შვილებიც გაივლიან. ის დისციპლინას განსწავლის, რადგან შენ გარკვეულ დროს გარკვეული სამუშაო უნდა შეასრულო. მადლობელი ვარ დედაჩემის, რომელმაც ეს ყველაფერი მომცა.

- ცნობილია, რომ ბევრი ჰობი გაქვთ. ვინ ზრუნავდა ამ მხრივ თქვენთვის?

- დედა ყოველთვის ეძებდა სხვადასხვა ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩემთვის ბევრი რამ ესწავლებინათ. უკვე პატარას, ძალიან ბევრი რამ ვიცოდი და მიყვარდა - თხილამურები, ცხენები, ჩოგბურთი. სხვათა შორის, არც ისე მარტივია იპოვნო ადამიანი, რომელიც ყველა ამ გატაცებას გაიზიარებს. მაგრამ ახლა, მე უკვე მყავს შესანიშნავი პარტნიორი.

■ ■ ■

- ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ ტურნირებზე ყოველთვის დედასთან ერთად ჩნდებოდით, რომელიც ბავშვობიდან თქვენივე მწვრთნელის როლს ასრულებდა. მაგრამ ამ ბოლო დროს, მის გარეშე მოგზაურობთ. ეს იმას ხომ არ უკავშირდება, რომ ახლა თქვენს გვერდით რადეკ შტეპანეკია, რომელზეც გასული წლის ნოემბერში დაინიშნეთ?

- დიახ, რა თქმა უნდა. მე და რადეკი დიდი ხანია ერთად ვმოგზაურობთ. გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის სამი წელიწადი დედაჩემზე მუშაობდა. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და დედა მას ძალიან ენდობა.

- რაში გამოიხატებოდა ეს მუშაობა?

- დედაჩემის აკადემიაში მუშაობდა, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ვოლერაუში მდებარეობს.

- მწვრთნელად?

- დიახ. ასე რომ, შტეპანეკი ჩვენს ოჯახში მიღებული ადამიანია. მე და რადეკი დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ერთად ვიზრდებოდით ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც რვა წლამდე ვცხოვრობდი. ახალი სეზონისთვის მზადებისას, უკვე საკმაო ხანია, მასთან ერთად ვვარჯიშობ, ახლა კი, რადეკი ტურნირებზეც დამყვება თან. როცა შენთან ერთად შენი საქმრო მოგზაურობს, დედა ნაკლებად გენატრება. მე უკვე დიდი გოგო ვარ.

- დედას არ გაუჭირდა თქვენზე მზრუნველობის რადეკისთვის გადაცემა?

- ის ყოველთვის მისურვებს იმას, რაც ჩემთვის უკეთესია. ადრე თუ გვიან, დამოუკიდებელი ხდები და მშობლის მზრუნველობას აღარ საჭიროებ. წელს გადავწყვიტე, რომ ყველაფერს საკუთარი ძალებით შევჭიდებოდი. და მიუხედავად ამისა, დედას მაინც, მუდმივად ვურეკავ ხოლმე.



ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
გამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახვაძე, მერაბ გრძელიძე, გამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
ვანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაეარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილლომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა